ძველის ფეთი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
გაზეთი
№5 (248)
1-31 მაისი
2016
ფასი 1 ლარი

გამოდის
თვეში ორჯერ

ღია წერილი

საქართველოს პრეზიდენტს
საქართველოს მთავრობას
საქართველოს პარლამენტს
თბილისის მერიას

ბატონებო!

მიმდინარე წელს იუნესკოს ეგიდით ტარდება შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილე.

ეჭვი არ მეპარება, რომ კარგად მოგეხსენებათ „ვეფხისტყაოსნის“ როლი ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში. ისიც კარგად გეცოდინებათ, რომ ჩვენი ხალხის უპირველესი განძი შოთა რუსთაველის გენიალური პოემაა.

მაშ, რას მივაწერო თქვენი ბეჯითი დუმილი და ფეხისათრევა მოახლოვებული ეროვნული დღესასწაულის მიმართ?

ჩვენი ეკონომიური სიდუხჭირის გათვალისწინებით ქართველმა მწერლებმა თქვენს წინაშე საიუბილეოდ ორი მოკრძალებული, არც თუ ძნელად შესასრულებელი თხოვნა დავაყენეთ:

1. რუსთაველის პროსპექტზე გაგვეხსნა „რუსთაველის სახლი“, სადაც გამოიფინებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, ჩვენს უპირველეს წიგნზე არსებული მდიდარი მეცნიერული ლიტერატურა და დამთვალიერებელს საშუალება მიეცემოდა შეეძინა „ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა ენაზე. ამით საქართველოში კიდევ ერთი კულტურული კერა გაჩნდებოდა. ამ კერისკენ ტურისტები გზას გაიკვლევდნენ და მსოფლიო დაინახავდა, რა პატივს ვცემთ ჩვენ ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს.

შეგვექმნა კომპეტენტური კომისია მწერალთა და მეცნიერ-ტექსტოლოგთა შემადგენლობით, რომელიც რამდენიმეთვიანი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად წარმოადგენდა „ვეფხისტყაოსნის“ მეტნაკლებად სრულყოფილ, დედანთან მიახლოებულ ტექსტს და თქვენ, ხელისუფლება უზრუნველყოფდით პოემის საიუბილეო, სასაჩუქრო გამოცემას, როგორც ეს გააკეთეს საიუბილეო კომისიებმა 1937 და 1966 წლებში, ამით დამთავრდებოდა რუსთაველის ქმნილებაში არამკითხე „რედაქტორთა“ ხელის ფათური და გამომცემლობებს დაურიგდებოდა სწორედ რომ სანდო და ავტორიტეტული ტექსტი.

არც ერთი ამ ამოცანის გადაწყვეტგასრულებისთვის დღემდე თითი არ გაგინძრევიათ. უფრო მეტიც, დღემდე საიუბილეო ღონისძიების თარიღიც არ გამოგიცხადებიათ და საიუბილეო კომისიაც არ შეგიდგენიათ (ეს უკანასკნელი თუ საიდუმლოდ შეადგინეთ, დღემდე უჯრაში ინახავთ, რადგანაც გუმანით ვხვდები, მისი წევრები ოფიციალური წრეებიდან გეყოლებათ შერჩეული და არა იმათგან, ვინც „ვეფხისტყაოსანს“ სიცოცხლე შესწირა).

რა ხდება ბატონებო? რას მივაწეროთ თქვენს მიერ პირში წყლის ჩაგუბება?

გულუბრყვილო ბაღლი არა ვარ და კარგად ვიცი, რა დღეშიც ხართ. ვხვდები, როგორ მოგახვიეს თავზე თქვენმა ოკეანისგაღმელმა პატრონებმა ყბადაღებული „კოჰაბიტაცია“, რომელმაც საქართველოში ფაქტიურად ორხელისუფლებიანობა დაამკვიდრა და რისი ბრალიცაა, რომ ჩვენი ეკონომიკა ადგილზე ბუქსაობს. არაერთგზის დავრწმუნდი, როგორ დაახიეს თავზე ქართულ სასამართლოს მის მიერ მიღებული გაბედული (რაც იშვიათად ხდება) ორიოდე გადაწყვეტილება. ვხვდები, გულით გინდათ პროკურატურამ თაროზე შემოდებული საქმეები გამოიძიოს, მაგრამ ვერ ახერხებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სამართალდამცავ ძალოვან უწყებებს ისევ და ისევ არამკითხე „მამიდების“ კარნახით „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდების“ თამაშს ათამაშებთ. ვიცი, რომ დასავლეთიდან დაძრული წყეული ვეშაპი – გლობალიზაცია ეროვნული სულის გამომღვიძებელ ყოველ ნაბიჯს არაოფიციალურად გიკრძალავთ და იმასაც ვხვდები, ილიას და აკაკის იუბილის ჩატარებისას ჩვენი ტელეჟურნალისტი დაიკოები მორცხვად რატომ გვპასუხობენ: „იცით რა, ასეთი სიუჟეტები არ გვაინტერესებს“.

ეს ყველაფერი ვიცი, მაგრამ არა მგონია, ობამა გიკრძალავდეთ, რუსთაველის იუბილე არ ჩაატაროთ და მწერლებს სააკაშვილის მიერ წართმეული მწერალთა სასახლე არ დაუბრუნოთო.

ძვირფასებო,

ჩვენ ქართველი მწერლები წაყრუებას და იგნორირებას მიჩვეული ვართ და კვლავ ავიტანთ, მაგრამ ამჯერად შოთა რუსთაველზეა ლაპარაკი: ჩვენს სალოცავ ლიტერატურულ ხატზე, ერისთვის სახელისა და დიდების მომტან პოეტზე.

რასაკვირველია, ფრიად მოუცლელნი ბრძანდებით, მაგრამ საარჩევნო სიების შედგენის ბატალიებზე და ევროპიდან კარგახნის ჩამოწერილი მომღერლების 29 მილიონად ჩამოყვანაზე არანაკლები მნიშვნელობისა გახლავთ შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილის ღირსეულად ჩატარება.

სხვა მხრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

რევაზ მიშველაძე
საქართველოს სახალხო მწერალი,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
საქართველოს მწერალთა
კავშირის თავჯდომარე
21.IV.2016 წ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს
თბილისის მერს ბატონ დავით ნარმანიას
ქალაქ გაფორმებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს

ბატონებო!

მოგმართავთ საქართველოს საზოგადო მოღვაწეთა სახელით:

რამდენიმე თვის წინათ დაიხურა ორასწლოვანი დიდუბის პანთეონი. ამ ფაქტმა სახელოვან მოღვაწეთა დაკრძალვის მიმართულებით გამოუვალი მდგომარეობა შექმნა.

კატეგორიულად გთხოვთ, პანთეონის ტერიტორია გააფართოვოთ დიდუბის ეკლესიასა და პანთეონს შორის ღობის მოხსნის ხარჯზე.

ამრიგად, იოლად, ფულადი დანახარჯების გარეშე, გადაწყდება ეს თავსატეხი. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს პრობლემა უახლოეს ხანებში თუ არ გადაწყდა, მალე უხერხულობაში აღმოვჩნდებით. დავინტერესდით და გაირკვა, რომ ამ საშურ ეროვნულ საქმეს საპატრიარქო არ ეწინააღმდეგება.

პატივისცემით,

ჯანსუღ ჩარკვიანი, მერაბ ბერძენიშვილი, კახი კავსაძე, რევაზ მიშველაძე, გივი ბერიკაშვილი, ომარ მხეიძე, ლეილა აბაშიძე, მაყვალა გონაშვილი, გოგი ქავთარაძე, ვაჟა აზარაშვილი, სოსო სიგუა, ბაღათერ არაბული, თენგიზ ურთმელიძე, კახა ცაბაძე, გივი თოიძე

ვულოცავთ!

ბატონი თეიმურაზ ლანჩავა საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარეა. იგი არაერთი ეროვნული ღონისძიების მოთავე და სულისჩამდგმელია.
გამორჩეული სამწერლო საქმიანობისა და საზოგადო მოღვაწეობისათვის, ბატონ თეიმურაზ ლანჩავას საქართველოს კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ახლახან მიენიჭა ქართული კულტურის ქურუმის საპატიო წოდება

თეიმურაზ ლანჩავა

თქვენ გყავთ რუსთაველი?!

თქვენ გყავთ რუსთაველი?!
ვკითხე რუს კოლეგას,
ა, კტო რუსტაველი?
ლამის შეიცხადა,
კითხვა უბრალო და
გაამაყებული.
ერის სიდიადის
განცდას შეიცავდა.
თითზე ჩამოთვლა
ყოფილ- არყოფილი,
დიდი იმპერიის
დამამშვენებელი,
მათი გახსენებით
იყო კმაყოფილი,
ყელში გაეჩხირა
აღმაშენებელი.
დავიტ სტრაიტელი?
ვიცი, გამიგია,
მითხრა უგემურად,
თვალთა გაცეცებით,
ჩვენი ისტორია,
ბრძოლით სავსე არის
თქვენი ისტორიის
მსგავსი ნამცეცებით.
შემოხმიანება იყო უკადრისი,
რისხვა შევაჩერე,,
განცდა გამარტივდა,
თქვენ წარმოიდგინეთ,
აღარ შევაჩვენე,
თქვენ წარმოიდგინეთ,
გული არ ამტკივდა.
წიგნი ვუსახსოვრე
სიბრძნით ავსებული,
როდის წაიკითხავს,
პასუხს ველოდები,
მჯერა, იმედი მაქვს
გამოფხიზლებულის
ასათვალწუნებლად
არ განვმეორდები.
თქვენ გყავთ რუსთაველი?!
სხვებსაც ვეკითხები,
ყველამ როდი იცის
სიბრძნე რა ხილია,
სიტყვას ვამახვილებ,
სიტყვით გაოცება
გაამაყებული
სისხლის ძახილია.

***

მიწის ზემოთ ვინ დაგტოვებს,
შენც სამარეს გაგითხრიან,
იმ მიწაში დაგმარხავენ,
სადაც მეფე დავითია.

სადაც რუსთაველი სახლობს,
წაიყრიან მიწას ძვლები,
მთავარია მოახერხე
და სიკვდილი შეიძელი.

ხარ სიკვდილშიც ბედნიერი
(რასაც ვამბობ, ჩვენში დარჩეს),
ზოგი სიკვდილამდე კვდება,
შენ სიკვდილი გადაგარჩენს.

* * *

შენა ხარ ჩემი დიდი სიზმარი
და მოლოდინი სიზმარში სახლობს,
გამოქცეული უმადურობას,
დასახლებული ტკივილის ახლოს.

გამოვიზამთრე წელსაც ღრუბლებში
და როცა ფრთები ცას შევატოვე,
დამრჩა იმედად შენი ნუგეში,
მონანიება და სიმარტოვე.

***

ახურავს ქალაქს ღრუბელი წვიმად,
რომ მოლოდინი ათქვიფოს მტვერში
და მახსენდება დიდი ხნის წინათ,
როგორ ვეძებდი სიყვარულს თქვენში.
თქვენ კი ხუჭავდით თვალებს, რატომღაც,
არ დამენახა, არ მეგრძნო ფიქრით...
რად მიმალავდით სევდას, სინანულს,
გაბრწყინებული თვალების იქით.

***

ბავშვი ოთახში ქოლგას მახურავს,
ჭერი გვაქვს, მაგრამ ვერ გვშველის ჭერი,
გამოქცევია წვიმა სახურავს,
მოუხატია სისველით ბჭენი.

მხატვრობა წვიმის უკვირს პატარას,
უკვირს, ვერ გვიცავს რადგან კრამიტი,
დაუკითხავად სახლში შემოდის
აჯანყებული სველი ამინდი.

ვზივართ ქოლგის ქვეშ, შიშით შევცქერით
დროით დაბზარულ ბებერ კრამიტებს,
შევცქერით ზეცას იმის იმედით,
რომ უსათუოდ გაიამინდებს.

***

დამიზამთრდება ისეთ დროს,
გაზაფხულისთვის ვწვალობ,
შემეშველები, მპატრონობ,
გებრალები და მწყალობ.

ისევ თავიდან იწყება,
მოლოდინები ხვალის,
ბებერი ქედი ირწევა,
უღელდადგმული ხარის.

ცოდვა-მადლისგან დაღლილი,
დამძიმებული ქედით,
მივათრევ დროს და საფიქრალს
უმადურობის გვერდით.

დაწყვილებული სიკვდილთან,
სიცოცხლისათვის ვწვალობ,
მადლობთ, უფალო, ჯერ კიდევ
არ გამიმეტე, მწყალობ.

***

თქვენ შეიძლება არ იცოდეთ
შოპენი, ბრამსი.
თქვენ შეიძლება არ გესმოდეთ
მუსიკის არსი.
მუსიკის გემო არ იცოდეთ,
ფერი მუსიკის,
მუსიკის ალში არ იწვოდეთ,
ცეცხლი ვის უკვირს.
გქონდეთ იმედი უმუსიკოდ
ხილვის, განცდების,
ნავარდი ცაში სულიერად
და აღტაცების.
მუსიკა არის ქარში, თოვლში,
მზეში, წვიმაში
მუსიკა მეფობს და არსებობს
თავგანწირვაში.
თქვენ შეგიძლიათ არ იცნობდეთ
მთვარის სონატას,

იმახსოვრებდეთ ამბებს ჭრელ-ჭრელს,
ქარის მონატანს,
თქვენ შეიძლება არ იცოდეთ
შოპენი, ბრამსი,
მაშასადამე არ იცოდეთ
მუსიკის ფასი.
მუსიკა ჰქვია ფოთლის შრიალს,
უსმინე წყაროს,
წყალია, მაგრამ რომ ამღერდეს,
იმისთვის წვალობს.
მუსიკა ჰქვია ტირილს ქალის
და ქალის ტკვარცალს,
მუსიკა ჰქვია წყლის წისქვილი
სიმინდს რომ მარცვლავს.
მუსიკა ისმის განწყობაშიც,
როცა ტირიან,
იგრძნო მუსიკა მათ ტკივილში
რა მარტივია.
არის მუსიკა საზრდო სულის,
თუმცა მუსიკით.
ვერ მოისაზრებ ყველა სურვილს,
სხვისგან, ყურს იქით.

***

ხომ არ დაგტოვათ მოლოდინმა
გარეშე ფიქრის,
ცრემლები თქვენი სინანულში
ხომ არ გაწვიმდა,
როგორც მახსოვხართ, ისეთივე
ბრძანდებით თითქმის.
ესაა მხოლოდ, წლები დროში
გადანაწილდა.
მოგონებებით გაზაფხული
შემოგენთებათ,
ატმის ყვავილით, სიწარმტაცით,
უამრავ ფერით,
თქვენ უსათუოდ სიყვარულის
ვალი გექნებათ,
ბევრმა ზამთარმა გაზაფხული
შეიგრძნო თქვენით.
ვალში ვარ თქვენთან, რომ მიყვარდით,
რომ გამიხსენეთ,
რომ მიმაჯაჭვეთ თქვენს სიმშვიდეს
მთელი არსებით.
მთელი ცხოვრება ჩემს გარეშე
რომ არ ისვენებთ,
მადლობელი ვარ, სიბერის დროს
რომ გაგახსენდით.

***

მე სიკვდილი შენს თვალებში
სიკვდილამდე დამინახავს,
შენს გარეშე უშენობა
სინანულში დამიმარხავს.

ვტიროდი და ვერ ხედავდნენ,
გულის ვარამს დროს ვატანდი,
შავი მეცვა, შავს ვუცქერდი,
გამხნევებდი, თოვლს ვხატავდი.

თოვლი დადნა, ცა გაწვიმდა,
მიწიერი გადამწვანდა,
სატკივარი განაწილდა,
აღარაფრის აღარ მწამდა.

ახლა ციდან დამცქერი ხარ,
გინდა მონატრებად ვღირდე,
ჩემი ფრთები შენ წაიღე,
როგორ უნდა ამოვფრინდე.

***

რად ეწოდა აფხაზეთის ომი,
ძმას ძმა მტრად რად გადაჰკიდა ღმერთმა,
იმ ომშიაც ერთი იყო ორი
და ორივეს საქართველო ერქვა.

შერიგებას მომავალი ითხოვს
და დრო გადაქცეულია გლოვად,
ერთმანეთი დაგვავიწყდა თითქოს,
აღარ გვახსოვს ქართველები რომ ვართ.

რად ეწოდა აფხაზეთის ომი,
რა შევცოდეთ, რომ გაგვწირა ღმერთმა,
იმ ომშიაც ერთი იყო ორი,
და ორთავეს საქართველო ერქვა.

***

რომ მეცხოვრა თბილისში
პლეხანოვზე, ვერაზე,
ცოტა მეტი მეფიქრა
დროზე, ბედისწერაზე.

მექნებოდა უფლისგან
უფრო მეტი შეწევნა,
ვინ მიშლიდა, რაც მსურდა,
როგორც მსურდა, მეწერა.

ანდა ვინ დამიშლიდა
რუსთაველზე ხეტიალს,
ჩასულს დედაქალაქში,
ქუთაისელ ტეტიას.

მეც თავს მოვიწონებდი
თბილისელის ღირსებით,
ქუჩა–ქუჩა ვივლიდი,
გახეხილი ჯინსებით.

ცისფერ ეკრანებიდან
მეც მრავალჯერ მნახავდით
ჩემი მოსაზრებებით
აჭრელებულ ქაღალდით.

პროვინციებს მოვფენდი
ჩემს სურათებს პროფილით,
ვიქნებოდი მოქმედი...
სიფათით — კმაყოფილი.

დავრჩი პროვინციაში
დროით უკმაყოფილო,
რასაც მომამადლიან,
ვიზოგებ და ვყოფინობ.

ხმას ძლივს ვაწვდენ შორიდან
მოფუსფუსე პარტიებს,
ანდა რომ ვთქვა, რაც მინდა,
მაგას ვინ მაპატიებს.

კი არ ვყვირი, ვჩურჩულებ,
კი არ ვიბრძვი, ვწუწუნებ,
ღმერთს მადლობის მაგივრად
ჩემს გაჩენას ვუწუნებ.

რომ მეცხოვრა თბილისში,
პლეხანოვზე, ვერაზე...

***

სიტყვას ვთეს და სიტყვას ვიმკი,
სიტყვა სულის წამალია,
სიტყვის აქეთ სამოთხეა,
სიტყვის იქით წკვარამია.

ვაჩუქურთმებ, სიტყვით ვაგებ
თვალუწვდენელ ღვთიურ ტაძრებს,
სიტყვა იბოგინებს, გასძლებს,
კლდეს დუმილი ჩამოაქცევს.

ვკვდები, სიტყვა მიმაცილებს,
სიტყვაში ვარ, ვცოცხლობ, როცა,
რაც დუმილმა წარიტაცა,
დამიბრუნა, სიტყვამ მომცა.

სიტყვით ვმეფობ სიტყვის მონა,
სიტყვის იქით ვიმზირები,
წყალშერეულ ქვიშასავით
სინანულში ვიზილები.

და ხმაურობს სიტყვა მსუყე,
სიტყვა ტკბილი, სიტყვა მკაცრი,
სიტყვას განსაცდელში ვფანტავ,
სიტყვას არაფერში არ ვცვლი.

ვიმორჩილებ სიტყვის კაცებს,
ვმოსავ უსათნოეს ფიქრით,
არაფერი არ არსებობს
უკეთესი, სიტყვის იქით.

სიტყვა მარადიულია,
ფერს არ იცვლის, არ ხავსდება,
რაც დრო გავა, იხასხასებს,
ერთიორად დაფასდება.

საკუთარ თავს სიტყვაში ვცვლი,
სიტყვით ვაცოცხლებ და ვმარხავ,
თუ ისურვებ, დამაკვირდი
და სიტყვაში დამინახავ.

ვაფასებთ!

გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია მიენიჭა ბეჭან ნამიჭეიშვილს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის უცხოეთში პოპულარიზაციისათვის და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

ველოდან, პოეტი ქალბატონი მაყვალა გონაშვილი - გააგრძელა საუბარი ივანე პერევერზინმა - ქალბატონი, რომელიც სიკეთისა და ნიჭიერების სიმბოლოა, მას არაერთ ქვეყანაში იცნობენ და უყვართ. ასე რომ, ვაჯილდოებთ მის მშვენიერ კრებულს „დაგვიანებული შეხვედრა“ და ყველა აქ დამსწრეთა სახელით მივმართავთ: თქვენი სახით მწერლობას ჰყავს სათნო ქალბატონი, ბრწყინვალე პიროვნება და ქართული მწერლობის ერთ-ერთი ლიდერი. ასევე აღსანიშნავია, რომ წელს ლაურეატი გახდა საბავშვო მწერლობაში ლუდმილა მეჟინში რიგიდან. ლუდმილა საბავშვო მწერლების გაერთიანებას ხელმძღვანელობს და სამი საბავშვო კრებუ-

ალიანდა

მწერალთა კავშირების საერთაშორისო გაერთიანებამ უკვე რამდენიმე წელია დააარსა სერგეი მიხალკოვის სახელობის საერთაშორისო პრემია, რომელიც მწერლებს ყოველ გაზაფხულზე წლის საუკეთესო წიგნისთვის ენიჭებათ და რუს მწერლებთან ერთად სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატორებიც ჯილდოვდებიან. ტრადიცია არც წელს დარღვეულა და ვლადიმერ კრუპინთან, ივანე ვასილევთან, ნიკოლაი კრასოლნიკოვთან, ვლადიმერ მუსალიტინთან ერთად ქართველ პოეტს მაყვალა გონაშვილს და ლატვიელ ლუდმილა მეჟინშსაც ერგო პატივი სერგეი მიხალკოვის სახელობის პრემიის ლაურეატები გამხდარიყვნენ.

ცერემონიის გახსნაზე მწერალთა კავშირების საერთაშორისო გაერთიანების თავმჯდომარემ ივანე პერევერზინმა ბრძანა: „სერგეი მიხალკოვი, გენიალური მწერალი და მოქალაქე, მართალია აღარ არის ჩვენ რიგებში, მაგრამ მისი სახელი ყველა იმ ადამიანის გულშია, ვინც იცის ჭეშმარიტი ლიტერატურის ფასი. მინდა ეს პრემია მივულოცო ვლადიმერ კრუპინს, ის ხომ დიდი ლიტერატურული კოჰორტის უკანასკნელი მოჰიკანია, სინდისი წარსულისა და თანამედროვე ეპოქის, ქრისტიანული ტრადიციების გამგრძელებელი და უფლის გზით მავალი. მას უდიდეს პატივს სცემდნენ და დღესაც ეთაყვანებიან კოლეგები და მკითხველები. მის მეგობარს, ვალენტინ რასპუტინს იგი განსაკუთრებით უყვარდა და ბრძანებდა: „მომავალი კიდევ უფრო მეტად დააფასებს კრუპინის ღვაწლსო“. „ჩვენ განსაკუთრებული სტუმარი გვყავს საქართ-

ლის ავტორია. მის ლექსებზე არაერთი საბავშვო სიმღერაა შექმნილი“.

ივან პერევერზინმა ლაურეატის წოდება გადასცა ივან საველევს რომანისთვის „ორი, მესამე და ყველა დანარჩენი“. კავშირის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რომანი მნიშვნელოვანი შენაძენია მკითხველისათვის. საველევი შოლოხოვის, მაიაკოვსკისა და სხვა პრემიების ლაურეატი, არაერთი რომანის ავტორია. მიხალკოვის პრემიით დაჯილდოვდა ასევე ჟურნალ „ფორუმის“ რედაქტორი ვლადიმერ მუსალიტინი ნაყოფიერი პუბლიცისტური მოღვაწეობისათვის და ნიკოლაი კრასილნიკოვი წიგნისათვის „დაკარგული სამოთხე“.

აღსანიშნავია, რომ მიხალკოვის პრემიის მიმნიჭებელ კომისიაში იყვნენ ისეთი ცნობილი ლიტერატორები, როგორიცაა სტანისლავ კუნიაევი, ვალენტინ სოროკინი, ლეონიდ კარბეკოვი, ვლადიმერ ბოიარინოვი, ანატოლი პარპარი, ლუდმილა სალტიკოვა და სხვები.

ზაზა ურუშაძე

პენსიონერის ჩივილი

კაცო, აი კარლოიე რამ გადარია ვერ გევიგე. აგინებს კომუნისტებს, მაგენის დედა ვატირე, დამოუკიდებლობა წაგვართვესო, - ყვება ლადიკო თავის მეზობელზე.

გუშხამ კაღამ მოვკალი ყანაში. კაია, რომ ვშიმშილობთ, ამაზე უკეთეს დროს სა ნახავ. ბევრი ჭამა გლახაა ჯანმრთელობიზაო. თლა გააბდლებულა მაი გაჭირვებული, რავა ვიცოდი. არადა, კომუნისტებმა მაი ბლუი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს უშველებელი სოფლის. მე უთხარი, კი იყო კომუნისტები გადასაყრელი, შენფერი ბლუი საბჭოს თავმჯდომარედ რომ დანიშნეს-თქო! მეო, მითხრა, არ მინდოდა მაი თანამდებობა, მარა ძალით დამნიშნესო. მე უთხარი, რაის ძალით დაგნიშნეს, შე უპატრონო. მამაშენმა რაიკომში ნასიარულები სამი წყვილი „ტუფლი“ დახია, ბიჭი დამინიშნეთ საბჭოს თავმჯდომარედ, ძველი ბოლშევიკი ვარო. დაგავიწყდა ხომ? მერე გამსახურდიას მხარეს რომ გადაი, რა გეგონა, აგაშენებდნენ? რამდენი გზობა ჩაი თბილისში და აფრიალე დროშა (უტევს ლადიკო კარლოს). მაგ დროშის ფრიალს ერთი ძირი ხე დაგერგო შენი სახლის გვერდზე, რომ წაგიღო ქარმა.

კაი, დამანებე, ლადიკო, თავი, თუ კაცი ხარ. გყავდეს მაი კომუნისტები და იყავიო. მოკლედ, ქი გადამრია კაცი - აგრძელებს ლადიკო. დავანებე სიმინდის ტეხვას თავი და მაგას ვსდევდი ყანაში. გასაკვირი, რაა ბიძია, იცი? რაფერ დუუბნელდა ამ ხალხს ასე თვალი. აი კომუნისტებიც აბდლები იყო, თვარა რაფერ გვარჩენდა ამდენ მუქთახორებს. ბიძია, კარლოიე რომაა, მაგფერმა უმუშევრებმა არია აი ქვეყანა. 70 წლისაა მაი პირძაღლი და ჭკუა ვერ ისწავლა, კაცო - აგრძელებს ლადიკო. სტუმრის მოსვლა მეშინია, აგია წყობა? გუშხამ ვინცხამ ჭიშკართან დეიძახა. რავაც კი დაძახების ხმაი გევიგონე, ვფეთქე უკანა კარი და გევიქეცი. ორი დღეი სახლში აღარ მოვსულვარ. საჭმელის „შკაფზე“ ბოქლომი მაქ დადობილი, ვინმემ არ გააღოს. ამის წინ ოზურგეთში ვიყავი და დევინახე კარგად გამოწყობილი კაცი რაფერ იყო ჩაყუდებული ნაგვის „იაშიკში“. ახლოს რომ გუუარე, გაი აქედანო, მიყვირა. იფიქრა ჩამეზიარებაო. მე უთხარი, არა ბიძია, არ გეზიარები, ღმერთმა შეგარგოს! ხალხს სახეზე ვეღარ იცნობ, იმფერ დღეში არიენ. მთელი კუთხე რომ მეიარო, ფეხის ალაგს ვერ ნახავ. ტვალეტი რათ უნდა უჭმელ კაცს. მაქფერი პურმარიალიანი კუთხე, გურია რომ იყო, სა ნახავდი? ახლა ამ დღეში ვართ ჩავარდნილი. 125 მანეთი გვქონდა პენსია და რასაც გინდოდა, ყიდულობდი. ყორიფელზე გვყოფნიდა. ახლა 25 მანეთი გვაქ და ერთი მეშოკი შაქარი არ მოგვდის. მაგ კტარძაღლ კარლოიას მინდა ერთი კუპლეტი ლექსით დუუმთავრო ლაპარაკი, თუ მიხთება, კიდო არ ვიცი:

ას ოცდახუთი მანეთი
თუ არ იყო კაი პენსია,
მოი, დაჯე და მითხარი,
შტერი თუ არ ხარ, ლენჩია.
ახლა 25-ს გიხდიენ,
რომელი წყობა გერჩია?

„და სულ ეჯობა შემოღგომა საღ ემიგრანტს“

თავისუფლებას ფართე გაგება აქვს, სამშობლოდან შორს საბერძნეთში, ემიგრაციაში მყოფმა, ქალების დიდმა გუნდმა თითქოს დავკარგეთ იგი, მაგრამ გაბედულად გადადგმული ნაბიჯით უფრო თავისუფალნი გავხდით, განა თავისუფლება არ არის ასეთი დიდი გადაწყვეტილების მიღება, ყველა წინაპირობის გარეშე, ეს ჩვენი შემოქმედებითი უნარია, რომელმაც არ მოგვასვენა და უკეთესი ბედის საძებნელად წამოგვიყვანა, ვინ როგორ ადაპტირდება ახალ გარემოში და რა მოთხოვნებს უყენებს თითოეული ჩვენგანი ცხოვრებას ეს უკვე სხვა თემაა.

სიცოცხლე მით არის ლამაზი, რაც მეტ ფერთა სიმრავლეს დაიტევს, ბუნებამ შექმნა მასავით ჭრელი, მისი კარგით და ცუდით, რომელიც სწრაფი დინებით მიედინება, ჩვენ ამ მდინარის ის განშტოება ვართ, რომელიც ბედისწერამ საზღვარგარეთ მოგვახვედრა და ტკივილით ვუძლებთ სიშორეს, მაგრამ დიდი გამოცდილება მივიღეთ, შორიდან უკეთ დავინახეთ სამშობლო, შედარების მეტი საშუალება მოგვეცა და უფრო ფრთხილნი გავხდით.

სამშობლოდან შორს, ემიგრაციაში, სულით გაუტეხავმა, შემოქმედმა ნიჭიერმა ქართველმა ქალებმა, დაუღალავი შრომით ღრმად გააზრებული, სევდიანი პოეზია შექმნეს, რამაც ულამაზეს თაიგულად აქცია ისინი, რომლის თითოეული წევრი სხვადასხვა სურნელს გამოსცემს და ყველა ერთნაირად ამშვენებს მას, სწორედ ამ თაიგულის უმშვენიერესი ყვავილია ზაირა კეღოშვილი, რომლის მეორე კრებულის „ცას ასხლეტილი ცრემლის“ პრეზენტაცია მოეწყო, რომელშიც მისი ახალი ლექსები, ჩანაწერები და მინიატურებია შესული. 2016 წლის 17 აპრილს ქალაქ ათენში, ემიგრანტ ქალთა კავშირთან არსებულ საიმფორმაციო და შემოქმედებით ჟურნალ „ემიგრანტი ქალის“ (დამფუძნებელი ნუნუ ღურჭუმალიძე) ინიციატივით კულტურისა და განათლების ცენტრ „არმაზში“ (ხელმძღვანელი თეა რეხვიაშვილი), ემიგრაციისათვის საყვარელი პოეტის ზაირა კეღოშვილის, განსაცვიფრებლად პატრიოტული გრძნობების მატარებელ შემოქმედებით საღამოს, მრავალი ქართველი და ბერძენი მეგობარი დაესწრო, რომელთაც სამშობლოს გარეთ უწევთ დღეს ლიტერატურული მოღვაწეობა.

ჟურნალ „ემიგრანტი ქალის“ რედაქტორის მაყვალა მესხაძის მიერ მიმოხილულ იქნა პოეტის მრავალფეროვანი და საინტერესო შემოქმედება.

სამშობლოს უსაზღვრო მონატრების და სიყვარულის მოტივი წარმოდგენილ იქნა ფილოლოგ ნინო ფრუიძის მიერ. ემიგრანტი ქალის შემოქმედებაზე ისაუბრა მწერალმა შორენა შენგელიამ, შემოქმედების მხატვრული და ესთეტიკური მხარე წარმოადგინა ჟურნალისტმა ირმა ქავთარაძემ, პროფესორმა ნატო მელქონაშვილმა, ნაწარმოებებს კითხულობდნენ ქალაქ ათენში მცხოვრები მსახიობები, პატარა ემიგრანტები. საღამოს აფერადებდა ქართული ცეკვა-სიმღერა.

მხურვალე ოვაციებს და ყვავილების წვიმას ერწყმოდა ემიგრაციის მარწუხებში გამომწყვდეული ქართველი პოეტის ნოსტალგიადამარცხებული სტრიქონები და აკროპოლისის სანახებში ქართული სიტყვაკაზმულობა ზეიმობდა.

სამშობლოდან შორს, ემიგრანტად ქცეული მესხი პოეტის სიყვარულით, მონატრებით, სულიერი სიმტკიცითა და კეთილშობილებით გაჯერებული სტრიქონები ქართული სულიერების საგანძურია. ეს ფაქიზი სულის ადამიანი პოეზიის სიყვარულით ცხოვრობს, ტკივილით ქმნის ემიგრანტულ შემოქმედებას და ასევე ლამაზად, მხატვრულად გვაზიარებს პოეზის სიბრძნეს, მის სულში გვახედებს და თანამოაზრედ გვაქცევს.

ქართველი ქალი ღირსეული ძალაა დღეს ემიგრაციაში, რომელიც მიუხედავად დიდი სირთულეებისა, უამრავი ბრძნული გამონათქვამით, დღევანდელ სინამდვილეს და ყოფას ასახავს, რომელიც ალბათ წლების შემდეგ თვალმარგალიტივით დაამშვენებს ქართველი ქალის სახეს და ქართულ მწერლობასაც. მათ მიერ ალალად ნათქვამი სიტყვა, ჩვენი ტრაგიკული ისტორიის ერთგვარი მატიანეა, რომელსაც ბევრი ემსახურება დღეს საზღვარგარეთ.

„სტუმარს, თავნებას ვინ მელოდა
ათენის კართან?!..
ძალას მოვუხმე, შევღაღადე,
ზეცას შევბღავლე,
მდუღარე ცრემლი შევიმშრალე
კაბის კალთაზე,
თავი ვიპოვე, ავდექი და დარდს გავეცალე....“

„ცუდშიც უნდა ეძებო კარგი და აუცილებლად იპოვი სიკეთის მარცვალს, დაინახავ სხივს, ჭრაქს, თუნდაც ოდნავ მბჟუტავს, უკვე დრომოჭმულს, მაგრამ სინათლის მსახურს“.

„ღმერთი ფარავდეს უცხო მიწაზე გაბნეულ ქართველ ქალებს“.

ემიგრანტი ქალები

შემოქმედის პოეტური და ადამიანური საგრძნობი

ეკა ცხადაძე

დავით გიორგის ძე გაბუნია აფხაზეთიდან წამოსული და დედაქალაქში დამკვიდრებული შემოქმედია, მრავალ ქარტეხილს გადარჩენილი და ქართული სახელმწიფოს სვე-ბედზე მოფიქრალი. წელს მას 85 წელი უსრულდება, რომელსაც პირნათელი და ვალმოხდილი ეგებება.

დავით გაბუნიას მამა გიორგი კონსტანტინეს ძე გაბუნია სენაკელი აზნაური იყო, რომელიც 1924 წლის ეროვნული მოძრაობის ტრაგიკულ და ჰეროიკულ პერიპეტიებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. დედა, მინადორა ბეჟანის ასული კოტია, ბავშვობიდანვე უნერგავდა ცოდნის სიყვარულს და შვილებს „დედა ენასა“ და „ბუნების კართან“ ერთად ხალხში გავრცელებული ლეგენდებისა და თქმულებების კეთილშობილური ატმოსფეროს აურაში ზრდიდა. ამგვარ ტრადიციულ და პატრიარქალურ გარემოში ეზიარა დავით გაბუნია ქართული სამყაროს მწიგნობრულ თუ ხალხურ პოსტულატებს, რამაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა მისი პოეტური ნატურა და მხატვრული გემოვნება.

დავით გაბუნიამ შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი აფხაზეთში გაატარა, სოხუმში იპოვა თანამოაზრეები და მეგობრები, რომლებთანაც ერთად ახალგაზრდა მწერალთა წრე ჩამოაყალიბა. წრის წევრები იყვნენ: გენო კალანდია, მურმან ხურცილავა, ოთარ მიქაძე, ჯანო ჯანელიძე, ა. ხარეიშვილი, ა. მიქაუტაძე, ბ. მეტრეველი.

ახალგაზრდების ამ ჯგუფმა არაერთ სერიოზულ წნეხს გაუძლო, ზოგი მათგანი სერიოზულ შემოქმედად იქცა და დღემდე ემსახურება ქართულ მწერლობას. დავით გაბუნიამ მთლიანად გაითავისა უანგარო და პატრიოტი ადამიანის ხვედრი და მხოლოდ მოგვიანებით შეძლო საკუთარი შემოქმედების სრულად გამომზეურება _ მკითხველამდე მიტანა. 1965-1992 წლებში იგნორირებული იყო მწერლის აქტიურობა და მას არ ეძლეოდა საშუალება, რომ სათანადოდ წარმდგარიყო ქართველი საზოგადოების წინაშე.

2000-2001 წლებში მწერლის ორი კრებული გამოვიდა - „ზარები ნიჟარებში“ და „ფოთოლცვენის ლანდები“. 2012 წელს გამოიცა ოთხტომეულიც, რომლის შემადგენლობაში 2700-მდე ლექსი და სამი პოემა შევიდა. ამ შთამბეჭდავი გამოცემის საქმეში დავით გაბუნიას დიდი დახმარება გაუწია მეუღლემ, ჟურნალისტმა, პუბლიცისტმა და მთარგმნელმა დოდო ნარმანიამ. აღსანიშნავია, რომ დავით გაბუნია და დოდო ნარმანია ინტენსიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევიან, მალე ცალკე წიგნად გამოვა მათი ერთობლივი ნაშრომი, რომელსაც ინტერესით ელის მკითხველი. ამ ინტელექტუალი და შემოქმედი წყვილის სხვადასხვა დროს ნათარგმნი ტექსტები საზოგადოებამ იხილა ცალკეულ კრებულებსა და პერიოდულ გამოცემებში.

დავით გაბუნიას ოთხტომეულის მოცულობა და მხატვრულ-გამომსახველობითი მხარე მართლაც შთამბეჭდავია, მთელი შემოქმედების მთლიანობაში აღქმა და გაგება საშუალებას იძლევა, თვალი გავადევნოთ ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ბედისწერას იმპერიის ხანაში და მის შემდგომ; ასევე განათლებული და პატრიოტი ადამიანის ჰუმანურ პოსტულატებს და აზრთა ხვეულებს.

მართალია, ბატონი დავითი ცალკე ავტობიოგრაფიულ წიგნზეც მუშაობს, მაგრამ მის მხატვრულ ტექსტებში კარგად არის ასახული შემოქმედი ადამიანისთვის ბედისგან გამეტებული ყველა სიხარული და მწუხარება, პიროვნული თუ საზოგადო განსაცდელი, ოჯახური ბედნიერება და ეროვნული ტკივილი.

ოთხტომეულის საერთო სახელწოდებაა „ცისა და მიწის ოთხი ხეივანი“, საკუთრივ პირველი ტომი „ვარდფურცლობის დღესასწაულად“ იწოდება, მეორე ტომია „კივიან სამრეკლოს ზარები“, მესამე „ფერიცვალების ველი“, ხოლო მეოთხეს „სიშორის ფესვები“ ჰქვია.

პირველი ტომის მასალა ახალგაზრდობის, სიყვარულისა და განგების ნების გამოვლინებებს გვამცნობს; პოეტის სულზე დამჩნეულ იარებს და ხალას შთაბეჭდილებებს ამზეურებს. მთავარი მზე, სიყვარული და ახალგაზრდობაა, რომლის აჩრდილი მოსვენებას უკარგავს მარად მაძიებელ შემოქმედს.

დავით გაბუნიას ახალგაზრდობის მუზა სიყვარულისა და მოლოდინის დომინანტით გვამახსოვრდება. შინაგანი ფორიაქი, იმედები და სევდანარევი სიხარული ახალგაზრდა კაცის მსოფლაღქმას უკიდურესი გრძნობებით ავსებს.

„სიყვარული“ არის ე.წ. „საპროგრამო“ ლექსი ყმაწვილობის ასაკში დაწერილი, სადაც დეტალებშია გადმოცემული ის ცვალებადი განწყობილებები, ის წინააღმდეგობრივი განცდები, რომლებიც გზის დასაწყისში მყოფ ინდივიდს სულს უშფოთებენ. „სიყვარული“ 1951 წელს დაიწერა:

„ მდინარის ფსკერზე გაწოლილია თეთრი ღრუბელი
დაკემსილი თეთრი ძაფებით
და დაძარღვული მწვანე ფოთოლი ტკაცუნობს მზეზე...
ჩვენ მიმოვდივართ, საყვარელო,
ფარული თრთოლვით
და ერთმანეთზე, ო უზომოდ შეყვარებულებს,
მომავალ დღეთა აღარ გვაკრთობს
სევდა და შიში!“

ამ ტექსტში პირველად ჩასახული გრძნობისადმი გულუბრყვილო რწმენა სჭარბობს, შეყვარებული ჭაბუკის განწყობა უღრუბლო და ამაღლებულია; არც შიში და არც სევდა არ თრგუნავს მას და ყველაფერი გაზაფხულის, მზის და სიხარულის არეალშია მოქცეული.

ასეთივე განწყობაა სხვა ლექსშიც, სადაც გალაკტიონისეული რიტმი და მეტრია გამოყენებული:

„ გააღვიძეთ, გააღვიძეთ, გააღვიძეთ ჩქარა!
მზე მოდის და ეფინება
მინდორ ველს და შარას!...
იმ ხალისით ფეთქავს სიო, რომ ფეთქავდა წინათ
და ირხევა სივრცეებში
ოქროსფერი წვიმა!...
ისევ სძინავს, ისევ სძინავს ამ პატარა ცირას
და მის რძისფერ სარეცელზე
ყვავილები ცვივა...
გააღვიძეთ, გააღვიძეთ, გააღვიძეთ ჩქარა!
მზე მოდის და ეფინება
მინდორ-ველს და შარას!...“

დავით გაბუნიას ადრეული ლექსები მომავლისადმი რწმენით, საყვარელი არსებისადმი სათუთი დამოკიდებულებით არის აღბეჭდილი. ამ პერიოდში მისი მასწავლებელი და კუმირი გალაკტიონია, რაც ნეოფიტის დიდ გემოვნებასა და სწორ ორიენტირებზე მიგვანიშნებს.

სულის „იდუმალი სიმები“, „იისფერი მთვარე“, „ზვირთების წყება“, „ღაბუა ჩიტი“, „თრთოლვა ლაჟვარდების“ და „ცვრიან ბალახივით სული დაირწევა“ - ყოველივე ეს კიდევ ერთხელ გვახსენებენ გურამ ასათიანის მოხდენილად ჩამოყალიბებულ აზრს, რომ: „გალაკტიონის შემოქმედებაში იღებს სათავეს უდიდესი წნული ყოველივე იმ ახლისა, რაც ჩვენი დროის პოეზიაში აღმოცენდა და დამკვიდრდა და რაც მისი სიამაყის კანონიერ საგანს წარმოადგენს. ამ მხრივ იგი პირველი მასწავლებელია ქართული მწერლობის ყველა ახალგაზრდა თაობისათვის“.

დავით გაბუნიას და მისი ლიტერატურული წრის უნიჭიერესი თაობისათვის დიდი გალაკტიონი უპირველესი მეტრი და მასწავლებელი იყო, ამით ისინი აღიარებდნენ ევროპული პოეტური ხედვისა და ტრადიციული ქართული ლიტერატურის სინთეზის გამარჯვებულ ექსპერიმენტს.

საგანგებოდ გამოვყოფთ დავით გაბუნიას პოეტური ექსპერიმენტის ნიმუშს „ზღვა აღარ იყო მშვიდი“, რომელიც 1964 წლით თარიღდება და რომლიდანაც კარგად ჩანს პოეტური გემოვნებაც და სამომავლო ორიენტირებიც:

„თეთრი ღრუბლების ფონზე ისევ მოცურავს მთვარე,
ბევრჯერ მომტაცე მზერა,
ბევრჯერ ავყევი ქარებს.
ზღვაზე გავშალე აფრა, ზღვა აღარ იყო
მშვიდი,
მე შევიყვარე მძაფრად
შენი თვალების ბინდი!
შინდის ბაგეთა გემო და შენი ნისლის რიდე,
ო, შორეულო ჩემო,
როდის შევხვდებით კიდევ?!“

დავით გაბუნია ცხადად ხედავს ჩვეულებრივი ადამიანებისაგან შეუმჩნეველ ფერებს გარემომცველ საგნებსა თუ მოვლენებში. მთელ რიგ ლექსებში პოეტი გაზაფხულს, აპრილს და ადვილად მოწყვლად გულს აყურადებს, სიჩუმეში აღიქვამს ბუნების ფერადოვნებას და ცდილობს ჩაწვდეს კოსმოსის საიდუმლოს. ერთგან მარადისობის კოსმიური ხილვა ასეა გადმოცემული:

„ზეიმობს ზღვა ანგარების, არიან უანგარონიც!
ასე ინება განგებამ მარადისობის კანონით!
მოვა ჟამი და ყვირილით მოსეს
დაამხობს არონი!
ცას ორბი გადიყივილებს მარადისობის
კანონით!
ზღვა ბობოქრობს და ირევა,
მოიმღერიან წყარონი,
ბუნებამ ასე ინება მარადისობის კანონით!
დროს კალმით ბევრი ედავა, იზნიქებიან
თარონი!
და მიჰქრის ოთხი მხედარი
მარადისობის კანონით!“

დროსთან „დავა“ და კამათი ამაოდ მიაჩნია პოეტს, მაგრამ კაცობრიობა სწორედ დროსთან გაჯიბრებით არის დაკავებული. „მარადისობის კანონი“ ზოგისთვის ცხადია, ზოგისთვის გაუგებარი, მხოლოდ ძლიერი ინტუიციის და ნების მქონენი განიცდიან მის არსებობას და შესაბამისად არც ეპუებიან. პოეტი თავისებურად აანალიზებს ჟამთა ცვლას და ისიც უწყის, რომ „ცვივა სიცოცხლის ყვავილი მარადისობის კანონით!“

ქართულ კლასიკურ მწერლობაში მუდამ აქტუალური იყო „ჟამთა ცვლისა“ და წუთისოფლის სიმუხთლის თემა, დავით გაბუნიაც ვერ აცდა მას და თავისებურად გადმოგვცა სიხარულისა და ტკივილების მონაცვლეობს, ოღონდ იმგვარად, რომ აერიდა „სულის უღიმღამობას“ და „ფაუსტის შეგირდობას“, მან თავიდანვე ირჩია „მღელვარე და დაუმცხრალი“ მზიური ყოფა.

„მზიური ყოფა“ არის ის ტერმინი, რომლის აზრობრივი სათავეც მოყვასის, ახლობლის და ზოგადად კაცობრიობის სიყვარულია. დავით გაბუნიას პოეზიაში ხშირია გაზაფხულის, მზის, ბავშვების, ლაჟვარდების ხსენება. ისინი უბრალო პოეტური სამკაულები კი არა, პოეტის არსებობის ორგანული ნაწილები არიან. სწორედ რწმენასა და უანგარობაზეა დაფუძნებული მარადიული ცვალებადობის და დაუცხრომლობის ტენდენციები. დავით გაბუნიასეული „ოთხი მხედარი“ არის „ცისა და მიწის ოთხი ხეივანი“ მისი უანგარობით გამთბარი და მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილი.

ოთხტომეულის მეორე წიგნი თემატურად არის შედგენილი და XX საუკუნის ურთულესი ცხოვრებისეული გაკვეთილების გათვალისწინებით ეწოდა „კივიან სამრეკლოს ზარები“. მკაფიოა „ცხოვრების სუსხის“, „ჯალათების“, „რწმენის“, „აშოლტილი სატრფოს“, „ყველას კუთვნილი მზის“ და ათასი ადამიანური ტკივილისა თუ სიხარულის ანარეკლი.

ვალმოხდილი და სათანადოდ დაუფასებელი შემოქმედი, ურთულეს წიაღსვლებს გადარჩენილი, ასე აფასებს საკუთარ პიროვნებას:

„მე შვიდ ათეულ წელიწადს გავცდი
და სიშორეში
მივალ ეული!..
ტყვე ნუ გგნივართ, საკუთარ განცდის
და უიმედოდ
გზააბნეული!..
მე ქვეყნად ბევრჯერ მივწვდი საწადელს,
თუმც მომკიოდა
ჟამი წყეული!..
მიმაქვს ბრძოლებში გული ნაცადი
და დროის რისხვით
ვერდაძლეული!“

ერთიმეორეს სრულიად ბუნებრივად ენაცვლებიან ინდივიდის განწყობანი და რეალობის შეფასებები. ურთულესი ეპოქის შვილი გრძნობს ისტორიის ბედისწერას და „სატანის“ სითავხედეს, რომელიც სიავის შემოქმედია და სასტიკ სახეს ყველგან აჩენს: „ისევ ახალი ხოცვა და ჟლეტა და ზღვა ქანაობს გარშემო სისხლის!..“; ბარბაროსობას და სამშობლოს „გაპარტახებ-გამინდორებას“ სევდა და სასოწარკვეთა ახლავს; სიცოცხლის მშობელი პლანეტა სარბიელია „ყველა ქვეყნის არამზადების“ და „მზე ჩამავალი იზმორება სველი თვალებით“...

დავით გაბუნიას დღენიადაგი დაკვირვებისა და განსჯის შედეგია შემდეგი სტრიქონები:

„რა გეშველება, უმოწყალოდ გულო დაჭრილო!
ვის სჭირდებოდა ეს ქალაქი, ან ეს სოფელი?
იქნებ არც იყო ამ მიწაზე მოსვლა საჭირო,
თუ იქნებოდა ხოცვა-ჟლეტა დაუნდობელი?!“

პოეტს გამუდმებით უხდება ცხოვრებისეული მრავალფეროვნების განცდა და შეფასება, აქედან გამომდინარეობს მისივე სტრიქონების სიჭრელე და სიღრმე.

მესამე ტომი, „ფერიცვალების ველად“ სახელდებული, ისევ და ისევ ბედისწერის დომინანტს წარმოადგენს. უამრავი პოეტური ხატსახე გადმოგვცემს შემოქმედის ტკბილ-მწარე განცდებს, მის პიროვნულ თუ ზოგადკაცობრიულ მისწრაფებებს, მისეულ ცდუნებებს, ატირებულ ტირიფებს, ცელქ ამურებს, მთვარის ქარვისფერ აფრებს, დაღლილ ფოთლებს, საწუთროს მდინარეს, უპასუხოდ დატოვებულ ძახილებს, ასრულებულ ნაირგვარ ნატვრას და ჯვრებით მოფენილ მამულის მინდვრებს.

მეოთხე ტომში, რომელსაც „სიშორის ფერები“ ჰქვია, დამუხტულია ბუნების ყოვლისშემძლეობის, სამყაროს მედინობის უნივერსალობით. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ფილოსოფიური ტექსტი „რაა სიკვდილი?“, სადაც ავტორი საკუთარ კითხვას პასუხობს და „სოფლის ბრუნვას“, „დაკაწრულ სულს“, „დროის ქარებს“ და „მიუწვდომელ შორეულს“ ბრძნული სიმშვიდით ხვდება. მან კარგად უწყის, რომ გაიფანტება „ტანის ყველა ატომი“ და სიკვდილი არის მხოლოდ „ სიშორეში ერთი ნახტომი!“

დავით გაბუნიას შემოქმედებაში საგანგებო მსჯელობის საგანია ადამიანისადმი, სამშობლოსადმი გამოვლენილი სიყვარულის თემა. ჩვენ, მისი მკითხველები, ყოველთვის ვგრძნობთ შინაგანად ძლიერი პიროვნების ფარული და აშკარა გრძნობების სიცხოველეს, იმ საოცარ სიცხადეს, რომელსაც ფერფლი ვერ მოერევა და გულიდან ვერ ამოიღებ. სამშობლოსა და წინაპრებისადმი მონიწება ისეთი უშუალობით მოდის მკითხველამდე, რომ მისგან მოგვრილი განცდები და შთაბეჭდილებები სამუდამოდ გვრჩება და გვამახსოვრდება. საერთოდ, ვისაც პოეტური ხალასი განცდები ჩვენი პროზაული დროისთვის ზედმეტად არ მიაჩნია, მას დავით გაბუნია მრავალ სიურპრიზებს ჰპირდება.

„ცისა და მიწის ოთხი ხეივანი“ შთამბეჭდავი გამოცემაა, მთლიანობაში იგი იძლევა დავით გაბუნიას, ძალიან კარგი და გემოვნებიანი პოეტისა და მოაზროვნის შემოქმედების მთლიან სურათს; გვამცნობს კეთილშობილი და უანგარო კაცის მხატვრულ შესაძლებლობებს, მთელ მის ფილოსოფიას, ხედვას და სიმბოლურ ხატწერას.

ცალკე მსჯელობის საგანია დავით გაბუნიას პოემები, რომლებსაც წერილის ფორმატის გამო ვერ ვეხებით. მხოლოდ ზოგადად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ემოციურად დატვირთულია მეორე ტომში შესული პოემა „ო, თუ გინახავთ ამგვარი რამე?!“

პოემაში აფხაზეთში ქართველთა ტრაგედიაზე, მშობლიური გარემოდან მოწყვეტასა და გაუგონარ სისასტიკეზე მოთქვამს პოეტი. დაუვიწყარია უშუალოდ განცდილი საშინელი რეალობა, რომელმაც უდაბნოდ აქცია „ზღაპრული მხარე“. პოემაში აღწერილია, თუ როგორ „შეესია ყორანი ბაღნარს“, როგორ სვამდნენ კაცის სისხლს „შარბათივით“, როგორ იმეტებდნენ ბარბაროსები ჩვილებს „ბართლომეს ღამისთვის“, როგორ დაისაჯა ამაგდარი „პოეტი ქალი“ და როგორ მოგვექცნენ „ტამერლანსა და შაჰ-აბასზე“ სასტიკი ერთმორწმუნენი. ტექსტი უამრავ სახე-სიმბოლოს და მინიშნებებს შეიცავს, თითოეული მათგანი ფიქრისა და განსჯისკენ მოგვიწოდებს.

„ვერხვი“ პიროვნული განცდების, მარადიულად მედინი დროის და წარმავალობის სევდით აღსავსე ნაწარმოებია, პირველ რიგში ავტორი აქ ბუნებასთან თანაზიარობა და დროისა და სივრცის აღქმა ნოსტალგიურ აურას ქმნის, რაც ნებისმიერი ინდივიდისთვის გასაგებად არის მოწოდებული. მხატვრული მხარე აქაც შთამბეჭდავია.

ლირიკული პოემა „სიშორის ნათელი“ ფილოსოფიური ხასიათის ტექსტია, რომელშიც „ჟამი აგორებს დინჯად კამათელს“ და „ქვეყნის გამჩენის სიდიადე“ დროსა და სივრცეში მედიტაციური მოგზაურობით იკვეთება. ძალუმად არის განცდილი წინაპრების, მეისტორიეს, მთელი პლანეტის არსი და დანიშნულება, ხოლო მთელი იმედები XXI საუკუნეზეა დამყარებული. პოემის იდეა „ბნელეთის“ დამარცხების აუცილებლობაში მდგომარეობს, რაც ისევ და ისევ ადამიანთა ხელშია.

ჩვენ ზოგადად მიმოვიხილეთ ბატონი დავითის შემოქმედება, მისი ადამიანური და შემოქმედებითი საზრისი, ის უკიდეგანო ჰუმანიზმი და იმედები, რომელიც ამ შესანიშნავმა პოეტმა და პიროვნებამ მტანჯველ განცდათა წიაღიდან წარმოგვიდგინა. დავით გაბუნია, როგორც შემოქმედი და მოღვაწე, მართლაც იმსახურებს ქართული საზოგადოებისაგან სათანადო შეფასებას, დაფასებასა და აღიარებას.

ძნელია დავით გაბუნიას ოთხტომეულში თავმოყრილი ყველა კარდინალური საკითხის სკრუპულოზურად წარმოჩენა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ვინმე შესაფერისად ასახავს მწერლის ყველა ღირსშესანიშნავ ადგილსა და პასაჟს. ჩვემ ამჯერად მხოლოდ ზოგადი რაკურსით შემოვიფარგლეთ.

2016 წელს ბატონ დავით გაბუნიას, მაისში, დაბადებიდან 85 წელი უსრულდება. ამასთან დაკავშირებით ავტორს ვუსურვებთ სულიერ სიმხნევეს, ახალ-ახალ პოეტურ ხილვებს და მშობლიურ აფხაზეთში კვლავ დაბურნებას. ჩვენს წერილს პერსი ბიში შელის ლექსის („მერი გორდვინს“) მისივე და მისი მეუღლის, ქალბატონ დოდო ნარმანიას თარგმანით დავამთავრებ:

„...რომ შენც გიყვარვარ, ეს ცხადია,
არა ზმანება
და ვგრძნობ მაგ სულის აღტაცებით ნანახს
და განცდილს!
ახლოს ხარ ჩემთან, ვით ღამესთან დღის
ელვარება,
როგორც სამშობლო გაძევების მომენტში
კაცის“.

ჩვენც ბატონ დავითს და მის მეუღლეს ქალბატონ დოდოს _ დონა კოლხს, ყველა ლტოლვილს „სამშობლო გაძევების მომენტში“ _ გაძევებულს სამშობლოდან (აფხაზეთიდან) შინ ღირსეული დაბრუნება ვუსურვოთ, „დღის ელვარება“ არ მოჰკლებოდეთ მათ მწერლურ სამყაროს ფერისცვალებით სავსე წუთისოფლის გზაზე.

თამაზ ჭილაძე – 85

85 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თამაზ ივანეს ძე ჭილაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო თამაზ!

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან XX-XXI საუკუნეების ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ჭეშმარიტ ერისკაცს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში _ დაბადების 85 წლისთავს.

თქვენი საიუბილეო თარიღის აღნიშვნა მხოლოდ ჩვენი, ქართველი მწერლების, ზეიმი არ გახლავთ. ეს ქართული კულტურის, ქართული ხელოვნების ზეიმია, რომელსაც ასე ერთგულად, ასე ღირსეულად, მორჭმით ემსახურებით ათეული წლების განმავლობაში.

თქვენ ხომ XX საუკუნის იმ ლიტერატურული თაობის ერთ-ერთი მესაძირკვლე წარმომადგენელი ბრძანდებით, სამოციანელთა სახელით რომაა ცნობილი და რომელმაც XX საუკუნის მეორე ნახევრიდან თავის მძლავრ ქედზე ამაყად და შეურცხვენლად ზიდა ქართული მწერლობის სახელი და დიდება.

ერთნაირი ძალმოსილებით იღვწით პოეზიის, პროზის, დრამატურგიისა და ესეისტიკის დარგებში და დიდი წვლილი შეგაქვთ XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის ქართული ლიტერატურის წინსვლასა და განვითარებაში.

თქვენი სახით თანამედროვე ქართულ პოეზიას ნატიფი და დახვეწილი ლირიკოსი ჰყავს და ეს თქვენი პოეტური დებიუტიდანვე გაცხადდა, როდესაც მკითხველს წარუდგინეთ უფაქიზესი სულის მატარებელი ლირიკული გმირი, პოეტური ხილვებით, პოეტური სახეებით რომ იყო დამუხტული და თავისი განცდების, ტკივილების თანაზიარს გვხდიდა. სწორედ ამიტომ გვიზიდავს ასე ძალუმად თქვენი პოეტური კრებულები („ღია სარკმელი“, „ივლისი“, „მზის საათი“, „მახსოვრობა“...), რომელთა პოეტური მეტყველების ხაზგასმული ექსპრესიულობა თქვენი ლირიკის არსებით ნიშანს წარმოადგენს...

დიდებული პროზაიკოსი ბრძანდებით. თქვენი საუკეთესო პროზაული ნაწარმოებები სამაგალითო მაღალმხატვრულობითა და სიზუსტით ასახავს ჩვენი თანამედროვის ყოფასა და საფიქრალს. მათში პერსონაჟთა პოზიციისა და მსოფლმხედველობის გვერდით დამოუკიდებლად და გამოკვეთილად არსებობს ავტორისეული პოზიცია და მსოფლმხედველობა. თქვენი პერსონაჟები ებრძვიან ბოროტებას, ავკაცობას, სიფლიდეს და ფარისევლობას, მაგრამ, უპირველესად, საკუთარ თავს ებრძვიან, ცხოვრების არსში გარკვევას და იმ ძირების შენარჩუნებას ცდილობენ, რომელთა გარეშე ადამიანურ ყოფას ადამიანური აღარ ერქმეოდა. ამის დასტურია თქვენი რომანები და მოთხრობები, ისეთები, როგორიცაა „აჰა, მიიწურა ზაფხული“, „თეთრი კვამლი“, „პოსეიდონის სასახლე“, „აუზი“, „წერო“, „მდგმურები“, „გასეირნება პონის ცხენით“, „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე“, „ბრეიგელის მთვარე“, „იები“, „კაკტუსის ბაღი“, „ჩამავალი მზის სხივი“...

მართლაც რომ ბრწყინვალე დრამატრგი ბრძანდებით თქვენი პიესების („მკვლელობა“, „დავიწყებული ამბავი“, „ბუდე მეცხრე სართულზე“, „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, „ჩიტების ბაზარი“, „ნახვის დღე“, „ელისაბედ, ელისაბედ“, „ნოეს კიდობანი“, „სიზმრების ახსნა“, „არაბეთის სურნელოვანი ბალახები“, „ნადირობის სეზონი“...) მიხედვით შექმნილი სპექტაკლები ამშვენებენ უპირველესი ქართული თეატრების სცენას. ჩვენს სინამდვილეში სწორედ თქვენ დაამკვიდრეთ ეპიკური დრამის სინთეზური ფორმა და შინაგანი მონოლოგებით, ლირიკული აღსარებით, ახალი სამეტყველო ფორმების შექმნით, რეტროსპექციითა და ინტროსპექციით გაამდიდრეთ...

თქვენი ესეისტიკა, თქვენი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები თქვენი შემოქმედების ორგანულ, განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და აზროვნების მასშტაბურობით, სიღრმით, პლასტიკურობით გვხიბლავს. ისინი ესთეტიკურად ატკბობს და სულიერად აფაქიზებს მკითხველს, აზიარებს რაღაც ახალს, მანამდე შეუმჩნეველსა და აუხსნელს...

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. გვახარებს, რომ თქვენი ერთ-ერთი უმშვენიერესი ლექსი „მატარებლები მიდიან ნელა“ მოხვდა პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემულ მსოფლიო პოეზიის ანთოლოგიაში „ლექსით დედამიწის გარშემო“.

სხვადასხვა დროს მუშაობდით ჟურნალ „ცისკრის“ განყოფილების გამგედ, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად, ჟურნალ „მნათობის“ მთავარ რედაქტორად და ყველგან ნორმა და ნიმუში ბრძანდებოდით განათლებული, გაწონასწორებული, შორსმჭვრეტელი, მომავლისკენ მზერამიმართული ქართველობისათვის.

რა გასაკვირია, თუ საქართველომ დააფასა თქვენი დიდი ღვაწლი და რუდუნება. მონიჭებული გაქვთ შოთა რუსთაველის, სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი შარვაშიძის სახელობის, გერმანიის რადიოს პრემიები, „ოქროს ნიღაბი“ _ რუსთავის თეატრალურ საერთაშორისო ფესტივალზე. თქვენი სახელი შეტანილია ისეთ პრესტიჟულ გამოცემებში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთის ენციკლოპედიური ცნობარი „ვინ ვინ არის“ (ლონდონი), ევროპის გამოჩენილ პიროვნებათა ცნობარი (ბელგია), ხართ 2000 წლის საერთაშორისო ადამიანის ნომინანტი (კემბრიჯი), დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენითა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, მონიჭებული გაქვთ პოეზიის რაინდის საპატიო წოდება.

გვახარებს ისიც, რომ წელთა სიმრავლე ვერარას აკლებს თქვენს მწერლურ შემართებას. ამ ბოლო დროს რუსთაველის თეატრში ზედიზედ დაიდგა თქვენი ისეთი მნიშვნელოვანი პიესები, როგორიცაა „არაბეთის სურნელოვანი ბალახები“ და „ნადირობის სეზონი“. „ნადირობის სეზონის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლისთვის, რომლის რეჟისორი ქართული თეატრის მაესტრო რობერტ სტურუაა, „დურუჯის“ პრემია მოგენიჭათ. თქვენი შემოქმედების თაყვანისმცემლები გაახარა ცნობამ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისურ ენაზე ცალკე წიგნად გამოიცა თქვენი რომანი „ბრეიგელის მთვარე“. მკითხველი ინტერესით გაეცნო თქვენს წიგნს „ჩემი თეატრი“... დღის სინათლე იხილა თქვენმა ახალმა პიესამ „სარკე ბრმებისათვის“...

ბატონო თამაზ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჭეშმარიტ შემოქმედსა და ერისკაცს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას გისურვებთ. ღმერთმა ინებოს, რომ არასოდეს შემოგლეოდეთ შემოქმედებითი საფანელი.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ნოდარ ტაბიძე – 85

85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და მეცნიერი ნოდარ პროკლეს ძე ტაბიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო საყვარელო ბატონო ნოდარ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან მხცოვან, ღვაწლმოსილ შემოქმედს, დიდი გალაკტიონის ოჯახში აღზრდილ ერისკაცს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

დიახაც რომ თქვენს სპეტაკ შუბლს გალაკტიონის ნათელი ადგას, თქვენს სულიერ ფორმირებაში მანაც დაიდო ლომის წილი და სამუდამოდ დაგაბედათ თქვენი საესავი სამშობლოს უბადლო, უებრო სამსახური.

1954 წელს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ გამოქვეყნდა მიხეილ კეკელიძისადმი მიძღვნილი თქვენი პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია „საინტერესო საბავშვო მოთხრობების კრებული“.

მას შემდეგ დიდი გატაცებითა და რწმენით იკვლევთ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის, პრესის ისტორიის, გალაკტიონოლოგიის საკითხებს...

ქართული მწერლობის უაღრესად სერიოზულ მკვლევრად გვევლინებით. თქვენი ნაშრომები მოიცავს როგორც ჩვენი მწერლობის წარსულს, ასევე დღევანდელობასაც. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდეთ ილიასა და გალაკტიონის შემოქმედების დეტალურ შესწავლას.

ცალკე წიგნებადაა გამოქვეყნებული თქვენი ისეთი მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, როგორიცაა „ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა“, „სტატიები მხატვრულ-პუბლიცისტური ოსტატობის შესახებ“, „ეტიუდები“, „გალაკტიონის შემოქმედებითი ლაბორატორია“, „გალაკტიონოლოგია“, „გალაკტიონი, რედაქტორი და გამომცემელი“, „საიდუმლო კუნძულის აღმოსაჩენად“, „ძიებანი“, „მედალიონები“, „სული ლაჟვარდზე უსპეტაკესი“, „პუბლიცისტიკის საკითხები“... ისინი, უპირველესად, მასშტაბურობით, სიღრმისეული წვდომითა და ანალიზის საოცარი უნარით იპყრობს ჩვენს ყურადღებას.

დიდი ენერგია შეალიეთ ქართული ჟურნალისტიკისა და პრაქტიკის საკითხების კვლევას. თქვენი წიგნები („ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან“, „პირველი ქართული გაზეთი“, „საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა (2 წიგნად)“ უაღრესად მნიშვნელოვან ნაშრომებს წარმოადგენს. 1962 წელს მონოგრაფიისათვის „გაზეთი „შრომა“ 1881-1883“ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მოგენიჭათ, ხოლო ნაშრომისათვის „ილია ჭავჭავაძის „ივერია“ 1975 წელს დოქტორი გახდით. თსუ პროფესორი ბრძანდებით და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდით თბილისისა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

დამფუძნებელი და უცვლელი ვიცე-პრეზიდენტი იყავით საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიისა, რედაქტორობდით ალმანახ „მწიგნობარს“, დამაარსებელი იყავით „ჟურნალისტური ძიებების“ სერიისა, ხართ ეგრისის აკადემიის აკადემიკოსი, ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრი, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის პუბლიცისტიკის სასწავლო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის დამაარსებელი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის გამგეობის წევრი...

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. დაჯილდოებული ხართ დავით აღმაშენებელის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, სერგეი მესხის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობისა და „ოქროს ფრთის“ პრემიებით.

ბატონო ნოდარ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღის ღვაწლმოსილ კალმოსანს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი სანუკვარი ოცნებების განხორციელებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

სიმართლის გზაზე

„საქართველომ მიმიღო, როგორც თავისი შვილი და სწორედ ამიტომ ვალდებული ვარ გადავიღო ეს ფილმი, იმის მიუხედავად, რომ გადატანილი მაქვს ინსულტი და სამი ოპერაცია“. - ეს სიტყვები ალი ისაევ-ავარსკის ერთ-ერთი მისი წიგნის წინასიტყვაობაში ამოვიკითხე.

ალი ისაევ-ავარსკი - საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, რეზო ჩხეიძისა და ელდარ შენგელაიას აღზრდილი, გადაღებულია 35 ფილმში: „სამოთხე, შამილის ხმლების ჩრდილის ქვეშ“, „კავკასიელი ტყვე“, „წიგნი ფიცისა“ და სხვა. იგი დიდი ხნის წინ, სრულიად ახალგაზრდა, ბევრი მოგზაურობის შემდეგ ჩამოვიდა საქართველოში. ქართველმა ხალხმა იგი გულში ჩაიკრა, ხოლო მაღალმა საზოგადოებამ გზა გაუკვალა ბრწყინვალე მომავლისაკენ. აქ იპოვა მან თავისი ცხოვრების თანამგზავრი, შექმნა ოჯახი და დამკვიდრდა თბილისში. დღემდე ასეა - დაუღალავად მუშაობს, იღებს ფილმებს, წერს, იღწვის და ყველაფერს აკეთებს ორი კავკასიელი ხალხის ურთიერთობების გაღრმავებისა და უფრო დაახლოებისათვის. დღეს მასთან ინტერვიუს გთავაზობთ.

– ბატონო ალი, როდის ჩამოხვედით საქართველოში? თქვენ ერთ-ერთ ლექსში „სიყვარულს მოლოდ დასაწყისი აქვს“ წერთ - „თითქოს ჩემს ქურანს უბიძგესო ღვთიურმა ხმებმა, უმატა ქროლვას და წკვარამიც გააპო ღამის... რა დამავიწყებს იმ ნეტარი წამის სისავსეს, მე და ქურანი რომ აღმოვჩნდით ქართულ მიწაზე, დიახ ეს იყო საოცნებო ივერთა მხარე, მე კი ვიყავი უნებლიე სტუმარი მისი...“ თუმცა თქვენ დიდი ხანია სტუმარი აღარ ხართ, დაღესტანში ქართველ ხელოვანად მოგიხსიებენ....

– დიახ, ასე იყო. მე დაღესტნის ულამაზეს აულში ვიზრდებოდი. დედა ხშირად მეუბნებოდა, „შვილო, ადგილი, სადაც მზე ჩადის ქვეყნის სამოთხეაო“. მე ყოველდღე ვხედავდი როგორ ჩადიოდა მზე მთებს იქით, იქ, სადაც საქართველო იყო. ჭაბუკმა დავტოვე აული, ბევრი ვიხეტიალე, ათეულობით ქვეყანა ვნახე, ათეულობით პროფესია შევიძინე, მაგრამ ვერსად მოვახერხე დამკვიდრება, ჩემი თავი ვერსად ვიპოვე. ბოლოს სახლში დაბრუნება გადავწყვიტე, მაგრამ განგებამ ინება, რომ საქართველოში მოვხვდი, თუმცა შემთხვევითი არაფერია ჩვენს ცხოვრებაში. ფეხი დავდგი თუ არა ქართულ მიწაზე, მივხვდი, ეს სწორედ ის მიწა იყო, რომელზეც დედა მიყვებოდა ხოლმე. შეიძლება ეს იყო ჩემი იღბალი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს იყო ჩემი ბედის გამართლება. სხვა რა შეიძლება ეწოდოს შეხვედრას ჩემს მეუღლესთან, მზია იაშვილთან, ჩემი ჩამოსვლისთანავე თბილისში, ზუსტად პირველ დღეს, რომელმაც დაიპყრო ჩემი გული და ასე „იძია შური“ წარსულში ლეკების მიერ გატაცებული ქართველი გოგონების გამო.

– ამბობთ, ბევრი პროფესია შევიძინეო, მსახიობობა თქვენი მოწოდება იყო?

– იცით, ეს ალბათ უფრო გამართლება იყო. მე პირველ რიგში ჩემი მეუღლე დამეხმარა საკუთარი თავის პოვნაში, იმაშიც, რომ გამიცნეს და ჩემი შესაძლებლობები დაინახეს ქართული კინოს კორიფეებმა - რეზო ჩხეიძემ, ელდარ შენგელაიამ... ასევე ირაკლი აბაშიძემ, რასულ გამზატოვმა, იოსებ ნონეშვილმა... ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები იყო. სამწუხაროდ დრო შეიცვალა, ფილმის გადაღება უამრავ პრობლემასთან არის დაკავშირებული, არ არის დაფინასება, რადგან სახელმწიფოს მხრიდან არ არის ხელშეწყობა, რამდენი წელია ტელევიზორის ჩართვაც კი არ მინდა - ყველა არხზე გაუთავებელი პორნოგრაფია და ძალადობაა ან გასართობი და იუმორისტული თოქ-შოუები... სამწუხაროდ ვერც ერთი ტელევიზია დავაინტერესე ჩემი ფილმებით.

– მაგრამ მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც ახერხებთ დოკუმენტური ფილმების გადაღებას, როგორც ვიცი, ოთხი ფილმი გაქვთ გადაღებული.

- მე ქართული კინემატოგრაფიის აღზრდილი ვარ, კინემატოგრაფიისა, რომელმაც მსოფლიოს აჩუქა შედევრები. გაჩერება არ შემიძლია. არ არის დაფინანსება, მაგრამ საკუთარი სახსრებით შევძელი და გადავიღე ფილმი „მიზიდულობის ფორმულა“, რომელიც ოთხი ნაწილისგან შედგება - პირველი ფილმია „რასულ გამზატოვი და საქართველო“, მეორე - „საქართველო დაღესტნის თვალებით“, მესამე - „დაღესტანი ქართველის თვალებით“ და მეოთხე - „ძმობის ხიდი“. ამ ფილმების სცენარი ეკუთვნის მზია იაშვილს, მთავარი კონსულტანტი რასულ გამზატოვია, მხატვრული ხელმძღვანელი რეზო ჩხეიძე, დამდგმელი რეჟისორები მე და ჩემი ვაჟი, ბექა ისაევ-ავარსკი.

– რასულ გამზატოვის სიტყვებია - „ცაზე ნაკლები ვარსკვლავია, ვიდრე საქართველოში - გენიოსი. მე საქართველოს სიზმრებში ვხედავ“. თქვენ განსაკუთრებული ურთიერთობა გქონდათ რასულ გამზატოვთან.

- დიახ, მართლაც განსაკუთრებული და მასაც განსაკუთრებულად უყვარდა საქართველო. იგი ჩემი ხშირი სტუმარი იყო, თითქმის ყოველთვე ჩამოდიოდა, ბევრი მეგობარი ჰყავდა აქ და მას ყველა დიდი სიყვარულით ხვდებოდა. დღეს მე ობოლი ვარ, მათგან ცოცხალი აღარავინაა, მარტოდმარტო დავრჩი შტორმის პირისპირ. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დაავადება მაქვს, ინსულტი გადავიტანე, დაფინანსების გარეშე, პირადი სახსრებით, იმით, რომ ბინა ჩავდე იპოთეკაში და ალბათ მალე დავკარგავ, უკვე მეოთხე ფილმს ვამთავრებ. ნუთუ საქართველოში არ არის თუნდაც ერთი ადამიანი, ვისაც ეს აღელვებს. უნდა დავასრულო მეოთხე ფილმი. დაღესტნის მთავრობის მხრიდან ყველანაირი ხელშეწყობა და დახმარება მაქვს. ფილმში დაღესტნის მთავრობის წარმომადგენლები და მხედართმთავრები მონაწილეობენ. აი, ქართული მხარე კი ვერაფრით დავაინტერესე. ერთი თის წინ როგორღაც მოვახერხე და შევხვდი თბილისის მერს, დავით ნარმანიას, მე ხომ თბილისის საპატიო მოქალაქე ვარ. დავუტოვე დისკები, გაზეთები, სტატიები... დამპირდა, რომ ერთ კვირაში დამიკავშირდებოდა, მაგრამ... ველოდები, იმედს მაინც არ ვკარგავ...

– ისევ თქვენ ლექსს მოვიშველიებ -

„ღმერთი გფარავდეს, ჩემო ბიჭო,
სიმართლის გზაზე,
მშობლიურ აულს გაეზარდე
ღირსეულ შვილად“,
პატარა ვიყავ, როცა დედამ დამლოცა ასე.
ო, იმ დღის ხსოვნას ვერც უწყალო
დრო-ჟამი ჩრდილავს.
ჯერ სულმთლად ბავშვი დავეძგერე
ცხოვრების ჭაპანს
და ასე ულვთოდ გამოვაკლდი
ბავშვობის ზღაპარს“.

– ბატონო ალი, ამ გადასახედიდან როგორ შეაფასებდით განვლილ გზას?

- ჩემი ცხოვრების უპირველესი ამოცანა ჩემი ორი ერის ურთიერთკავშირი და სიყვარულია. ვახუშტი კოტეტიშვილი წერდა, „საქართველო და დაღესტანი ერთი ხურჯინის ორი ჯიბეაო“. მე კი ვფიქრობ, რომ ჩვენ ტყუპი ძმები ვართ, ერთი ფესვები გვაქვს... მე გამიმართლა, რომ საქართველოში მოვხვდი, ქართველი ხალხი გავიცანი, ამ მადლიანი მიწის სურნელი ვიგრძენი, მისი ჭირ-ვარამის მოზიარე გავხდი და მისი კინემატოგრაფიის სამსახურში ჩემი პატარა წვლილი შევიტანე.

– დიდი მადლობა, ბატონო ალი, შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ და იმედი მაქვს, თქვენი ფილმის დასრულებას აუცილებლად მოახერხებთ, საქართველოში ხომ მუდამ იყვნენ ქველმოქმედები...

და ბოლოს, ალი ისაევ-ავარსკის ფილმების შესახებ მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ:

„ღმერთი ერთია. თქვენ მეტად მნიშვნელოვან და საჭირო საქმეს აკეთებთ. დაღესტნელები და ქართველები ურთიერთახლობელი და ძვირფასი ხალხია“. - საქართველოს პატრიარქი ილია II.

„მიუხედაად იმისა, რომ ფილმი ყოველგვარი პოლიტიკის გარეშეა, იგი პოლიტიკაზე მაღლა დგას, ვინაიდან სიყვარულითაა გაჟღენთილი“. - რეზო ჩხეიძე.

„ეს ზედმიწევნით ნიჭიერად გადაღებული და მნიშვნელოვანი ფილმია. მასში დიდი ძალისხმევაა ჩაქსოვილი. დადგება დრო და აღარ იარსებებს პოლიტიკური წინააღმდეგობანი ისეთი ადამიანების წყალობით, როგორებიც არიან მზექალა იაშვილი და ალი ისაევ-ავარსკი. მათი ოჯახი ამის საუკეთესო ნიმუშია. აქედან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზოგადკაცობრიულ კავშირებსა და ტრადიციებს, კულტურასა და მსოფლმხედველობას, ხალხთა შორის მეგობრობის დამკვიდრების საქმეში. ბრწყინვალე იდეა - „ერთიანი კავკასიური სახლის“ შესახებ უნდა განხორციელდეს კულტურული კავშირების მეშვეობით, რაც ასე სანუკვარია, თუმცა იგი ხანგრძლივ დროსა და რუდუნებას მოითხოვს“. - გიგა ლორთქიფანიძე.

„მზექალასა და ალის წყალობით ფილმი შედგა. ახლა კარგი იქნებოდა, თუ ყოველი ჩვენგანი შეძლებდა გაგვეკეთებინა რაღაც, თუნდაც მცირედი, რათა უზრუნველგვეყო ჩვენი ხალხების დიადი საქმეებით აღსავსე მეგობრობა და თანაცხოვრება“. - გაჯი აბაშილოვი.

ეს მხოლოდ მცირედი ამონარიდია იმ შეფასებებისა, რომლებიც ალი ისაევ-ავარსკის ფილმებს ერგო. იმედია, გამოჩნდებიან ქველმოქმედი ადამიანები, ბიზნესმენები, მთავრობის წარმომადგენლები, რათა ალი ისაევ-ავარსკიმ შეძლოს ფილმის დასრულება.

ესაუბრა **მანანა გორგიშვილი**

გურული ატროშანი

(კულტუროლოგიურ – ეტიმოლოგიური ეტიუდი)

ცენტრალური ცნებანი: ატროშანი, ათრუშანი, თრუშვა, ტრუსვა, მღვდელი, მაზდეანობა

გურიაში ხშირად გამიგონია ასეთი გამოთქმები: ,,მზეზე დიდხანს მომიწია დგომა და დევითრუშე“; მომისმენია ზმნის სხვა ვარიანტიც: ,,დევითროშე“; ადუღებულ წყალს თუ მავანი უნებლიეთ სხეულზე გადაისხამდა, იტყოდა: ,,ვაიმე, დევითრუშე!“ (დევითროშე).

ჩემს ყმაწვილკაცობაში ამგვარად მეც არაერთხელ დავთრუშულვარ. მაშ, ასე:

მითითებული ზმნების საწყისი ფორმებია ,,დათრუშვა“, ,,დათროშვა“, ხოლო სიტყვის ძირი გამოდის თ რ უ შ და თ რ ო შ.

ქართული ენის ნიადაგზე ეს სიტყვები არ შინაარსიანდება.

ზმნა გამორჩენილია ალექსანდრე ღლონტის ,,ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ (თბილისი, 1984); არ ჩანს არც სხვა წიგნებში.

ვფიქრობ, გურულში სიტყვა შესულია სპარსულიდან ჯერ კიდევ ქრისტეს გაჩენამდე, გურულთა მაზდეანობის ჟამს, როდესაც ისინი სამცხის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, და უნდა ნიშნავდეს ც ე ც ხ ლ ს.

წმინდა შუშანიკ დედოფალი გამაზდეანებულ ქმარზე ბრძანებს: ,,საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ა ტ რ ო შ ა ნ ი და შეერთო იგი უღმრთოთა“ (იაკობ ცურტაველი, შუშანიკის მარტვილობა, ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1978, გვ. 79).

,,შუშანიკის წამება“ კი დაწერილია 475 წელს.

სწორედ ეგ სპარსული სიტყვა ა ტ რ ო შ ა ნ ი, უფრო ქართული იქნებოდა ა თ რ ო შ ა ნ ი, უნდა დასდებოდა საფუძვლად გურულ ზმნას; ცნობილია, რომ გურულში ბევრი ძველისძველი სიტყვა-ტერმინი და ბიბლიური გამოთქმაა შემონახული.

ა თ რ ო შ ა ნ სიტყვაში სწორედ თ რ ო შ // თ რ უ შ ძირია შინაარსის განმსაზღვრელი.

ცნებას ილია აბულაძე ასე განმარტავს: ,,ატროშანი (ფალაური –ატურ – იგივე ცეცხლი). ამის თაობაზე იხილეთ იქვე, გვერდი 163.

ზურაბ სარჯველაძე ცნების ასეთ დეფინიციას გვაწვდის: მაზდეანობა, ცეცხლთაყვანისმცემლობაო (ქართული მწერლობა, 1, 1987, გვ. 726).

რაკიღა ფალაურ სიტყვას ატურ ძალიან უახლოვდება გურული თ რ უ შ, შესაძლებელია, ვივარაუდოთ ქართული ფორმის ამგვარი ტრანსფორმაცია: თ უ რ უ შ → თ რ უ შ; სხვათა შორის, მსგავსი გახმოვანება, როგორც პარადიგმული მაგალითი, სხვაცა გვაქვს: აღმოსავლური ა რ ი კ ი ისტორიულ-ფონეტიკურმა პროცესმა ქართულ სიტყვად ამგვარად ჩამოაყალიბა: ა რ ი კ ი → ა რ ხ ი → ა რ ხ ი; მეორე ნიმუში: ხ ა ლ ი კ ი → ხ ა ლ ი ხ ი → ხ ა ლ ხ ი; არაბული ს ა თ ი ლ ი და ქართული ს ა თ ლ ი.

ვფიქრობ, თ რ უ შ და მისგან წარმოებული ზმნები ისევე ძველია, როგოც წმინდა ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული მაზდეანური ტაძრის მსახურის სახელი მ ღ ვ დ ე ლ ი (→ მეღვერდელი).

დაახლოებით იმავე ასაკისა უნდა იყოს კიმერიელთა სახელწოდების ნიადაგზე წარმოქმნილი ტერმინი გ მ ი რ ი (→ კიმირი).

გურულში რომ თ რ უ შ ვ ა – დ ა თ რ უ შ ვ ა დახრუკვასა ნიშნავს, თითქოსდა ეს იმას მიუთითებს, რომ ქართული ენის ამ უძველესი დიალექტის საძიებელ ზმნას ფალაური სიტყვის (ატურ) გვიანდელი სპარსული ფორმა ა თ რ უ შ ა ნ უნდა დასდებოდა საფუძვლად.

ამ რწმენას კიდევ უფრო გვიმტკიცებს შემდეგი გარემოება: წარსულში ათროშან ფორმას ენაცვლებოდა ფონეტიკური ვარიანტი ითრუჯან. ,,მირიან მეფის სიტყვით, ,,ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩუენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე მტერ არიან“.

ითრუჯანი იგივე ატროშანია, ანუ მაზდეანობა“ (სოსო სიგუა, ქართული კულტურის ისტორია, I, თბ., 2016, გვ. 290).

ამაზე კიდევ უფრო მჭევრმეტყველურად ღაღადებს სალიტერატურო ქართულში დაცული პარადიგმული ცნება ტ რ უ ს ვ ა, სადაც გამოიყოფა აზრწარმომქმნელი ელემენტი ტ რ უ ს.

შევადაროთ ერთმანეთს ერთგვარი კონსტრუქციის გურული დიალექტური თ რ უ შ და სალიტერატურო ფორმა ტ რ უ ს.

ცნება დაცულია ,,ვეფხისტყაოსანში“: ,,უცნობოქმნილი ტარიელ ძეს მსგავსად ნ ა ტ უ ს ა ლ ი ს ა დ“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 382, სტროფი 1354,1). იქვე, კომენტარში, ვკითხულობთ: ,,ნატრუსი – ცეცხლით გარუჯული“ (გვ. 388).

ლექსიკონებშია: ,,ტრუსი-ნატისუსალი – гарѣ“ (დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984, გვ. 1227); შეტუსვა – მორუჯვა (სულხან - საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1993, გვ. 294). იქვეა: ,,ტრუსი – მატყლის წვის სუნი“ (გვ. 145); სხვაგან ახსნილია: ,,ტრუსი – ტრუსის სუნი; ტრუსვა – ტრუსავს, გატრუსავს, შეტრუსავს“ (ქეგლ-ი, თბილისი, 1988, გვ. 422) და მოცემულია კომენტარი: გადაწვა, შეწვაო (გვ. 495).

ეჭვი აღარაა, შინაარსობრივად ორივე მსგავსია და წარმოშობითაც ერთი და იმავე სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს. ჩვენი ფიქრით, პირველადია თ რ უ შ, მეორადია ტ რ უ ს. მართალია, ფონეტიკურად ერთი ერთმანეთი → გადასვლა სავსებით შესაძლებელია (თრუშ → ტრუს; ტრუს → თრუშ), მაინცა გვგონია, რომ პირველი სპარსული სიტყვის ა ტ რ უ შ ა ნ ზეპირსიტყვიერი გადმოღებაა, ხოლო მეორე – წერილობით ძეგლებსა და სალიტერატურო ქართულში გავრცელებული ფორმა.

ფალაურ ფორმას ატურ (ცეცხლი) → არსულად უნ→ განეცადა ასეთი ტრანსფორმაცია: ა ტ უ რ → ა ტ უ რ შ ა ნ → ა ტ რ უ შ ა ნ. მესამე ფორმას ა ტ რ უ შ ა ნ ქართულ ზეპირმეტყველებაში, ჩვენი ფონეტიკის წეს-კანონთა მიხედვით, უნდა მიეღო ასეთი სახე: ა თ რ უ შ ა ნ. აი, სწორედ ამ უკანასკნელი ფორმიდან თავიანთი მაზდეანობის ხანაში უნდა აეღოთ გურულებს აზრწარმომქმნელი თ რ უ შ და შეექმნათ სიტყვები: თ რ უ შ ვ ა, დ ა თ რ უ შ ვ ა, დ ა ი თ რ უ შ ა და ა. შ. ხოლო სალიტერატურო ქართულს იმავე ფორმიდან ა ტ რ უ შ ა ნ უნდა აეღო და ქართულად გაეფორმებინა აზრმაწარმოებელი ტ რ უ შ – ტ რ უ ს და შეექმნა სიტყვები: ტრუსვა, გატრუსვა, გაიტრუსა და ა. შ.

ამრიგად, ქართველთა მაზდეანობის დროინდელ ცნებებად (დაახლოებით 25 საუკუნისად) მიგვაჩნია სიტყვები: მღვდელი, თრუშვა და ტრუსვა.

სამივე სიტყვა ცეცხლსა და ცეცხლმსახურებასთან არის დაკავშირებული.

მურმან თავდიშვილი

ელდარ კერძევაძე

ელდარ კერძევაძემ მხოლოდ 50 წელი იცოცხლა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა. ლექსების პირველი წიგნი „მწვანე ქუჩა“ 1970 წელს გამოსცა, რომელსაც მოჰყვა 12-ზე მეტი პოეტური კრებული და თარგმანები. პოეზიის მადლით ცხოვრობდა. მისი პოეზია ავტოპორტრეტია. მისი საქმე ლექსების წერა იყო და წერდა კიდეც. ლექსი ხომ პოეტის სულის ანაბეჭდია. იგი ქართული მწერლობის დიდ ოჯახს შეუერთდა. ჩვენი თაობის პოეტი, ელდარ კერძევაძე უდროოდ წავიდა ცხოვრებიდან. დაე, უფალი იყოს ელდარ კერძევაძის სულისა და ლექსების მფარველი. ამინ!

მუხრან მაჭავარიანი
1991 წ.

***

არა, არასდროს არ მიფიქრია,
რომ ქვეყნად მხოლოდ ლექსისთვის ვიშვი –
ლაჟვარდებისკენ სულის გაფრენას
თან სდევდა მიწის დაკარგვის შიში.
და ყოველდღიურ ვნებებს მიწიერს
საღამოს მთვარის ბოქლომით ვკეტავ,
და სიცხადეში რაც განმიცდია,
ის მიყვარს ქვეყნად ყველაზე მეტად.

ვინც მუდამ ეძებს

მას გაუმარჯოს, მას ვისაც სჯერა
ჩვენი წინსვლის და ჩვენი შენების.
ვინც მუდამ ეძებს, ვინც მუდამ ღელავს
და სწამს ამქვეყნად ბედნიერების
მას გაუმარჯოს – ვის მართლა სჯერა
საკუთარ ხმის და საკუთარ ცეცხლის –
ვინც უკვე თქვა და ვინც კვლავ უნდა თქვას
ჩვენი ეპოქის სადარი ლექსი.

***

პოეტი არის დედანი
სიხარულის და გოდების,
პოეტს რად უნდა მედალი,
რად უნდა პოეტს ორდენი, –
თავისუფლება სჭირდება
და სითბო ცოტაოდენი...

***

ეს გაუმარჯოს ქართველის უნარს –
ოხვრის დროს სიცილს,
სიცილში – ოხვრას,
ამ წუთისოფლის წუთიერ ბრუნვას,
განსაცდელი ჟამს
წელში არ მოხრას!
სუყველაფერი მკრთალდება ბოლოს –
ბრძოლაც,
მშვიდობაც,
გრძნობებით თრობაც,
მაგრამ სამშობლო ისაა მხოლოდ,
რაც უსიკვდილოდ არ დაითმობა!

პირდაპირ სათქმელი

მიჭირს, რა თქმა უნდა, მიჭირს,
რადგან საქართველოს უჭირს, –
გამო – გასხვისებულ მიწის,
ფიცად ვერშეკრული მუჭის.
გამო – ნაცვლად ჩემი
დროშის –
მოფრიალე სხვისი ჭინჭის,
გამო – ჭრელაჭრულა
დროში
ვერადმოსახმარი ნიჭის
ძმას რომ ძმობა ვერ
უგრძვნია,
რომ არა აქვს ძმობის ნიჭი, –
გასაძლისი არის ძნიად,
სწორედ, ამიტომაც მიჭირს.
გული მაინც ვერ გარიყავს
ნდომას ჰანიბალის ფიცის,
ვიცი, რაიც უნდა იყოს,
როდის უნდა იყოს –
ისიც!...

სტუმრად კონსტანტინე გამსახურდიასთან

გალავანთან
სპანი ჩვენი მოკრბეს...
თავს იმედის შუქი დაგვციმებს,
ახალგაზრდა პოეტები... – მოკლედ
მოახსენეს ბატონ კონსტანტინეს.
მობრძანდითო,
და განიხვნენ კარნი,
აშრიალდნენ ტანმაღალი ხენი...
ავიყარეთ სითამამის ფარნი –
კოშკში ამირსპასალარი გველის.
წარვუდექით,
ვით შეჰფერის ყრმათა,
მოგვეგება ჩვეულ სასადავით...
ვეამბორეთ მხარზე სიტყვის სარდალს,
დავუკოცნეთ დიდოსტატის მკლავი.
დაბრძანდითო,
ბრძანა და დაბრძანდა,
შევცეროდით კრძალვითა და რიდით,
გამოგვეკითხა, რას ვაკეთებთ, გარდა
ლექსის წერის და წიგნების კითხვის.
გვესაუბრა...
გაგვამხნევა,
წერეთ;
ჩაფიქრდა და უცებ მოიწყინა...
გააბოლა...
აგრე ბრძანა მერმე
შვილო თამარ,
მოიტანე ღვინო...

***

ვბრუნდებოდით ჩრდილით ფენილ გაზეზ,
ღვინითა და სიხარულით მთვრალნი,
და კოლხური კოშკის გალავანზე
გუშაგივით იდგა თეთრი მთვარე...

გალაკტიონი

სხვა არის ლექსთა მისთა მირონი,
(ვისაც ვგულისხმობ, თავად მიხვდებით),
უულურჯესი სანაპირონი...
მოცარტი... ქარი...
თლილი თითები...
მზერა ზვიადი,
არ ვის ემონვის,
ბავშვი ქუჩაში გამოპარული,
ხან ანგელოზი და
ხან დემონი,
მაგრამ ყოველთვის რაღაც ფარული,
ხან სევდიანი
ხან მხიარული,
აუტანელი,
დაუდგრომელი,
მაგრამ ყოველთვის გენიალური,
მაგრამ ყოველთვის მიუწვდომელი.
გაგვნათლა ლექსთა მისთა მირონმა,
(ვისაც ვგულისხმობ, თავად მიხვდებით),
უულურჯესი სანაპირონი...
მოცარტი... ქარი...
თლილი თითები...

მურმან ლებანიძეს

მოდის ძმა და მგოსანი
მოუყვება გამზირს,
გაწვრთნილ მიმინოსავით
მხარზე ლექსი აზის,
ესალმება ხალხი,
მოიკითხა ხალხმა,
პოეტს ბრძოლით დაღლილს –
არ ეტყობა დაღლა.
არ ეწევა თუთუნს,
ღამეს ისევ ათევს,
თუ არ ვცდები... თითქოს...
პაწა ღიპიც ადევს!
არაფერი უკვირს,
მითუმეტეს – სხვისი,
აქვს პირველი ჯგუფის
პოეტების სისხლი.
ახლა მშვიდად სძინავს –
წლებმა დააოკეს,
თორემ ადრე, ხშირად,
თამაშობდა პოკერს
ასე თუ ისე,
არის ნაღდი მარე,
ღვიძლი ძმაა მისი
ჩვენი თავმჯდომარე
მოდის ძმა და მგოსანი,
მოუყვება გამზირს,
გაწვრთნილ მიმინოსავით
მხარზე ლექსი აზის.

მიხარის...

შოთა ნიშნიანიძეს

მიხარის შენთან გატეხა პურის,
და შენი ჯიღა თვალების სითბო,
ასე ალალი
და ასე ძმური –
ერთი შეხედვით
სულ სხვა ხარ... თითქოს...
შენ ლექსების ლერწმოვანები
გადარეკლილა ვეფხვის თვალებში
ეგ სიყვარული არ დამანებებს
სიტყვა გაკადრო გულის გარეშე,
სხვა პოეტებსაც არ ვედავები –
ყველასი მიყვარს ლექსი ნამდვილი, –
ვისაც არასდროს ეცოტავება
ორი მტკაველი დედის მანდილი
ვინც ვაჟკაცია
მართლაც
მართალი
ლექსით,
ოცნებით
საქმით,
მიზნებით,
ვინც დღენიადაგ მამულს დაჰხარის
და ღამე სძინავს ფეხვის სიზმრებით!

ვარდ ხიბლისა

დალი კახიანი

მთაწმინდაზე, ერთ ძველ ქუჩაზე იდგა აგურის ორსართულიანი სახლი, ლამაზი ფარდებიანი, კამარიანი, აზიდული ფანჯრებით. რაფაზე, ალისფრად მაღაჟღაზე ყვავილები უნებურად ფანჯრისაკენ მიაპყრობდნენ გამვლელის მზერას. ამვლელ-ჩამვლელს კი რა გამოლევდა, ეს ის დრო იყო, როცა დედაქალაქი სხვაგვარად ქალაქობდა. ეს იყო ერთი დიდი თეატრი, უხილავი რეჟისორის მიერ დადგმული საინტერესო სპექტაკლებით – მიუზიკლით, დრამით, ზოგჯერ ტრაგედიითაც. „პური და სანახაობა“, რომაელი პლებეების უპირველესი მოთხოვნა, დაკმაყოფილებული იყო. ხელგაწვდილ ბოგანოს ქუჩაში ვინ ნახავდა, მხოლოდ ეკლესიის გალავანთან, ოღონდ ქართველების გარეშე. ყველა უბანი თავისი ხიბლით და ყისმათით ყელყელაობდა, უბნის ყოჩებით, კაი-ყმებით თუ ლამაზმანებით. წესი და რიგიც ძალაში იყო და უდიერ სიტყვასაც იოლად ვერავინ ამოთქვამდა. აბა, კარებს, მძიმე რაზებით, ურდულებით და თავსამტვრევი საკეტებით ვინ დაკეტავდა. საერთო აივნებზე, ნავთქურები ხმაშეწყობილად ქოთქოთებდნენ, ისეთი სურნელი ტრიალებდა, მხოლოდ მშობლიური კერის სიმყუდროვეს რომ გაგრძნობინებს, კერძის ულუფაც და გულის სითბოც გაყოფილ-გაზიარებული იყო. აბა, ეზო ხომ მოზაიკურ კალეიდოსკოპს ჰგავდა, ერთ რამედ ღირდა მისი ხილვა, რას და ვის არ ნახავდით ამ პატარა სივრცეში – ონკანის ქვეშ მუდამ სარეცხი იყო შედგმული, რკინის გორგოლაჭებზე (მათი ღრჭიალის ხმა ახლაც ყურში ჩამესმის), სადენებივით გადაჭიმულ თოკებზე თოვლივით ქათქათებდა გაფენილი თეთრეული, სველი მიტკლის და კიდევ რაღაც ძალზედ მშობლიურ სურნელს აფრქვევდნენ ეს ფარფატა ბაირაღები. თუთის უზარმაზარი ხის ქვეშ პიჟამოში გამოწყობილი კაცები დომინოს უტკაცუნებდნენ და ნარდს აგორებდნენ, იყო ენაკვიმატობაც და ქილიკიც. ბავშვებისა და ჩიტების ჟივილ-ხივილი ხომ ერთმანეთში იყო არეული. ამას კიდევ დამატებული, ნაირგვარი ჯურის ხალხის შემოხეტება ეზოში – старый одёж покупааю, стёокла вставляю, эскиио шоколадни марожние, ბატი-ბუტია, მამალოო, ზოგჯერ ქუჩის მუსიკოსები და მომღერლებიც სტუმრობდნენ, აი, მაშინ კი ეზო სცენას ემსგავსებოდა, ხოლო გადმოკიდებული აივნები თეატრის ლოჟებს. მარტივ და სევდიან მოტივს აჟღერებდა მოხუცი მევიოლინე და რაღაც დროით აჟღურტულებული ეზო გაირინდებოდა, თითქოს სხვა განზომილებაში გადადიოდა, როცა მაესტრო ხემს დაბლა დაუშვებდა, სიჩუმე გაიბზარებოდა, თოვლის ფანტელივით ცვიოდა გულაჩუყებულთა ნაწყალობევი.

ხელისგულისოდენა სივრცე, ფეხბურთის მოედანიც იყო და ბოძს კალათბურთის კალათაც, (გულამოღებული სკამი) ამშვენებდა. ასე ვიდოდნენ დღეები, წლები ერთ დიდ ქვაბში იხარშებოდა ჭირი და ლხინი, გულითადობა და ერთურთის მხარში დგომა. სხვაგვარი გახსნილობა და შერთულობა სუფევდა. წელინადის დროები თავთავიანთი რიგით მონაცვლეობდნენ. შემოდგომას ზამთარი მოსდევდა, ზამთარს გაზაფხული, გაზაფხულს ზაფხული. ქვაფენილიან ქუჩაზე ბებერი აკაციის ხეები სულ ნაირფრად იმოსებოდნენ, მაგრამ გამორჩეულ მხიბლავობას, ჩამოძენძილი, სპეტაკი საყურეებით მაინც გაზაფხული სძენდა, განუმეორებელი სურნელით სიცოცხლის ზეიმურობისა და ცხოველმყოფელობისა, მარად მდევარით, იმ ტკბილმოსაგონარ დღეებთან რომ ასოცირდება და არასდროს განქარდება. ეს, ჩემი ბავშვობის სურნელია. ჰო, ერთიმეორეს ენაცვლებოდნენ სადაგი და სადღესასწაულო დღეები. იცვლებოდა ამინდი, ცა ხან თეთრ ბუმბულს პენტავდა, ხან თქორი ცრიდა, ხან მაისის თქეში ფშანებად ჩამორეცხავდა ქვაფენილიან დამრეც ქუჩებს. სიხასხასეს მატებდა ლორთქო ყლორტებს და ფოთლებს, ცისარტყელა შვიდ ფერს მოიმშვილდებდა, მზე კი ისე უდრტვინველად და უშურველად გადმოაფრქვევდა სხივებს, თითქოს ყველასთვის ერთნაირად ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს.

გადავუხვიე თემას, მოგონებებმა გამიტაცა.

ლამაზფანჯრებიან სახლზე მოგახსენებდით. კიდევ რა იყო ისეთი იმ ფანჯრის მიღმა, რაც მას გამოარჩევდა და გამვლელის მზერას მაგნიტივით იზიდავდა? მეტადრე, იყო ერთი ვაჟი, რომელიც გზად მიმავალი მონუსხულივით მისჩერებოდა ერთ ფანჯარას. რა ასეთი სამოთხის მტრედი იჯდა იმ ფანჯარაში? კიდევაც უკეთესი, სწორედ რომ ღვთაებრივი სილამაზე იმზირებოდა სარკმლიდან, ოქროსფერ კულულებიანი და თაფლისფერთვალება, გულამოღებულ იასამნისფერ კაბაში. ვაჟი სტუდენტი იყო, რაიონიდან ჩამოსულს ბინა ჰქონდა ნაქირავები ქუჩის ბოლოში. თოვდა თუ ქარებით აწეწილი დღე იყო, ყმაწვილი დიდის მოწადინებით გაუდგებოდა ნაცნობ გზა-სავალს, მშვენიერი ხატების ხილვის მოლოდინში. სურათი არ იცვლებოდა, ქალი კვლავ სარკმელთან იჯდა და ცისკენ იყურებოდა, შეჰხაროდა და შენატროდა ფრთოსნებს, მათ განუზომელ სილაღეს და სიანცეს. ფანჯრის მიღმა სხვა რაც ხდებოდა თითქოს არც აინტერესებდა და მობეზრებულიც ჰქონდა. თუმც არასოდეს შეხვედრია, ვაჟი არ კარგავდა იმედს, რომ ლექციებიდან მომავალს, ერთხელაც, აუცილებლად შეეფეთებოდა თვალხატულა ფერია. მაგრამ არა და არა, ერთიმეორეს ენაცვლებოდნენ ულიმღამო, თოვლჭყაპიანი დღეები. ზამთარი უჩვეულოდ გაიწელა. აღარც ქუჩა იყო მიმზიდველი, ყველა თბილი კერიისკენ მიიჩქაროდა. მაგრამ მზისქვეშეთში ხომ ყოველივეს თავისი დასასრული აქვს. ზამთარიც ჩაინურა და დაიწრიტა. დადგა გაზაფხული და არემარეს განუმეორებელი სურნელი მიმოაფრქვია.

დაგმანული სარკმელები კვლავ ფართოდ გაიღო, ერთმანეთში აირია და შეზავდა გამების და არპეჯიოს ხატულები, რადიოს დიქტორის ხმა, მეზობლების გადაძახილი, მობურთავე ბავშვების ყიჟინა და ქვედა ქუჩიდან ამოღწეული ტრამვაის ბორბლების ხრიგინი და ზანზალაკის წკრიალი.

დადგა სანატრელი ზაფხული. ვაჟმა სასესიო გამოცდები წარმატებით ჩაობარა და მშობლიურ კუთხეს მიაშურა. მონატრებული ახლობელ-მეგობრების ხილვით გული იჯერა, მამას მხარი შეაშველა, იშრომა, იჯომარდა და იჯირითა, მაგრამ გულს კვლავინდებურად აღარ ეფონებოდა მშობლიური სანახების ხავერდები, ზაფხულის ხვატში ნიავიც აღარ უგრიალებდა შუბლს. უჩვეულო არაფერი ხდებოდა, მტანჯველი ფიქრი დაპატრონებოდა მის სულსა და გულს და მოსვენებას უკარგავდა, მშობლიური ბუდიდან ისევ იმ ნაქირავები უბადრუკი ოთახისაკენ ექაჩებოდა. თავს ვერ მორეოდა და არც ჰქონდა ამის სურვილი. ფიქრი, გრძნობა, განცდა და ტრფობა ხომ დაუპატიჟებელი სტუმრები არიან.

გაილია ზაფხულის უზრუნველი დღეები, ყმაწვილი კვლავ დაუბრუნდა დედაქალაქს და ჩაება სტუდენტური ცხოვრების ორომტრიალში. დიდის მოუთმენლობით და გულის ძგერით უახლოვდებოდა საოცნებო სახლს. ეს უკვე აღარ იყო ლამაზი ნაკვეთების ხილვით სხვათა მსგავსად ოდენ თვალის გახალისება, არამედ იყო მისი ყოველდღიურობა, მისი ცხოვრების ნაწილი.

შემოდგომის ფოთლებს ქარი აქეთ-იქით მიაფარფატებდა და იმ ფანჯრის რაფაზეც შემოასკუპებდა, სადაც ვაჟს ფიქრის საგანი ეგულებოდა. გულის სიღრმეში იმ ფოთლისაც შურდა, მისი სანუკვარი არსება ხელით რომ ეხებოდა. ქუჩაში ბოლთის ცემას მოუხშირა, ეგებდა ანაზდად შემომხვდესო. მაგრამ არა და არა. მოძალებულ გრძნობებს ცნობისწადილიც დაერთო. თავსაც უბრაზდებოდა, რომ ვერაფერი გააწყო და უნდილივით ერთ ადგილს ტკეპნიდა. ბოლოს და ბოლოს როდემდე? ხმა მაინც გამაგონა მისი. სხვა გზა რომ ვეღარაფერი გამოძებნა, გადაწყვიტა გადაელახა კრძალულება და სტუმრად წვეოდა გულთამპყრობელ უცნობ ქალიშვილს. დათქვა დღეც, შაბათის ნაშუადღევი. საგანგებოდ გამოეწყო, ახალთახალი ბლუზონი ჩაიცვა, ქოჩორიც ლაზათიანად დაიყენა, წითლად აბრიალებული ვარდის თაიგულით თრთოლვით აუყვა ხის კიბეებს, ფეხის ხმაზე მეტად საკუთარი გულის ძგერა ესმოდა. ზარი დარეკა, იქიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა, კარის ზღურბლთან გამბედაობამ უმტყუნა, რით დაეწყო, როგორ აეხსნა უცნობი ადამიანისთვის სტუმრობის მიზეზი, უკან გამობრუნება რომ დაეპირა, კარს იქიდან ქუსლებიანი ფეხსაცმლის ბაკაბუკი შემოესმა, უფრო აღელდა, წარმოიდგინა, რომ კარს მისთვის სათაყვანებელი მშვენიერი არსება გაუღებდა, შეეცადა მოეკრიბა სითამამე და წარმოეთქვა ის მაგიური სიტყვები, რომლებიც ქვის გულსაც კი ლმობიერს გახდიდა. და აი, როგორც იქნა განიხვნა აღსავლის კარი. მის წინაშე იდგა ხანდაზმული სიმპათიური მანდილოსანი, რომელმაც შეცბუნებული უცნობი ყმაწვილი შინ შეიპატიჟა, ისე, რომ მისთვის არაფერი უკითხავს. დედის გულმა იგუმანა ვაჟის სტუმრობის მიზეზი. ვრცელ მისაღებ ოთახში შეუძღვა, ძველებურ ავეჯს და ოქროს ვარაყიან ჩარჩოებიდან გამომზირალ პეიზაჟებს, ჩამავალი მზის სხივები იდუმალ ელფერს სძენდა და დაძაბულობას ამძაფრებდა. ვაჟი თავდახრილი იდგა და მეტყველების უნარიც დაჰკარგვოდა. უცებ თავი ასწია, ფანჯრისაკენ თვალი მიაშტერა და წამიერად თავბრუ დაესხა, ყვავილები იატაკზე მიმოიფანტა. მის წინაშე ხეიბრის ეტლში იჯდა საოცნებო ფერია, რომელსაც ორთავე ფეხი მოკვეთილი ჰქონდა.

P. S. ჩემს ადრეულ ბავშვობაში ყურმოკრული, დეიდას მონათხრობი ეს დრამატული ამბავი, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვის ცნობიერებაზე, უცნაურად შემორჩა ჩემს მეხსიერებას და წამაქეზა ქალაღლდისთვის გამენდო ეს ისტორია. ულამაზესი ქალის ფეხები ტრამვაის ბორბლებმა შეიწირა. ვაჟი, რომელიც კაი-ყმათა ამქრიდან იყო, გამოერკვა პირველი გაოგნებიდან და ყოველივეზე მაღლა დააყენა ის ღვთივკურთხეული გრძნობა, რომელსაც სიყვარული ჰქვია და ქალი ცოლად შეირთო.

მოთხრობაში აღწერილი ეზო, მარადსანატრელი ჩემი ბავშვობის ეზოა, სადღაც წარსულში ჩარჩენილი და დღეს მირაჟულ ანაქრონიზმად ქცეული, შუშის ცათამბჯენებით სულშეხუთულ ქალაქში.



წაუკითხავად წაკითხული

ჰომეროსის „ილიადა“ და არც „ოდისეა“ „გონიერ არსებათა“ ოთხმოცდათვრამეტ პროცენტს წაკითხული არა აქვს, მაგრამ მათმა უმრავლესობამ იცის, იქ რა წერია, „იცნობს“ მის გმირებს და უფიქრია კიდეც მათზე. ასევე ქართველთა ოთხმოცდათვრამეტ პროცენტს წაკითხული არა აქვს რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ თითოეულმა ქართველმა იცის მისი არათუ შინაარსი, არამედ მისი და მის გმირთა სახეები ლამის შესისხლორცებული დაბადებიდანა აქვს და სწორედ ამაში გახლავთ ამ წიგნთა (და კიდევ რამოდენიმე ღვთის რჩეულ ქმნილებასდანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიასა“, ფირდოუსის „შაჰნამეს“....აქვს გაზიარებული იგივე ნაკურთხი ბედი), ფენომენი და სიდიადე, რომ ისინი ყველას „წაუკითხავად წაკითხული“ აქვს! ესაა შედევრთა-შედევრების უკვდავების ღვთიური-ნიშანსვეტი, გენიალობა და ვიდრე კაცობრიობა იარსებებს ამ ქმნილებების ჯადო-თილისმა მარადიულად მოახდენს ზეგავლენას ჩვენს ცნობიერებაზე, რადგანაც უკვდავებაა მათი ჭეშმარიტი სახელი!



ლია ჭაბაშვილი

ანთებული გულები

სერაფიმები, ქერუბიმები, ანგელოზები, ჩვენს გვერდით არიან და ხელს გვაშველებენ ყოველ წუთს, ხანდახან გაკრთება თვალთახედვის არეში, ცნაურყოფს ანაზდად და გულს სიყვარულით აღავსებს, გაზიარებს სიწმინდეს ზენაარს, საოცრად ძალმოსილი, გინდა რომ დაიჩოქო, დაჰკოცნო სამშობლო და გული აღსავსე სიყვარულით მოჰფინო ქვეყანას, ჩაეკრა, ჩაეხუტო. იზიარო ტკივილი, სიხარული და გულით ანთებულით, ანათო, ანთებულ გულებთან ერთად, ქვეყანა.

მადლობელი ვარ, უფალო!

მადლობელი ვარ, უფალო, რომ გამაჩინე ქვეყნადა, რომ მაზიარე სიყვარულს, სამშობლოს, გულის ფეთქვასა, პირმცინარ მზისა სხივებსა, ბალახზე ნამის თრთოლვას, იის სურნელსა და შროშნის უზადო სილამაზესა.

მადლობელი ვარ, უფალო, რომ ამიხილე თვალია და მაზიარე შენს სისხლს, ხორცს, მითხარ, ჩამიდექ კვალშია.

მადლობელი ვარ, უფალო, შენით მაქვს, რაც მაბადია, შენით ვარსებობ, შენ მიცავ და შენით მიდგას სულია.

მადლობელი ვარ, უფალო, შენ მომეც ნიჭი მოყვრისა – სიყვარულისა, გატანა – მწუხარების მისისა.

მადლობელი ვარ, უფალო, ეს შენ მასწავლე მტრის მიმართ პატიება და შენდობა, მიმტევებლობა და ლოცვა.

მადლობელი ვარ, უფალო, სოფლის წუთიერ ყოფასა, რომ შემამეცნე უფლის გზა, სასუფეველი ღმრთისასა.

მადლობელი ვარ, უფალო, რომ ძალა მომეც მადლის თქმის, რომ ყველა წუთი ყოფისა, ჩემი, ქცეულა მადლის თქმის.

„იყავ სრულყოფილი“

გუშინ გინატრე, მე სულ გნატრობ, თუმც სულ ჩემთან ხარ... უფალო, შენი სიდიადის წამიერ მზერას დაეფარა ირგვლივ ყოველი... მე მივდიოდი და მე ვგრძნობდი, ყველა წერტილი უფლისმიერი სიყვარულის გასცემდა სითბოს... ღვთიური სითბო ჩამდგარიყო, თუმცა კი თოვდა, უდიდეს სითბოს გამოსცემდა ყველა ფანტელი... თვით შენი ხელის მოძრაობა, ღიმილი შენი, თან მომყვებოდა, მიღმიერი სივრცისკენ მზერის.

მე შენ გნატრობდი, თუმც იქ იყავი, მე მაინც გნატრობ, ახლა აქა ხარ, მიმზერ თვალებში და მაინც გნატრობ... გული წვეთ-წვეთად ავსებული სიყვარულს მალავს... სული, სულ მუდამ შენსკენ მსწრაფი, განწმენდას შეგთხოვს... შეგთხოვს, გონების განათებას და გულის სიბრძნეს, რათა ბოროტი გავარჩიო კეთილისაგან, რომ გზას მომავალს შენსკენ უფრო დავადგე მყარად, რომ შევასრულო ამ ქვეყნად ყოფნის მთავარი აზრი და მცნება უფლის: „იყავ სრულყოფილ, ვით მამა ჩვენი უფალი, ზეცას“.

დაბრუნება

გუშინ ფარდებზე რიდეებად ჩამოწვა დილა და მთელი ღამის სურნელება სდიოდა ქუჩებს, ქუჩის კუთხიდან გამოკრთოდა დილის სუსხი და დილის სიგრილე გამოსცემდა სიზმრეულ ფიქრებს. გაფეთქებული ხეთა ტოტები სიმშვიდით გრთავდა, დილის ნიავი გიმღეროდა ზღაპარს უნაზესს, დილის ბუნების ამ ამბორში თვით ღმერთი სჩანდა, რომელიც გუშინ დავკარგე და დღეს დავიბრუნე.

რომ ვიგრძნო ღმერთი

წვრილი და ნელი წვიმა სცრის სივრცეს... თითქოს არც კი წვიმს, სახეზე ნაზად გედება და გელამუნება, ჩემს მწუხარებას ეზავება, აქარვებს, ათბობს და მარადიულ სამყაროს დიდ სივრცეში მაბამს. შენ კი ყველგან ხარ, ყველა წერტილს მოიცავ სივრცის... გული, სული და გონება და კიდევ ღმერთი, ყველა ესენი შენსკენაა, შენ მიიხარი და მე უმწეოდ ვიმზირები... ლოდინით დაღლილს, მოდი, დამადე შენი ხელი, მითხარ ნუგეში, ამდენ ათეულ წლის სიყვარულს მოესალბუნე, რადგან ყოველი გზა, რომელსაც ის ადგა სივრცის, იყო ამაო, ლაბირინთში გზა ჭეშმარიტი, ეს შენ აღმოჩნდი, უფლის ნებამ ასე ინება.

მოდი, დამადე შენი ხელი, ეგზომ ძლიერი, რომ ვიგრძნო ღმერთი უფრო მეტად, ვიდრე მიყვარდა.

ტრაგედია კატინის მთათა ბორცვებზე

იაკობ პაპიაშვილი

(ისრაელი)

ეს ტრაგიკული ისტორია აღმოცენებულია ჭეშმარიტ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით.

ჰიტლერი გაოგნებული იყო, არა და არ სჯეროდა ვერმახტის არმიების დამარცხება მოსკოვთან...

1940 წლის 18 დეკემბერს, როცა ფიურერმა დაამტკიცა გენერალ ფრიდრიხ პაულიუსის მიერ შემუშავებული გეგმის საბოლოო ვარიანტი – ოპერაცია „ბარბაროსა“, იგი დარწმუნებული იყო, რომ მომავალი წლის ზაფხულში ან შემოდგომაზე, ვერმახტის ჯარები მოსკოვს დაიპყრობდნენ.

პაულიუსის გეგმის მიხედვით საომარი მოქმედებების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენდა 4-5 თვეს. 1941 წლის 11 ივნისს, სსრკ-ზე ვერაგულ თავდასხმამდე 11 დღით ადრე, ჰიტლერმა ხელი მოაწერა №32 დირექტივას, რომლის თანახმად „აღმოსავლეთით ძლევამოსილი ლაშქრობის“ დასრულება განსაზღვრული იყო 1941 წლის შემოდგომის ბოლოს.

ომის დაწყების პირველივე დღეებში აშკარა იყო დამპყრობელთა დიდი უპირატესობა. საბჭოთა ჯარები უკან იხევდნენ. ნოემბრის ბოლოს მტერმა შეძლო მოსკოვი-ვოლგის არხთან გაჭრა იახრომოს რაიონში და დაიკავეს კრასნაია პოლიანა – 32 კმ მოსკოვის კრემლიდან.

ადოლფ ჰიტლერი აღფრთოვანებული იყო წარმატებებისაგან. მისი აზრით, ვერმახტის დამრტყმელ ძალას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. გერმანული არმიების გარდა, ვერმახტს ხომ უშუალოდ ექვემდებარებოდა ოკუპირებული ქვეყნების მთელი სამხედრო ტექნიკა და მატერიალური მარაგი: სლოვაკეთის, უნგრეთის და ფინეთის კონტიგენტი; ესპანეთის, პორტუგალიის, საფრანგეთის, ბენილუქსის და სკანდინავიის ქვეყნების ნებაყოფლობითი ფორმირებები, რუმინეთის და იტალიის დივიზიები. მარტოოდენ საფრანგეთის ოკუპაციის შედეგად ვერმახტის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა 86 ფრანგული დივიზია, 3500 ტანკი, 1400 თვითმფრინავი.

და იგი, ვერმახტის ძალების მთავარსარდალი, დღედღეზე, ამაყად ელოდა მოსკოვის დაცემას. მისი თვითმფრინავი ნითელ მოედანზე გადასაფრენად უკვე მზად იყო. „ბლიცკრიგის“ ავტორს უკვე მომზადებული ჰქონდა სიტყვა, რომლითაც მას უნდა მიემართა მსოფლიოს საზოგადოებისათვის მავზოლეუმის ტრიბუნიდან.

ოპერაცია „ბარბაროსას“ პარალელურად ჰიტლერმა შეიმუშავა კიდევ ერთი გეგმა – ებრაელების სრული გენოციდი. მისი მითითებით, 1941 წლის ივლისში, გერინგმა ებრაელთა საფრთხისაგან მსოფლიოს გადარჩენის მიზნით, პასუხისმგებელ პირად დანიშნა რეინხარდ გეიდრიხი – იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსი. მთავარი პასუხისმგებელი პირი იყო გიმლერი.

კონფერენციის ჩასატარებლად გეიდრიხმა შეარჩია ბერლინში ვანზეს ტბასთან განცალკევებული მყუდრო სასახლე. თავდაპირველი თარიღი კონფერენციის ჩასატარებლად იყო 1941 წლის 9 დეკემბერი, მაგრამ გადადეს 1942 წლის 20 იანვრისათვის, იმის გამო, რომ 5 დეკემბერს მოსკოვთან მთელ ფრონტზე დაიწყო საბჭოთა არმიის კონტრშეტევა. კონფერენციის გადადება გამოწვეული იყო იმითაც, რომ 1941 წლის 7 დეკემბერს იაპონია თავს დაესხა პირორლ ხარბორს და ჰიტლერი იძულებული გახდა ომი გამოეცხადებინა აშშ-სთვის.

ვანზეის კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 15 პიროვნება მესამე რეიხის საიდუმლო პოლიციის და უშიშროების(სს) სახელმწიფო ინსტიტუტებიდან. მათ შორის იყვნენ: მმართველი პარტიის (ნსდაპ) წევრები, საგარეო და იუსტიციის სამინისტროს, ნაციონალობის და გადასახადების სააგენტოს თანამშრომლები. აგრეთვე პასუხისმგებელი პირები ებრაელთა საკუთრების განაწილებაზე – წარმომადგენლები სახელმწიფო დაწესებულებებიდან.

კონფერენციაში მონაწილეთა უმრავლესობას დაცული ჰქონდა სადოქტორო ხარისხი, ნაცისტურ გერმანიაში მოქმედ სხვადასხვა უნივერსიტეტებში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მათი გადაწყვეტილება ებრაელთა საკითხზე შეგნებული იყო.

ვანზეს კონფერენციის ოქმი შეადგინა ადოლფ ეიხმანმა. ოქმში მოცემული იყო ევროპის ყველა სახელმწიფოში მცხოვრები ებრაელების სია, სულ 11 მილიონი ებრაელი. სიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა ალბანეთის ებრაელთა რიცხვი – 200 ებრაელი, რაც მიუთითებდა ტოტალიტარული რეჟიმის შეუვალ გადაწყვეტილებაზე მსოფლიოში მცხოვრები ყველა ებრაელის მოსპობასთან დაკავშირებით. კონფერენციაზე განხილულ იქნა საკითხი შერეულ ქორწინებებთან დაკავშირებით და შემუშავებულ იქნა შესაბამისი სტატუსი.

ეს ორი გეგმა – „ბლიცკრიგი“ და „ებრაელების საკითხი“ მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებოდა. ჰიტლერის აზრით მსოფლიოს ებრაელთა სრული გენოციდი განაპირობებდა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს დასამარებას.

1943 წლის 13 აპრილს, „რადიო ბერლინის“ სპეციალური შეტყობინების შემდეგ, ნაცისტური გერმანიის სახალხო განათლების და პროპაგანდის რეიხსმინისტრმა პაულ იოზეფ გებელსმა განაცხადა:

„რა მასხრად იგდებენ ეს თავხედი, რეგვენი ებრაელები ევროპულ ცივილიზაციას!... ასეთი იდეალური შერწყმა ებრაელთა(!) სიმხეცისა და ებრაელთა(!) უტიფარი ტყუილისა, ჩვენ არ გვსმენია მთელი საომარი კამპანიის დროს“.

გებელსის ეს სიტყვები „რადიო ბერლინში“ გაისმა იმ დღეს, როცა მსოფლიომ პირველად გაიგონა ტოპონიმი – კატინი. ტერმინები „ებრაელთა სიმხეცისა“ და „ებრაელთა უტიფარი ტყუილისა“, გულისხმობდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის იმ ებრაელ თანამშრომლებს, რომლებმაც 1940 წლის თებერვალ-მარტში, თითქოსდა სტალინის ბრძანებით, დახვრიტეს ის პოლონელი სამხედრო ტყვეები – ოფიცრები, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ კალუგის მახლობლად კოზელსკის ბანაკში.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, ნაცისტური გერმანიის სპეცსამსახურებმა, კატინში მოწყობილი „საძმო საფლავების“ შესახებ იცოდნენ 1941 წლის ზაფხულში, მაგრამ საბჭოთა ჩეკისტების ამ უსაზიზღრეს დანაშაულს ნაცისტებმა გრიფი „საიდუმლო“ დაადეს 1943 წლის 13 აპრილამდე, ე. ი. იმ დღემდე, როცა „რადიო ბერლინმა“ გადმოსცა სპეციალური შეტყობინება კატინში მომხდარი ტრაგედიის შესახებ.

რით იყო განპირობებული კატინის „საძმო საფლავების“ გასაიდუმლოება 1943 წლის აპრილამდე?

„ბლიცკრიგის“ და „ებრაელთა საკითხის“ ავტორი, საბჭოთა კავშირზე ომის გამოუცხადებლად თავდასხმისთანავე შეუდგა კიდევ ერთ, ამჯერად პროპაგანდისტული ხასიათის გეგმის შემუშავებას. მისი შესრულება მან დაავალა ვერმახტის პროპაგანდის განყოფილების უფროსს ხასო ფონ ვედელს, რომლის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა სპეციალური სამხედრო ქვედანაყოფები და კავშირგაბმულობის სამსახურის ასეული.

1941 წლის ივლისში, სმოლენსკის ოკუპაციისთანავე, ვედელის ოფიცრები მყის შეუდგნენ ფიურერის დავალების შესრულებას. მსხვერპლი ყოველთვის მონადირეს ეჩეხება. ბელოსტოკ-მინსკის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა 32 4000 საბჭოთა ჯარისკაცი, ტყვეთა შორის აღმოჩნდნენ გენერლები და ოფიცრებიც. ამ ბრძოლაში დაიღუპა 417 729 ათასი საბჭოთა ადამიანი. არანაკლები მძიმე დანაკლისი განიცადეს საბჭოთა ჯარებმა სმოლენსკისათვის ბრძოლაში, დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი რაოდენობა. ხასო ფონ ვედელის ოფიცრები მონდომებით ასრულებდნენ დავალებას, შეუსვენებლად აწარმოებდნენ მკვდრების გადაზიდვას სმოლენსკიდან კატინის მიმართულებით... 1941 წლის სექტემბრის ბოლოს ხასო ფონ ვედელმა ჰიტლერს აცნობა, რომ კატინის „საძმო საფლავები“ უკვე მზად იყო.

1941 წლის 16 ოქტომბერს დაიწყო მოსკოვიდან ევაკუაცია. დედაქალაქი პანიკამ მოიცვა. მაშინ მსოფლიოში არ იყო ერთი ადამიანიც კი, რომელსაც არ სჯეროდა, რომ სულ მოკლე ხანში, ადოლფ ჰიტლერ შიკლგრუბერი მავზოლეუმის ტრიბუნიდან სიტყვით მიმართავდა მსოფლიოს საზოგადოებრიობას...

გენერალი ვლადისლავ სიკორსკი, რომელსაც დეკემბრის დასაწყისში ჰქონდა საუბარი სტალინთან, ესაუბრა აგრეთვე ინგლისის ელჩს საბჭოთა კავშირში სტაფორდ კრიპსს და დაასკვნა: „არავითარი ეჭვი არ არსებობს იმის შესახებ, რომ რუსები გააგრძელებენ ბრძოლას მიუხედავად იმისა თუ რა ბედი ეწევა მოსკოვს“.

და იგი, ვერმახტის ძალების მთავარსარდალი, დღედღეზე, ამაყად ელოდა მოსკოვის დაცემას. მისი თვითმფრინავი ნითელ მოედანზე გადასაფრენად უკვე მზად იყო. „ბლიცკრიგის“ ავტორს მომზადებული ჰქონდა სიტყვა, რომლითაც მას უნდა მიემართა მსოფლიოს საზოგადოებისათვის მავზოლეუმის ტრიბუნიდან... ჰოი, როგორ ოცნებობდა იგი ლენინის გამოთრევას მავზოლეუმის ტრიბუნიდან, რათა მოესროლა ის გვამი კატინის მგლებისათვის შესაჭმელად. ჰოი, როგორ ოცნებობდა იგი ეშმაკური ხრიკებით გაეცურებინა ეს არაფრის მაქნისი მსოფლიოს საზოგადოებრიობა – მოეთხრო მათთვის იმ საზიზღარ, ენით აუწერელ დანაშაულზე, სტალინის ბრძანებით რომ ჩაიდინეს ებრაელმა ჯალათებმა კატინში... მას დანიშნული ჰქონდა ის დღე, როცა გერმანელ ჯარისკაცებს ზეიმით უნდა ჩაევლოთ მის წინ წითელ მოედანზე.

ჰიტლერი გაოგნებული იყო. იგი ვერ მიხვდა, როგორ, რა მანქანებით შეძლო საბჭოთა ჯარმა ვერმახტის უძლიერესი არმიების უკუგდება მოსკოვიდან 250 კმ-ზე. მას აღარ ახსოვდა არც ხასო ფონ ვედელი, არც კატინი და არც იქ მოწყობილი „საძმო საფლავები“, მაგრამ გაიხსენებს მას 1943 წლის 2 თებერვალს, როცა ფელდმარშალი პაულიუსი, მთელი თავისი შტაბით, რომელთა შორის 24 გენერალი იყო და 90 000 ჯარისკაცი, ტყვედ ჩაბარდა საბჭოთა მთავარსარდლობას.

სტალინგრადთან დამარცხების მერე, ჰიტლერი ჩაიკეტა თავის მთავარ ბუნკერში „ვერვოლფში“ („მგელი მაქცია“). ამ სიტყვის მნიშვნელობა არის: უცნაურ არსებათა რასა, რომელთაც აქვთ უნარი გადაიქცნენ რაღაც საშუალოდ ადამიანსა და მგელს შორის. ისინი ძირითადად იკვებებიან ადამიანებით.

1943 წლის 4-8 თებერვალს გერმანიაში გამოცხადდა სამდღიანი გლოვა. დაიკეტა ყველა მოსალხენი დაწესებულება, მათ შორის თეატრი და კინო. რადიოთი გადმოცემდნენ მხოლოდ სამგლოვიარო მუსიკას. ქვეყნის შიგნით დაიწყო ფაშისტური კოალიციის სწრაფი შლა. შეირყა ნაცისტური ხროვის გავლენის სფერო. დამონებულ ევროპაში ძალას იკრებდა მტერთან წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზება.

სტალინგრადი ჰიტლერისათვის სიკვდილის შიში იყო. მგლის ბუნაგში განმარტოვებულს ერთხანს არავისთან სურდა კონტაქტი. როცა თავს დაეუფლა შეიტყო, რომ აღმოსავლეთ პრუსიაში გამოცოცხლება დაიწყო. წინ ოპერაცია „ციტადელია“. იგი მიხვდა, რომ აუცილებელი იყო ფაშისტური კოალიციის შლის სასწრაფოდ შეჩერება. ისევ უნდა აღდგეს მესამე რეიხის პოლიტიკური და სამხედრო პრესტიჟი, არა მხოლოდ საბრძოლო მოქმედებებით, არამედ აგრეთვე ვერმახტის იდეოლოგიური პროპაგანდის აქტიური მოქმედებით. დადგა კატინის დრო. მის მიერ იქ მოწყობილი „საძმო საფლავები“ ლახვარს ჩასცემს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალებს, შეირყევა დიდი სამეულის ურთიერთკავშირი. გებელსი შეძლებს ამ ჩანაფიქრის განხორციელებას – გაიფიქრა ვერმახტის მთავარსარდალმა. მან ყურმილი აიღო...

1943 წლის 13 აპრილს „რადიო ბერლინმა“ გადმოსცა საგანგებო შეტყობინება. კომუნიკეს ტექსტი იტყობინებოდა, რომ ბოლშევიკებმა 1940 წლის თებერვალ-მარტში დახვრიტეს 12 000 პოლონელი ოფიცერი. ისინი ჯერ იმყოფებოდნენ კალუგის მახლობლად კოზელსკის ბანაკში, საიდანაც პირუტყვისათვის განკუთვნილი ვაგონებით გადაიყვანეს სმოლენსკში, იქიდან კი კატინში, სადაც ყველანი განგმირეს პერსონალურად, კეფაში ტყვიის სროლით და ჩამარხეს კოზი გორაში1 ერთ-ერთ ბორცვზე.

მკითხველის საყურადღებოდ: 1943 წლის 13 აპრილს გებელსმა „რადიო ბერლინს“ გადმოაცემინა ის კომუნიკე, რომელიც ჰიტლერს დაგეგმილი ჰქონდა გაეკეთებინა მოსკოვში მავზოლეუმის ტრიბუნიდან 1941 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ვინაიდან ოპერაცია „ბარბაროსა“ 5 დეკემბერს სამუდამოდ დასამარდა, ეს განზრახვა მან ვერ აისრულა, რამაც კატინის მითის დაბრუნებას მწვანე შუქნიშანი აუნთო.

ჰიტლერის ამ პროპაგანდისტულ გამჭრიახობას სათანადოდ უნდა მიეზღოს, როცა მსოფლიომ შეიტყო კატინში ბოლშევიკების საზიზღარი „დანაშაულის“ შესახებ, თვით უინსტონ ჩერჩილი შეეცადა უსიამოვნო შთაბეჭდილებების გაქარწყლებას განდევნილობაში მყოფ პოლონეთის მთავრობასთან, ლონდონში რომ იმყოფებოდნენ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ არ დააყოვნა და 1943 წლის 16 აპრილს უარყო გერმანელ-ფაშისტთა ჯალათების შეთხზული საზიზღარი ჭორი. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ 1941 წლის ზაფხულში პოლონელი სამხედრო ტყვეები მუშაობდნენ სმოლენსკში მიმდინარე მშენებლობებზე და ვერმახტის ჯარების მიერ სმოლენსკის დაპყრობის შემდეგ, ისინი თვითონ გერმანელებმა დახვრიტეს.

ომის მერე, მრავალი ამ დახვრეტილი ოფიცრებიდან, რომლებიც აღნუსხულნი იყვნენ პროფესორ გერხარდ ბუტცის2 და აკადემიკოს ნიკოლოზ ბურდენკოს3 ექსჰუმაციურ სიებში, გარკვეული რაოდენობით არის აღმოჩენილი, როგორც „ორეულები“, ასევე „ცოცხალი მკვდრები“. აღნიშნულის დასადასტურებლად საკმარისია დავასახელოთ ცნობილი პოლონელი იურისტი, ომის წლებში პოდპორუჩიკი, პროფესორი რემიგნუშ ბეჟანეკი – იგი ბუტცის ექსჰუმაციურ სიაში ირიცხება 1105 ნომრით, მაგრამ ის, ომის შემდეგ, ხანგრძლივად და ბედნიერად ცხოვრობდა პოლონეთში.

ცნობილი რუსი ჟურნალისტი (გვარი სადღაც გამებნა – ი. პ.) 26 წელი მსახურობდა პოლონეთში. თავის ერთ-ერთ პუბლიცისტურ ნაშრომში ის წერდა, რომ 1960-1970 წ. წ. მას რამდენჯერმე გააცნეს ცოცხალი პოლონელი ოფიცრები კატინის ექსჰუმაციური სიებიდან, მაგრამ როცა მათ თხოვეს მიეცათ ინტერვიუ საბჭოთა პერიოდიკაში გამოსაქვეყნებლად, უარი განაცხადეს და მიიმალნენ ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ამაზე დამოკიდებული იყო მათი შემდგომი ბედი.

„რადიო ბერლინის“ კომუნიკეში, გებელსის მიერ რომ იყო შედგენილი, საყურადღებოა ფრაზა: „...ბოლშევიკებმა პოლონელი ოფიცრების ცხედრებს დაუტოვეს პირადობის დამადასტურებელი საბუთები“. ჯერ ერთი, საბჭოთა ბანაკებში სამხედრო ტყვეებს ეკრძალებოდათ არამარტო პირადობის მოწმობის ტარება, არამედ ძვირფასი ნივთების და ნაღდი ფულის ქონა ათ მანეთს ზემოთ: კატინის „საძმო საფლავებში“ ჩამარხულ ადამიანებს ტანსაცმელში აღმოაჩნდათ საბუთებიც, ძვირფასეულობაც და ფულიც დიდი რაოდენობით, რაც მეტყველებს იმაზე, რომ საჰაერო დაბომბვის დროს, სახლიდან გამოქცეულ ადამიანებს თან მოჰქონდათ ძვირფასი ნივთები და ფული. მეორეც, კოზელსკის ბანაკში იმყოფებოდნენ მხოლოდ პოლონელი ოფიცრები, ხოლო კატინში, თანახმად ექსჰუმაციისა, ჩამარხულნი არიან ოფიცრებიც და ჯარისკაცებიც, აგრეთვე ადამიანები სამოქალაქო ტანსაცმელში, რაც კარგად ჩანს ბურდენკოს ექსპედიციის მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში. სამარხებში აღმოჩნდა კიდევ ქალის ცხედარი, რამაც ბუტცის მიერ შედგენილ საერთაშორისო კომისიის წევრებს შორის გაუგებრობა გამოიწვია.

და მაინც, საინტერესოა, ვინ იყვნენ ის პოლონელი ოფიცრები კოზელსკის ბანაკში რომ იმყოფებოდნენ?

ამ კითხვაზე გვპასუხობს პოლონური ჟურნალი „Ньюсук Польша“ - „Ад за колючей проволокой“. სტატიის ავტორია ისტორიკოსი იგორ მოჩიკი. როგორც ირკვევა 1919-1921 წწ. ვარშავასთან ტუხაჩევსკის არმიის დამარცხების შემდეგ, პოლონელებმა ტყვედ ჩაიგდეს 110 ათასზე მეტი საბჭოთა ჯარისკაცი, კომანდირები და კომისრები, რომლებსაც არ აძლევდნენ საკვებს და შიმშილით დაიხოცნენ. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად საბჭოთა ტყვეები ერთმანეთს ჭამდნენ.

რაც უნდა იყოს, პოლონელი ოფიცრების კვალი იკარგება ჰიტლერელების მიერ სმოლენსკის ოკუპაციის (1941 წლის ივლისის ბოლოს) პერიოდში: ამ დროს ისინი მუშაობდნენ სმოლენსკის ოლქში საგზაო მშენებლობებზე, ხოლო მათი პირადობის მოწმობები მათ საცხოვრებელ ბანაკებში იყო, რომელიც აღმოჩნდა ვერმახტის სპეცსამსახურების ხელში. აი, ეს საბუთები, ხასო ფონ ვედელის ოფიცრებმა, ალაბედზე ჩაუდეს ჯიბეებში კატინში ჩამარხულ ცხედრებს. უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ტერიტორიების დაპყრობა ნაცისტებს გზას უხსნიდა მოსკოვისკენ, იმედს აძლევდათ ომი დაემთავრებინათ „ბლიცკრიგით“ გათვალისწინებულ ვადებში. 1941 წლის 17 ივლისს, ე. ი. დაპყრობისთანავე, ფიურერის ბრძანებულებით სმოლენსკის ოლქის მთელი ტერიტორია დაყოფილ იქნა რეიხსკომისარიატებად და გენერალურ ოლქებად, რომელთა უფროსებად დანიშნეს ნაცისტი რეიხსკომისრები და გენერალური კომისრები, რომლებიც 1943 წლის სექტემბრამდე ხელმძღვანელობდნენ სმოლენსკს და სამოლენსკის ოლქს.

„ურწმუნო თომას“ მისამართით დავაფიქსირებ: 1943 წლის აპრილში, როცა მსოფლიომ შეიტყო სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „დანაშაული“, ჰიტლერი პირადად ჩავიდა სმოლენსკში, შეხვდა ხასო ფონ ვედელს, რომლის ოფიცრებმა 537-ე შტაბიდან დიდი მონდომებით შეასრულეს ფიურერის დავალება და მას გენერლის წოდება უბოძა.

საინტერესოა, რა თქმა უნდა, იმ პოლონელი ოფიცრების ბედი, რომლებსაც ოკუპაციამდე იყენებდნენ, როგორც მუშა ძალას სმოლენსკის ოლქში მიმდინარე საგზაო მშენებლობებზე.

კოზელსკის №1 ბანაკის უფროსის ო. ნ. ვოტეშნიკოვის განცხადება: „მე ველოდებოდი ბრძანებას ბანაკის ევაკუაციასთან დაკავშირებით. სმოლენსკთან კავშირი არ იყო. იმისათვის, რომ გაგვერკვია ვითარება, მე და კიდევ რამდენიმე კაცი ბანაკის ადმინისტრაციიდან წავედით სმოლენსკში. მე ვთხოვე სმოლენსკის რკინიგზის სამმართველოს უფროსს აღმოსავლეთის მიმართულებით ამხ. ივანოვს, გამოეყოთ ჩვენთვის ვაგონები პოლონელი სამხედრო ტყვე ოფიცრების ევაკუაციისათვის. იავანოვმა მიპასუხა, რომ ეს ყოვლად შეუძლებელი იყო. მე შევეცადე დავკავშირებოდი მოსკოვს, რათა მიმეღო უფლება პოლონელი ოფიცრების ევაკუაციისათვის საკუთარი ძალებით. ამ დროს გერმანელებმა სმოლენსკის გზა კოზელსკისა და სხვა ბანაკებს რომ უკავშირდებოდა, მოჭრეს. ამიტომ მე არ ვიცი, რა მოუვიდათ პოლონელ ოფიცრებს და ბანაკის დამცველ პერსონალს, რომლებიც იმყოფებოდნენ ბანაკში“.

გავიხსენოთ: 1941 წლის ივლისი. მინსკი-სმოლენსკის მაგისტრალი. 10–15 მეტრ სიმაღლეზე გერმანული მესერშმიდტები

---

1 კოზი კორა – სოფელი სმოლენსკში, რუსეთის სმოლენსკის ოლქში. შედის კატინის სასოფლო დასახლების შემადგენლობაში. მეორე მსოფლიო ომის წლებში, 1941 წლის ივლისში, სოფელი ოკუპირებული იყო ჰიტლერელების მიერ. 1943 წლის სექტემბერში გაათავისუფლეს საბჭოთა ჯარებმა. ამ სოფლის ერთ-ერთ ბორცვზე „საძმო საფლავებია“.

2 ბუტცის ექსჰუმაციის პერიოდი: 1943 წ. მარტი-ივნისი;

3 ბურდენკოს – 1943-44 წ. წ. ოქტომბერ-იანვარი.

მძვინვარებენ. სტატისტიკის თანახმად ამ ბრძოლას სმოლენსკში 135 ათასი მშვიდობიანი მოსახლეობა შეეწირა, ხოლო სმოლენსკის ოლქში დაახლოებით – 450 ათასი!

ასეთ განუკითხაობაში ვოტეშნიკოვი კი არა, სტალინი და ბერია ვერ გაერკვეოდა თუ რა ბედი ეწია პოლონელ ოფიცრებს. ამ დროს კი ხასო ფონ ვედელის ოფიცრები უაღრესად კონსპირაციულად ხელმძღვანელობდნენ გვამების გადაზიდვას სმოლენსკიდან კატინში, მათ შორის ალბათ, ბევრი პოლონელი ოფიცერი იქნებოდა, ხოლო საფლავებს კატინში ჭრიდნენ ვარშავის გეტოდან ჩამოყვანილი ებრაელები, რომლებსაც შემდეგ კლავდნენ პერსონალურად კეფაში ტყვიის სროლით.

...ერთმა ფრანგმა მწერალმა ქალმა კატერინა დავილიემ, 1940 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკების მიერ „დახვრეტილ“ პოლონელი ოფიცრების სიაში დაინახა თავისი მეგობრის ზვიგნევ ბოგუსლავსკის გვარი, რაც მას ძალიან გაუკვირდა, რადგან ზუსტად იცოდა, რომ ზვიგნევ ბოგუსლავსკი 1941 წლის აპრილში ცოცხალი იყო და სასჯელს იხდიდა ბრესტ-ლიტოვსკის ციხეში. ცხადი იყო, რომ იგი 1040 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკებს არ დაუხვრეტიათ. ამიტომ კატერინა დავილიემ დაიწყო პირადი გამოძიება და მალე ის მიხვდა – „კატინის საქმე“ თავიდან ბოლომდე შეთხზული იყო ნაცისტების მიერ (Ален деко, „Великие занодки“ XX века, с. 274, 275).

დიდი სამამულო ომის მონაწილე, რუსი ჯარისკაცი ა. ნ. კოპიტოვი, ნახევარი ევროპა მუცლით რომ იხოხა, ომამდე იმყოფებოდა კოზელსკის ბანაკში სამსახურებრივი მოვალეობით. აი, რას წერს იგი ინტერნეტში: „ბანაკის ხელმძღვანელობას და ტყვე პოლონელ ოფიცრებს შორის ურთიერთდამოკიდებულება ძალიან ჰუმანური იყო“ და შემდეგ სვამს კითხვას: „მოდით, ვიმსჯელოთ ლოგიკურად, რატომ გადაიყვანდა შსსკ (НКВД) სამხედრო ტყვეებს კოზელსკის ბანაკიდან კოზი გორაზე დასახვრეტად? ეს ხომ ათი-თხუთმეტი კაცი კი არა, ათასობით ადამიანია, რაც 26 ვაგონზე მეტი შემადგენლობაა! ანდა რა საჭირო იყო ტყვეების გადაყვანა კოზელსკიდან 318 კმ დაშორებით კატინში, როცა შსსკ (НКВД)-ს შეეძლო ისინი ადგილზევე დაეხვრიტა?“

ყოჩაღ, რუსო ჯარისკაცო! გამოჩნდა – ჭკვიანი ადამიანი.

მართლაც, რატომ უნდა მივაწეროთ შსსკ (НКВД)-ს სხვისი ცოდვები, ისიც ფაშისტური, როცა მათ საკუთარი საკმარისად აქვთ?

აქ კი უნდა დავაფიქსიროთ: 1943 წლის 13 აპრილს „რადიო ბერლინის“ კოუმუნიკეში დასახელებული დახვრეტილ ტყვეთა რაოდენობა კატინში – 10 ან 12 ათასი, არ არის სწორი, არ მტკიცდება ეს ციფრები. ექსჰუმაციური გამოკვლევების შედეგად დადასტურებულია 4000-დან 5000-მდე გვამი. როგორც ჩანს, 537-ე ასეულის შტაბის ოფიცრებისათვის, სმოლენსკიდან გვამების გადმოზიდვასთან შედარებით, უფრო იოლი იყო ვარშავის გეტოდან ებრაელების კატინში ჩამოყვანა და მათი ადგილზე დახვრეტა.

რა დასამალია, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტს არ ეხატა გულზე სოციალიზმი – მარქსის და ლენინის ციტირება: „რელიგია ხალხის ოპიუმია“ ან „რელიგია ოპიუმია ხალხისათვის“. ალბათ ამიტომ იყო, როცა გერმანელებმა კალუგა აიღეს, მათ „შეხვდნენ, როგორც იტყვიან პურ-მარილით, ხოლო ერთმა ქალმა, პროფესიით ფარმაცევტმა, ვერმახტის ოფიცრებისათვის საროსკიპო მოაწყო“. მოსკოვამდე კი 80 კმ-ია!..

ახლა, როცა პოსტ-საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საროსკიპოების რაოდენობამ ევროპა და ამერიკა გააკვირვა, იმ კალუგელი ფარმაცევტის საქციელი შეიძლება სამაგალითოდაც კი ჩაითვალოს, მაგრამ იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ომის ქარცეცხლში, კომუნისტებში ზიზღის მეტს არაფერს გამოიწვევდა. ალბათ ამიტომ აშშ ოფიციალურ წარმომადგენელთან დიდ ბრიტანეთში და საბჭოთა კავშირში უილიამ ავერელ ჰარიმანთან საუბრის დროს, 1941 წლის შემოდგომაზე, სტალინი იძულებული გახდა ეღიარებინა:

„ჩვენ ვიცით, ხალხს არ სურს იბრძოლოს მსოფლიო რევოლუციისათვის, ისინი არ იბრძოლებენ არც საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მაგრამ შეიძლება ისინი იბრძოლებენ რუსეთისათვის!?“

პოლონელი სამხედრო ტყვეების, მათ შორის ოფიცრების დიდი კონტიგენტი, სტალინის ბრძანებით გაათავისუფლეს 1939 წლის ოქტომბერში. ამ ნაკადში აღმოჩნდნენ ვოიცეკ იარუზელსკი (პოლონეთის მომავალი პრეზიდენტი) და მენახემ ბეგინი (მოგვიანებით ისრაელის პრემიერ-მინისტრი). 1941 წლის 30 ივლისს ლონდონში ხელმოწერილ იქნა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება რუსეთში პოლონეთის არმიის შექმნასთან დაკავშირებით. მხედართმთავრად დანიშნეს გენერალი ანდერსი. ამ დროს ის ლუბიანკაში იჯდა სხვა თანამემამულეებთან ერთად. არმიის შექმნის პროცესში ანდერსი რამდენჯერმე შეხვდა სტალინს. მოგვიანებით საბჭოთა ლიდერს ჰქონდა საუბარი კატინის ირგვლივ, როგორც ანდერსთან ისე სიკორსკისთან (განდევნილობაში მყოფი პოლონეთის მთავრობის მეთაური ლონდონში). არც ერთმა მათგანმა არ იცოდა კატინის „საძმო საფლავების“ შექმნის მიზეზგარემოებანი. ანდერსი და სიკორსკი ალბათ ფიქრობდნენ, რომ ეს სასაკლაო სტალინის ბრძანებით შეიქმნა. ასე ფიქრობენ დღეს ის ნეოფაშისტებიც, რომელთა სინდისზე მილიონობით საბჭოთა ადამიანის ჩამქრალი სიცოცხლეა. მათი აზრით გებელსი „კატინის საქმეში“ სრულიად მართალია და მას არავითარი შეხება არ ჰქონია ბოლშევიკების ამ საზიზღარ „დანაშაულთან“ 1943 წლის 13 აპრილამდე...

ნეოფაშისტების გასაგონად უნდა ვთქვა: გებელსი იყო ნაცისტური გერმანიის პროპაგანდის და განათლების მინისტრი, ხოლო ხასო ფონ ვედელი თანამდებობრივად პირდაპირ ექვემდებარებოდა მას. ის – ხასო ფონ ვედელი, პროპაგანდის განყოფილების სხდომაზე, მინისტრის – გებელსის გვერდით იჯდა. ცოტამ თუ იცის, რომ გებელსი იყო ის პირველთაგანი, რომელმაც 1936 წელს, ნაციონალ-სოციალისტების მე-8 ყრილობაზე ნიუნბერგში თავისი გამოსვლა დაასრულა მოწოდებით:

„ყველაფერში დამნაშავე არიან ებრაელები! ყველაფერში დამნაშავე არიან ებრაელები!“

ყრილობას ესწრებოდა ათასობით ნაცისტი. იყო მხურვალე ოვაციები და მქუხარე ტაში.

პოლონელი ოფიცრები თუ ებრაელები ვარშავის გეტოდან?

კატინი – სასოფლო დასახლება რუსეთის სმოლენსკის ოლქში, 15-18 კმ სმოლენსკის დასავლეთით. აქ განთავსებულია ყორღანთა ჯგუფი – 38 ყორღანი. აღმოსავლეთით – 5 კმ რუსეთის უმსხვილესი არქეოლოგიური კომპლექსია – გნიოზდოვოე, ოდნავ სამხრეთით კი კატინის ტყეა. იქ, სადაც დნეპრი ტყეს უახლოვდება განცალკევებული ტყის მასივია, რომელსაც ადგილობრივი მაცხოვრებლები კოზი გორას ეძახიან. აქ, საკურორტო ალაგს, დნეპრიდან შორიახლოს, 30-იან წლებში შსსკ (НКВД)-ს თანამშრომლებმა დასასვენებელი სახლი აიშენეს. აგარაკიდან 100-ოდე მეტრში ფუნქციონირებდა პიონერთა ბანაკი. არსებობს თვითმხილველების (ბევრი მათგანი დღეს ცოცხალია – ი. პ.) მოგონება, რომ სოფელი კოზი გორა ანუ „კოსოგორი“ (ფერდობი), ომამდე სასეირნო და დასასვენებელი ადგილი იყო. აქ ხალხი ხშირად გნეზდოვოდან და სხვა ახლომახლო სოფლებიდანაც ამოდიოდა. ისინი აგროვებდნენ სოკოს და იმარაგებდნენ შეშას ზამთრისათვის. ხოლო პიონერთა ბანაკში გაზაფხულზე და ზაფხულში მუდამ ჟრიამული იყო. როცა გერმანელებმა სმოლენსკი დაიპყრეს, აგარაკზე განთავსდა ხასო ფონ ვედელის 537-ე კავშირის ასეული. გერმანელებმა აგარაკი მავთულხლართით შემოღობეს და უწოდეს – ციხესიმაგრე. აგარაკი ანუ ციხესიმაგრე, დნეპრსა და სმოლენსკ-ვიტებსკს შორის არსებულ გზატკეცილს უკავშირდებოდა დაკლაკნილი, მოუკირწყლავი გზით – სიგრძით 1 კმ. 300 მეტრის მოშორებით გზატკეცილიდან და 700 მეტრის მოშორებით ციხესიმაგრიდან არის ხასო ფონ ვედელის შერჩეული ადგილი – კოზი გორა – სადაც „საძმო საფლავებია“.

არ არის დიდი ხანი, რაც „რადიო ბერლინის“ 1943 წლის 13 აპრილის კომუნიკე, რუსეთის დუმამ ცნო, როგორც სინამდვილე – პოლონეთის მთავრობასთან პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით. რუსი ისტორიკოსების მტკიცებით, წერილი – თითქოსდა, ბერიამ რომ მისწერა სტალინს, პოლონელი ოფიცრების დახვრეტის შესახებ ყალბია. რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა სასამართლომ ბერიას ეს წერილი არ ცნო ნამდვილ, ჭეშმარიტ დოკუმენტად.

კრემლის საიდუმლო საარქივო დოკუმენტების გაყალბება ნიკიტა ხრუშჩოვმა დაიწყო. ეს პროცესი დიდი სისწრაფით გაგრძელდა პერესტროიკის მერე. ქართველი ანტისტალინისტების საყურადღებოდ: სტალინის ინსტიტუტს რუსეთის სპეცსამსახურები იყენებენ საკუთარი პოლიტიკური მიზნების შესაბამისად, როგორც საქმეს ჭირდება – როცა უნდათ აგინებენ და როცა უნდათ აქებენ. ქართველები ამას ან ვერ ხვდებიან ანდა არ უნდათ, რომ მიხვდნენ და ამით ხელს უწყობენ აფხაზეთის და სამაჩაბლოს ოკუპაციის ლეგიტიმაციას, რათა რუსეთმა საბოლოოდ დაიმკვიდროს ეს ტერიტორიები, როგორც საკურორტო ზონა, ისევე როგორც თურქეთმა დაიმკვიდრა უძველესი ქართული მიწები: ტაო-კლარჯეთი.

ცნობისათვის: ამ ნაშრომის მიზანი არ არის კრემლის პოლიტიკური ზრახვების გამომზეურება. ჩვენი მიზანია, მომავალმა თაობებმა იცოდნენ, რომ არც სტალინს და არც ბერიას პოლონელი ტყვე ოფიცრები არ დაუხვრეტიათ და რომ ეს მოგონილი ჭორი რუსეთის სპეცსამსახურების შეთითხნილია.

კოზი გორაში „საძმო საფლავებთან, ბორცვები ნაძვნარით არის შემოსილი; ქვემოთ, დამრეც ფერდობებზე ნაძვნარს არყნარი და თხმელა ენაცვლება... თუ ბილიკებით დაეშვებით, აუცილებლად მიადგებით დნეპრის სანაპიროს, სადაც შსსკ (НКВД)-ის აგარაკია – ნაცისტებმა ციხესიმაგრე რომ უწოდეს, ხოლო მოშორებით პიონერთა ბანაკი მოსჩანს.

ალბათ რუსეთის დუმას გადაავიწყდა, რა არის პიონერთა ბანაკი? მე მათ შევახსენებ: ამ ბანაკებში სსრკ პიონერები გაზაფხულის და ზაფხულის არდადეგებზე ყოველწლიურად ისვენებდნენ. პიონერთა ბანაკი ყოველ ორ კვირაში იცვლებოდა. პიონერებისათვის დასვენების ბოლო დღეები დღესასწაული იყო. ისინი გაბადრული სახეებით დაეხეტებოდნენ ტყეში და აგროვებდნენ ხის რტოებს გამოსამშვიდობებელი სადღესასწაულო კოცონისათვის.

... აი, ამ გარემოში უეცრად შემოგრიალდება ორასამდე ბრეზენტით დახურული სატვირთო ავტომანქანა, საიდანაც გადმოეშვებიან შსსკ ((НКВД)-ს ჯალათები, რომლებიც უკვე გათხრილ საფლავებთან ჩაამწკრივებენ ტყვე პოლონელ ოფიცრებს და თითოეულს კეფაში ტყვიის სროლით კლავენ...

დეგენერატის გარდა ვინ დაიჯერებს, რომ ეს საზიზღრობა სტალინმა და ბერიამ ჩაიდინა?!

როგორ, სტალინს 1940 წლის გაზაფხულზე სხვა საქმე არაფერი ჰქონდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ გადმოეყვანა პოლონელი ოფიცრები კოზელსკიდან სმოლენსკში (300 კმ), შემდეგ სმოლენსკიდან კატინში (18 კმ!) და თითოეული პერსონალურად განეგმირა? სტალინი შიზოფრენიკი რომ არ იყო, ამის მოწმენი რუზველტი და ჩერჩილია, რომელთა თანადგომით და დახმარებით მან შეძლო გაენთავისუფლებინა დამონებული ევროპა და დაეხსნა მილიონობით ებრაელი ნაცისტური კონცენტრაციული ბანაკებისაგან.

მაშასადამე, პოლონელი სამხედრო ტყვეების დახვრეტა კოზელსკის ბანაკიდან ბოლშევიკების მიერ, არის ტყუილი.

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ პოლონელი ოფიცრები კოზელსკის ბანაკიდან თვითონ ნაცისტებმა დახვრიტეს?

რა თქმა უნდა, არა. ჰიტლერი პოლონელი ოფიცრების ხოცვა-ჟლეტას არ განახორციელებდა, რადგან 1941 წელს მოსკოვის კამპანიის – „ბლიცკრიგის“ – ძლევამოსილი გამარჯვების შემთხვევაში, ფიურერის გეგმა ითვალისწინებდა, კარგი ურთიერთობის დამყარებას განდევნილობაში მყოფ პოლონეთის მთავრობასთან, ლონდონში რომ იმყოფებოდნენ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ომის მერე ბევრი პოლონელი ოფიცერი კოზელსკის ბანაკიდან აღმოჩნდა ცოცხალი და ჯანმრთელი.

გამომდინარე აქედან თავისთავად ისმის კითხვა: ვინ ჩამარხეს ნაცისტებმა კოზი გორის „საძმო საფლავებში„?

ამ კითხვას პასუხობს მეორე მსოფლიო ომის დროს ლონდონში გამომავალი იატაკქვეშა ჰოლანდიური გაზეთი:

„1944 წლის 25 აპრილს ლონდონის ლეგალური გაზეთი „Вейс оф Нидерланґ“, წერდა, რომ თანახმად იატაკქვეშა ჰოლანდიური გაზეთისა, ჰოლანდიაში დასასვენებლად ჩავიდა გერმანიის სავალე ჟანდარმერიის თანამშრომელთა ჯგუფი. გერმანელები ჰყვებოდნენ, რომ კატინში დახვრიტეს ძალიან ბევრი ებრაელი პოლონეთიდან, რომლებსაც ეცვათ პოლონური სამხედრო ფორმა. მათ აიძულებდნენ საფლავები გაეთხარათ პოლონელი სამხედრო ტყვეებისათვის (ГАРФ, ср. 4453, оп. 27.ч.1 д.3340.л56)“.

არსებობს კიდევ ერთი ისტორიული დოკუმენტი:

„სმოლენსკში მცხოვრები ისტორიკოსი ლ. ვ. კოტოვი, გერმანელთა ოკუპაციის პერიოდში ქალაქიდან არ გასულა და კატინის საქმეზე შეაგროვა საინტერესო დოკუმენტური მასალები. თავის ერთ-ერთ სტატიაში „ტრაგედია კოზის გორაზე“ ის წერს, რომ 1942 წლის გაზაფხულზე გერმანელებმა ვარშავის გეტოდან ჩამოიყვანეს ორი ათასი ებრაელი... ებრაელებს ეცვათ პოლონური სამხედრო ფორმა. მათ ამუშავებდნენ სამხედრო-საინჟინრო ნაგებობების მშენებლობებზე, ხოლო შემდეგ ყველანი დახვრიტეს... შეიძლება კოზის გორაზე? („პოლიტიკური ინფორმატი“, №5, 1990, გვ. 57)“.

შეიძლება უარყოფა იმისა, რომ ებრაელებს აიძულებდნენ დაეხვრიტათ ებრაელები!?

მკაცრად გასაიდუმლოებული და საგულდაგულოდ შენიღბული ხასო ფონ ვედელის ოფიცერთა სამსახურის უფროსი პოდპოლკოვნიკი ფრიდრიხ არენსი ფარულად ასრულებდა ვანზეის კონფერენციის დადგენილებას; ვარშავის გეტოდან ჩამოჰყავდა ებრაელები კატინში, ათხრევინებდა მათ საფლავებს და შემდეგ თითოეულს კეფაში სროლით კლავდნენ.

ვიმეორებ – ჰიტლერი პოლონელ ოფიცრებს ან დახვრეტდა. საბჭოთა კავშირზე ომის გამოუცხადებლად თავდასხმის მომენტში მას ძალიან კარგად ჰქონდა, ჩამოყალიბებული და დამუშავებული ორი სრულიად საიდუმლო გეგმა: ოპერაცია „ბარბაროსა“ და ებრაელების გენოციდი მსოფლიოს მასშტაბით. ფიურერისათვის ეს ორი გეგმა ერთი მედლის ორი მხარე იყო.

ნიურნბერგის ტრიბუნალმა „კატინის საქმე“ განიხილა 1946 წლის 1-2 ივლისს ი. ბ. სტალინის მოთხოვნის საფუძველზე. ადვოკატებმა ადვილად დაარწმუნეს სასამართლო, რომ ფრიდრიხ არენსი კატინში გამოჩნდა 1941 წლის ნოემბერში და თანახმად პროფესიონალური საქმიანობისა (კავშირი), არ შეეძლო საერთო ჰქონოდა მასიურ დახვრეტასთან, რამაც განაპირობა მისი დასახელება დამცველი მხარის მოწმედ.

საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი გერხანდ ბუტცი და სხვა გერმანელი ექიმები, კატინში რომ მუშაობდნენ 1943 წელს (მარტი-ივნისი), ნაცისტებმა კვალის წაშლის მიზნით კაპიტუალაციამდე დახოცეს, თუმცა ექსჰუმაციაში მონაწილეობდა, აგრეთვე, 12 ექსპერტი სხვა ევროპული ქვეყნებიდან. ისინი შეიძლებოდა მოეწვიათ დამცველი მხარის მოწმედ, მაგრამ ტრიბუნალმა რატომღაც კატეგორიული უარი განაცხადა. ამის გამო საბჭოთა მხარემ პროტესტი გამოთქვა. ამ მნიშვნელოვან ფაქტებზე, ალენ დეკოს წიგნში „Великие загадки XX в.“ არაფერი არ არის თქმული.

ფრიდრიხ არენსის ჩვენების თანახმად, მან კატინში ერთ-ერთ ბორცვზე (კოზი გორაში სულ შვიდი ბორცვია – ი. პ.), შემთხვევით დაინახა თუ როგორ თხრიდა ტყეში მგელი ძვლებს და ისროდა აქეთ-იქით და პოდპოლკოვნიკმა დაიწყო მოქმედება: „მე გავეცი ბრძანება, რომ დაედგინათ ამ ძვლების წარმოშობა. ექიმებმა მითხრეს: ეს ადამიანის ძვლებია“.

ვფიქრობთ, რომ უინტერესო არ იქნება თუ გავეცნობით პოდპოლკოვნიკ ფრიდრიხ არენსის დაკითხვის ერთ ფრაგმენტს.

ლ. ნ. სმირნოვი (საბჭოთა მხარის ბრალდების მთავარი კონსულტანტი): „გეთაყვა, მითხარით მე, მოწმევ, საბჭოთა ბრალდების მიერ წარმოდგენილი მასალების თანახმად მაღალი ტრიბუნალისადმი, დადგენილია, რომ გვამები ჩამარხული იყო 1,5-2 მეტრამდე სიღრმეში. საინტერესოა, სად მონახეთ თქვენ ისეთი მგელი, რომელმაც ამოთხარა მიწა 2 მეტრის სიღრმეზე?“

ვ. არენსი: „მე ის მგელი არ მომინახავს, მაგრამ მე ეს დავინახე“ (ღიმილი დამსწრე კორესპონდენტების სახეზე).

ლ. ნ. სმირნოვი: „მითხარით, გეთაყვა, რატომ დაიწყეთ თქვენ „საძმო საფლავების“ ექსჰუმაცია 1943 წლის მარტში, როცა ჯვარი აღმოაჩინეთ და გაიგეთ საფლავების არსებობის შესახებ 1941 წლის ნოემბერში?“

ფ. არენსი: „ეს არ იყო ჩემი საზრუნავი. მე ხშირად მესმოდა ამის შესახებ და ვუთხარი კიდეც პოლკოვნიკ ფონ გერსდორფს, არმიის „ცენტრის“ ჯგუფის დაზვერვის უფროსს“.

შემდეგ სმირნოვმა დაასახელა სამი ქალი: ა. მ. ალექსეევი, ო. მ. მიხაილოვი და ზ. პ. კონახოვსკი. ისინი გერმანელთა 537-ე სამხედრო-საინჟინრო ასეულს დაქირავებული ჰყავდათ ციხესიმაგრეში მომვლელებად. თითოეული მათგანი დაკითხული იყო პირადად. მათი ჩვენებები ერთმანეთს დაემთხვა. გაირკვა, რომ ეს ასეული კატინში საინჟინრო საქმით არ იყო დაკავებული. ქალების მონათხრობის თანახმად „1941 წლის აგვისტოდან აგარაკზე (ციხეში მაგინეში) ყოველდღე მოდიოდნენ სატვირთო ავტომანქანები. ისინი ჩერდებოდნენ ტყეში და მალე ისმოდა გასროლები“. „მე ხშირად ვხედავდი სისხლს კაპრალების ტანსაცმელზე“. ერთხელ ერთმა ქალმა, ალექსეევმა, ვერ მოითმინა და მალულად აედევნა მანქანებს, რომ გაეგო რა ხდებოდა ტყეში. მან დაინახა პოლონელი სამხედრო ტყვეები, გერმანელთა გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით. მალე ქალმა გაიგონა მისთვის კარგად ცნობილი ცალკეული გასროლები.

ამ განმარტების შემდეგ სმირნოვმა განაგრძო დაკითხვა.

ლ. ნ. სმირნოვი: „და საბოლოო კითხვა: თქვენ იცნობთ საბჭოთა საგანგებო სახელმწიფო კომისიის დადგენილებას კატინის საქმეზე?

ფ. არენსი: „დიახ, მე წავიკითხე ეს დადგენილება“.

ლ. ნ. სმირნოვი: „მაშასადამე, თქვენთვის ცნობილია, რომ საგანგებო სახელმწიფო კომისია კატინში მომხდარ დანაშაულზე თქვენ პასუხისმგებელ პირად იცნობთ. ხომ ასეა?“

ფ. არენსი: „იქ მოხსენიებულია პოდპოლკოვნიკი არენსი“.

ლ. ნ. სმირნოვი: „ბატონო თავმჯდომარევ, მე აღარ მაქვს შეკითხვები“.

რეზიუმე: ჰიტლერი პოლონელ ოფიცრებს არ დახვრეტდა. საბჭოთა კავშირზე ომის გამოუცხადებლად თავდასხმის მომენტში, მას ძალიან კარგად ჰქონდა ჩამოყალიბებული და დამუშავებული ორი სრულიად საიდუმლო გეგმა: ოპერაცია „ბარბაროსა“ და ებრაელების გენოციდი მსოფლიო მასშტაბით. ფიურერისათვის ეს ორი გეგმა ერთი მედლის ორი მხარე იყო.

ჰიტლერის ბრძანებით კატინის „საძმო საფლავები“ მომზადებული იყო ჯერ კიდევ 1941 წლის ზაფხულში. „ბლიცკრიგის“ ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრების შემთხვევაში, ფიურერს განზრახული ჰქონდა „კატინის საქმე“ გამოეყენებინა პროპაგანდისტული მიზნით, როგორც სამხილი ბოლშევიკების და ებრაელების წინააღმდეგ. როცა ოპერაცია „ბარბაროსა„–მ მარცხი განიცადა, ნაცისტებმა კატინის მითი დროებით დახურეს. კატინში ნაცისტების მიერ დატრიალებული ტრაგედიით პროპაგანდა კვლავ ჰიტლერის მითითებით განაახლეს ვერმახტის არმიების სტალინგრადთან დამარცხების მერე. ამ პროპაგანდის მიზანი იყო განხეთქილების შეტანა აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. ეს იყო „მგელი მაქციას“ კიდევ ერთი საბედისწერო გაბრძოლება, რადგან სტალინგრადი, ჰიტლერისათვის სასიკვდილო წინათგრძნობა იყო.

GOTT MIT UNS

ამბობენ, რომ ადოლფ ჰიტლერი ათეისტი იყო, როგორც კარლ მარქსი და ვლადიმერ ლენინი.

ზოგიც ამტკიცებს, რომ ადოლფ ჰიტლერი მონათლული იყო კათოლიკურ ეკლესიაში, ვით კარლ მარქსი და ვლადიმერ ლენინი.

სწამდა თუ არა ღმერთი ადოლფ ჰიტლერს?

ძნელი სათქმელია, თუმცა ცნობილია, რომ ნაცისტების ქამრის ბალთაზე ამოტვიფრული იყო: „GOTT MIT UNS“ – „ჩვენთან არს ღმერთი“.

1941 წლის 22 ივნისს, შუაღამის 3 საათზე, ჰიტლერმა გასცა ბრძანება საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შესახებ ომის გამოუცხადებლად. ბრძანება მთავრდებოდა სიტყვებით: „დაე დაგვეხმაროს ჩვენ ღმერთი ამ ბრძოლაში“.

ალბათ, ჩვენი პლანეტის მილიონობით ადამიანისათვის საბედისწერო იმ წუთს, მას არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ღმერთი არასოდეს ეხმარება და არც არასოდეს დაეხმარება კაციჭამიებს, მიუხედავად იმისა, რომელი კონფესიის ან რომელი სარწმუნოების მიმდევარნიც ისინი არ უნდა იყვნენ.

იაკობ პაპიაშვილი

საქართველოს და ისრაელის მწერალთა კავშირების წევრი, ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი

დავით ჯანაშია

დედო ზარი

დროშას დაჰკრავს მეწამულის ფერი,
მამულს ფერი გადაჰკვრია ბინდის,
მცხეთის კარზე გამოსული ერი
საბრძოლველად დიდგორისკენ მიდის.
მეც აქ ვდგავარ, ჟრუანტელი მივლის,
ხმლის ნაკვესი ლაჟვარდებში ელავს,
ტანს ბექთარი ჩაუცვია თბილისს,
ციხის კარი დაუგმანავს თელავს.
დროშის კალთებს აფრიალებს ქარი,
წინაპრებიც წამომდგარან მკვდრეთით,
უსათუოდ მოვა ოვსთა ჯარი,
ველოდებით ჯარსაც აფხაზეთით.
შთაგონებას ქარი ჩამასესხებს,
ხატზე თრთოლვით დავასვენებ ხელებს,
თვალს მოვავლებ იმერლებს და მესხებს,
თუშებს, სვანებს, კოლხებს, აჭარელებს.
მთიულებიც დგანან მცხეთის კართან,
ადიდებენ ლომისსა და ლაშარს,
ღვთისმშობელო, მოწყალების კალთა,
დააფარე ღვთისდალოცვილ ლაშქარს.
დიდგორისკენ საქართველოს მოვლით,
დიდგორისკენ, რეკავს დედო ზარი,
ღვინობისთვე პირჯვარს იწერს
თრთოლვით,
დროშის კალთებს აფრიალებს ქარი.
მეც აქ ვდგავარ, „აბა ულას“-ს ვმღერი,
მამულს ფერი გადაჰკვრია ბინდის,
მცხეთის კარზე გამოსული ერი,
საბრძოლველად დიდგორისკენ მიდის.

„აბა ულა“ კოლხური ლაშქრული

სისხლს რომ იშრობს ნაომარი ქარქაშია,
ვხედავ ქურდი მხნედ უკითხავს
წმინდანს მორალს,
ნაბრძოლ ველზე მელეშეთა ყარყაშია,
სვავთა ჯოგი ლაშქარს მისდევს
ნადიდგორალს.
ის სიზმარი ისევ მაკრთობს ნაზმანები,
ქარი მიბანს ნაიარევს სიტყვას მართალს,
ჯგროდ მისდევენ უშუბლძარღვო
ფარსმანები,
ნაიარევ, ძლევამოსილ მთავარსარდალს.
სირცხვილისგან წითლდებიან ახოები,
ტურებს ნერწყვს გვრით ნასუფლარი
ნაზუქები,
გიგოლები, წინოლები, ჯაყოები,
რაინდობენ ნახრავ ძვლებზე ნასუქები.
ტკივილები სანთლებისთვის გამინდვია,
სულს მიშფოთებს განცდილი და
დანახული,
ღმერთო, ისევ უჟამური ამინდია,
უსაშველოდ იგვიანებს გაზაფხული.

დედა მდუმარე

ნუ შემიბრალებთ დღეებო გვედრით,
ჩამიდუღაბეთ ტკივილი ხმაში,
მიცურავს კუბო ძვირფასი ცხედრით,
მიცურავს კუბო ცრემლების ზღვაში.
მიკოცნის ტკივილს ფერმკრთალი მთვარე,
მიმძაფრებს განცდას ხეების ტაში,
კუბოში მიწევს დედა მდუმარე,
მიცურავს კუბო ვარდების ზღვაში.
ელვა ჩემს ტკივილს სურათებს უღებს,
დაისმა წვიმით გაიღო ხარჯი,
დედას ტკივილი არ შეაწუხებს,
დამშვიდებია სახე ნატანჯი.
მე და დუმილი კაეშნით ვთვრებით,
უხმო ლოცვებით დაისს ვაოცებ,
და მიმაქვს კუბო ძვირფასი ცხედრით,
დინჯად მივდივარ სასაფლაოზე.

გამოთხოვება

ეკიდება ზეცას ბრაზი,
სინანული დამენანა,
დასველდება ცრემლით ვაზი,
დასველდება წვიმით ყანა.
ქარის კვნესას ნაღველს ვახლი,
ვდუმვარ სამარესთან მდგარი,
საწყალობლად ყმუის ძაღლი,
მტკივა მოტეხილი მხარი.
ტკივილებით დაისს დავღლი,
ცრემლმა ჩემი სევდა ნამა,
საწყალობლად ყმუის ძაღლი,
კუბოში წევს მშვიდად მამა.
ღრუბლის ჩადრში მთვარე კრთება,
მთვარე მდუმარე და ფრთხილი,
თვით სიკვდილი კი არ კვდება,
დღეგრძელია დალოცვილი.
საყვედურით წარსულს ვუვლი,
სამძიმრებსაც დავემალე,
რა საოცრად მტკივა გული,
რა მშვიდია მესაფლავე.

წვიმა

ცამ თმები აიწეწა,
მზეს დაემალა დღეც,
ცრემლად იღვრება ზეცა,
დარდიანი ვარ მეც.

გათელილი მიხაკი

საქართველოში დარდი იციან,
სევდა საკუთარ ცრემლში ჩავმალე,
ისევ ამტკივდი მწარედ, ტიციან,
სტრიქონი მოვსვი, როგორც წამალი.
შენზე ფიქრები ტკივილს მიხარკებს,
განცდით ჩემივე თავი ვამხილე,
მე თანავუგრძნობ წითელ მიხაკებს,
რომ არ ეღირსათ შენი საღილე.
ეს ლექსიც შენი ლექსის სტილია,
წუნობდი სტრიქონს უშნოს და მოკლეს,
მამულის მტრებმა მოკლეს ილია,
ჯავახიშვილიც წამებით მოკლეს.
წევს პატრონტაჟზე ეპოქა ავი,
სისხლი აცხია ტკივილსაც, დროსაც,
მოაკვლევინეს პაოლოს თავი,
მოაკვლევინეს გალაკტიონსაც.
ვინატრე შენი სიზმრების ნახვა,
არ ამისრულდა ოცნება მაინც,
საუბედუროდ სხვა ბედი დაგყვა,
ორპირის ფშანის დარდიმანდ რაინდს.
ტკივილი გრიგალს სისინით მიაქვს,
ტკივილსაც უნდა განცდა და ცოდნა,
ჯალათის ნაცვლად რცხვენია ტყვიას,
ალალი გული რომ დაგიკორტნა.
შენს ლამაზ ბაღში დამჭკნარა პალმა,
ჩაბუდებულა მიხაკზე იჭვი,
იქ, ესენინი თუ მოგესალმა,
შენი ყონაღი, ამრევი ბიჭი.

შენს ტანჯულ სიზმრებს სიზმრებში
დავსდევ,
სიზმარში მაინც მომხვიე ხელი,
შენ სადიდგორევ და სამარაბდევ,
ჩოფურაშვილთან არღანით გელი.
გაუტეხელთა მოგდგამდა გენი,
ლაღიძის წყლებში გიყვარდა გოგო,
სად ვპოვო ახლა საფლავი შენი,
შენს წამებულ სულს სად დავეჩოქო.
ხარ შთაგონება ნაზი, კეთილი,
ნაღდი და წმინდა, არა პიარი,
ქართული ლექსი ხარ დაფლეთილი,
შენ პოეზიის ხარ ნატყვიარი.
შენზე ოცნება ლოცვებს მივანდე,
შემოვუქნიე ბელზებელს სახრე,
შენ პოეზიის ხარ სიდიადე,
შენ, საქართველოს ხარ სიამაყე.
როცა ჯალათი მოგდგა ახმახი,
სიმწრით გითრთოდა ალბათ ტუჩები,
„..შემართულია ფეხზე ჩახმახი,
და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები.“
შენდობა შენს სულს, იყუჩე, კარგი,
აქ დავამთავროთ მძიმე წერილი,
შენ ხარ ღიმილი, შენ ხარ მიხაკი,
ჯალათის ფეხით გადათელილი.

თამაზ ფიფია

ავტოპორტრეტიდან:

ბეჭით მიწას ვარ გაკრული,
სულით ზეცაში ვფრინავ,
მაკვირვებს აწმყო–წარსული,
– ბედის სასწორის პინა...
სად მოვიხილო ლალები,
ჩემი დეკა და ღვია,
ფართოდ გახელილ თვალებით
შევყურებ ლაჟვარდს ღიას,
სად უზღვრო, ლარივით სწორი
წინ დევს ღვთიური შარა
და ურიცხვ ვარსკვლავთა შორის
ვეძებ ნუგეშის კარავს.

***

ძილფხიზლობის ღამეები ძალზე
ძნელად თენდება,
ფიქრთღრუბლებით გარემოცულს
ბევრი რამ მახსენდება,
გარდასულის იმ ჯანღიდან იგრგვინებს
და იწვიმებს,
ვით ეკრანზე მოჩანს ჩემი ბრალი,
მადლი, სიწმინდე...
უღმერთოთა დიდ კავშირში მეც ვიყავი
ურწმუნო.
სათუოდან გამოსული, ახლა,
იმ წარსულს ვწუნობ,
რადგან აზრი არ მქონია ღვთიურ
სიბრძნით წყობილი,
შეცდომები დამიშვია და ვყოფილვარ
ცოდვილიც,
არ ვიცოდი სამამულე რქა
როდისღა იზრდება,
თუ სამშობლოს სიყვარული
კვირტიდან არ იწყება.
როგორ ძალუძს უღმერთო კაცს
თანადგომა კარგი ყმის,
როგორ გახდეს ლაზიერად
განწირული პაიკი?!
როცა ვიგრძენ გმირის ხიბლი,
ღვთიურ მცნებების ძალა,
თანამოძმის დაუშრეტმა
სიყვარულმაც იალა,
უკვე რარიგ რთული აზრი
ირგვლივ მყოფთგან მესმოდეს,
ვრჩები მხოლოდ წრფელი გრძნობის
და სიწმინდის მეხოტბე!

ნანა, შვილებო, ნანა...

(ძილისპირული ტყუპებისადმი)
ვუძღვნი ცოტნეს, თეკლეს
და მათ დედიკოს

დედა გიმღერით ნანას:
ნანა, შვილებო, ნანა...
უფალი მამაგამჩენის
მადლის ვადიდებ ძალას –
ავმაღლდი თქვენი გაჩენით,
ჩემო ბიჭო და ქალავ...
ნანა, შვილებო, ნანა...
დაგხარით ქორფა პაწაწებს –
თქვენზე მზრუნველი მარად,
ნუ აფახულებთ წამწამებს
იძინეთ მშვიდად, წყნარად...
ნანა, შვილებო, ნანა...
შუბლზე გატყვიათ ნიშანი –
მზისა და მთვარის შანა,
ნეტავი გავხდე მისანი,
შევიცნო თქვენი ხანა...
ნანა, შვილებო, ნანა...
როცა დაგყურებთ, ავყვები
ფიქრს და ოცნებას თანაც,
მე წამლად დაგენაყებით
ქვეყნად ვიცოცხლებ სანამ,
ნანა, შვილებო, ნანა...
მხნედ შრომა არ დაიზაროთ,
ცხოვრების ანა–ბანა
სიკეთის მადლით იხაროთ,
ვთხოვ, ვნუკვი უფალს ამას.
ნანა, შვილებო, ნანა...
გახსოვდეთ: ხართ ქართველები,
გულით რომ ღმერთებს ჰგვანან,
სამოთკხე ზღვა–მთა–ველების
გიყვარდეთ ეს ქვეყანა!
ნანა, შვილებო, ნანა...
მსურს, რომ ერთგულნი აღგზარდოთ,
გამკობდეთ ვარსკვლავთ ბრწყინვა,
მამულის წინსვლის სანაცვლოდ
შეგეძლოთ თავგანწირვაც!
დედა გიმღერით ნანას:
ნანა, შვილებო, ნანა...

შიში

ვის არ შეაკრთობს სიკვდილის შიში?!
გამონაკლისი არც მე არა ვარ,
მაგრამ ხომ ვიცი რისთვისაც ვიშვი,
პირისპირ ვრჩები რისი ამარაც...
უცილობელ ხვედრთ შევეგუები,
სხვა რამ მაწუხებს მე ბევრად უფრო,
მთავარი აღარ დამრჩეს უთქმელი,
არ შევრჩე მიწას მართლა
მკვდრად, უფრთოდ!

ციური თარგამაძე

შვილიშვილს

აქეთ ციცაბოა, იქით – კლდეშლილია,
გზები შეშლილია, წლები შეშლილია,
ჩემთვის შემოდგომა ქარდაგეშილია,
შენთვის მეშინია, გზების მეშინია.
ქარში ხელებს გითბობ, გული ხომ თბილია,
გარეთ სიცივეს კლავს – შენი სიცილია,
შენი ეშმაკური თვალთა ციმციმია,
თეთრი ბაჭიები როგორ გიცინიან!
წინ გზა გასავლელი ძნელი მანძილია,
ხელით მომეჭიდე, სანამ შემიძლია,
გულზე მიგიკრა და ისე გაგატარო,
ჩემო პააწაწინა, ცელქო ნატვრისთვალო.
ვიდრე გაზაფხულის წლები გიცინიან,
ვიდრე უდარდელი შენი სიცილია,
შენი ჩაკონებით უნდა გავიხარო,
ჩემი შემოდგომის მზეო სანუკვარო!

დუმილი

ზოგჯერ დუმილიც რაღაცას ამბობს,
ზოჯგერ დუმილიც რაღაცას გკითხავს,
ჩუმ სისადავეს, გულწრფელ თვალებს
და მოკრძალებას რად უნდა სიტყვა.
ამ ქვეყანაზე სათნოება უსიტყვოდ დადის,
და სათნოების ხამს წამკითხავი.
ვით პალიმფსესტი ოქროჩაწნული,
ან ვით მზეჭაბუკს ელის ქალწული,
დუმილი თავის წამკითხველს ელის,
არის დუმილი სიტყვაზე სავსე,
სიტყვაზე ღრმა და
სიტყვაზე წრფელი.

***

ცის კიბეზე, ხვიარასებრ ამავალო მზეო,
დასაჩრდილად ღრუბლის ქუფრი ზღვა
რომ შეგესევა,
ვერვის ნათობ, ვერც ათბობო –
ჩაგსისინებს ქარი,
დანანების წრფელი ცრემლით
მოგეპყრობა თვალი.
განა გზად არ დაქანცულხარ?
ბევრჯერ გიმტრობს ძალაც,
ცილს დაგწამებს ღრუბელი და ზოგჯერ
სევდას მალავ,
მზე ხარ... მაგრამ შემოგბედავს ნისლიც
ვიგინდარა,
და შენს წმინდა გულს და სახეს ჩრდილით
გადაფარავს.
ცის ტალღებზე კალმახივით აღმა მავალს
ჰგევხარ,
მზე ხარ... მაგრამ შემოგბედავს ზოგჯერ
ღრუბლის მეხიც...
გულს გიღონებს სავალ გზაზე ელვის
მეხთატეხა,
მაინც ივლი... გაანათებ მაინც...
რადგან მზე ხარ.



ვაჟა კოზმანაშვილი – 70

70 წლისა შესრულდა პოეტი ვაჟა მიხეილის ძე კოზმანაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ვაჟა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

თქვენი ლიტერატურული ნაწერები გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიბეჭდა რესპუბლიკურ პერიოდიკაში და მას შემდეგ ერთგულად, მუხლჩაუხრელად ემსახურებით მშობლიურ მწერლობას.

მრავალწახნაგოვანი შემოქმედი ბრძანდებით. განსაკუთრებული ნაყოფიერებით მოღვაწეობთ საბავშვო ლიტერატურის ურთულეს ჟანრში. ქართველი მოზადებისათვის საბავშვო ლექსების 25 და ზღაპრების 3 კრებული შეჰქმენით.

ამავე დროს ავტორი ბრძანდებით ლირიკული ლექსების შვიდი კრებულისა, რომლებიც სამშობლოს ერთგული შვილის სულიერ ღაღადისს წარმოადგენს.

მკითხველი ინტერესით შეხვდა თქვენი რომანებისა და მოთხრობების არაერთ კრებულს, რომლებშიც ქვეყნისათვის საჭირბოროტო თემატიკაა წინა პლანზე წამოწეული.

თქვენი დოკუმენტური პროზის ორტომეული ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, დიდი ადამიანური სიმართლით იპყრობს.

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია უკრაინულ, რუსულ, ირანულ ენებზე.

სხვადასხვა დროს არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გიმუშავიათ და ყველგან წარმატებით ართმევდით თავს დაკისრებულ მოვალეობას. არჩეული ხართ საქართველოს ეროვნული აკადემიის მცხეთის სამხარეო ორგანიზაციის ხელმძღვანელად და ამ აკადემიის საპატიო წევრად.

დაჯილდოებული ხართ შიო მღვიმელისა და მაყვალა მრევლიშვილის სახელობის პრემიებით, დავით აღმაშენებლის ოქროს მცირე ხატით, დავით აღმაშენებლის პრემიების ჟიურის სპეციალური პრემიით.

ბატონო ვაჟა!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

პოეზიის რჩეული

პოეტი ჯემალ ინჯია ქართული მწერლობის გორის ფრთის მეთაური და ღირსეული წარმომადგენელია. იგი არის განათლებული პიროვნება, რომელსაც ქართული მწერლობა და კულტურა გათავისებული აქვს შემოქმედებითად.

ჯემალ ინჯიას პოეტური სახის ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინა არამარტო ძველი, არამედ თანამედროვე ქართულმა კლასიკამ და ფოლკლორმა. მისი ახლო მეგობრები და შემფასებლები იყვნენ სახელოვანი და მარად დაუვიწყარი გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, იოსებ გრიშაშვილი, ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი და სხვები, რომლებთანაც არა მარტო პოეზია, არამედ მეგობრობაც აკავშირებდა და ეს ყველაფერი სულ ახლო ჩვენ საუკუნეში ხდებოდა.

მაგრამ ბატონი ჯემალის მასწავლებელი მაინც სტიქია იყო ქართული ენისა, რომელიც მისთვის მხოლოდ გამოხატვის საშუალება კი არ არის, არამედ – შინაინფორმაცია.

„სვეტიცხოველის მისადგომთან ფიქრი დავძარი
თითქოსდა ამ ფიქრს ხევსურული აბჯარი ეცვას,
დღე მოიღუშა, ლამის შთანთქა დიდი ტაძარი,
უცებ აცივდა, ცრემლი სცვივა გაცრეცილ ზეცას.
ლეგენდა მღერის გესმის, მცხეთავ, არსენიანო?!
აქ, ამ კედელში დიდოსტატის მკლავი დებულა,
აქ საქართველოს ცხელი გული ასვენიაო,
მაგრამ ვერ ფეთქავს ლომის გული კვლავინდებურად.

ეს ლექსი შესულია ახლახან გამოცემულ ჯემალ ინჯიას რჩეულში, რომლითაც იხსნება ეს ძვირფასი გამოცემა სათაურით -„ტრიოლეტები სვეტიცხოველთან“.

პოეტი ღირსეულ სტრიქონებს უძღვნის უფროს მეგობარს, მარად დაუვიწყარ გიორგი ლეონიძეს:

„ვის შეუძლია კვლავ ციციკორე,
რომ დაამსგავსოს რაინდს, გმირთაგმირს?
ხარ საოცარი კაცი, ციკლონებს
მარაოს ქარად როცა გვითარგმნი.

ვის შეუძლია გულში დასტიოს
მთელი ქვეყანა და ასე წეროს?
მისტირი ქართულ კოშკს და ბასტიონს
ხაზარეთისკენ გაფრენილ წეროს“.

ჯემალ ინჯიას პოეზიაში მოულოდნელად ენაცვლებიან ერთმანეთს ტროპის სახეები, ისე რომ პოეტური სინტაქსის მეოხებით აღწევენ ლოგიკურ გამართლებას.

პოეტის პატრიოტული ლექსები, მათი პათოსი გმირულ საწყისებზე აღმოცენებული მარადიული სიყვარულის განცდა მკითხველს გულგრილს ვერ დატოვებს.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

მარიამ შამათავა

***

იცი რა მინდა? რაღაც სხვანაირი,
გულში ჩამწვდომი და თვალის
ამცრემლავი,
ცოტა ძველებური, ცოტა სხვანაირი,
ცოტა თამამი და ცოტაც გამბედავი.

იცი რა მინდა? რაღაც სხვანაირი,
გულის გამთბობი და სულის
გამბრწყინავი,
ცოტა სინანული, ცოტა სიხარული
ღვთისგან ბოძებული
დიდი სიყვარული.

ჩემს დედიკოს!

ქალი, რომელიც სხვას
არავის არ ჰგავს,
ქალი, რომელიც ჩემთვის
თავს კარგავს,
ქალი, რომელიც სხვა
დედებს არ ჰგავს,
ქალი, რომელიც ჩემს
გრძნობებს ქარგავს.

ქალი, რომელიც დაქვრივდა ადრე,
ქალი, რომელსაც ცხოვრება ანდეს,
ის არ ყოფილა ამგვარად ადრე,
მას ახლა ბავშვის აღზრდა რომ ანდეს.

ქალი, რომელიც სიმტკიცეს აჩენს,
ქალი, რომელიც გრძნობებს
არ ამხელს,
ქალი, რომელიც ტკივილს ინახავს
ამგვარი ქალი შენ არ გინახავს.

ის ხომ მამაცი სულის ქალია,
მამამ მის ხელში სული დალია,
ის ხომ არ ამხელს ამ
ტკივილს მალულს,
მაგრამ მე ვხვდები მის გრძნობებს
ქალურს.

მან საყვარელი ქმარი დაკარგა,
მან თავის შვილის მამა
დამარხა,
შვილის, რომელსაც ძლიერ
ნატრობდა,
მისი გაჩენით ქმარი ხარობდა.

მან მე მასწავლა გრძნობის დამალვა,
არ მაგრძნობინა მამის დაკარგვა,
მან მე მასწავლა სისუსტის მალვა
და დამისახა მე ჭკუის სწავლა.

მან მე მასწავლა სიკეთის არსი,
მითხრა სიკეთე აკეთე მუდამ,
მან მე მასწავლა რა არის ფარსი,
მითხრა არ აყვე გახსოვდეს მუდამ.

მან მე სამოთხის გამიღო კარი,
ის არის სულით უტკბესი ქალი,
ის არის ჩემი ცხოვრების აზრი
ის ჯერ დედაა შემდეგ კი ქალი.

***

სამწუხაროდ, ახლა ჭარბობს
მამაკაცი ცრუ და ფლიდი,
ახლა ცოტას გააჩნია ქალისადმი
გრძნობა, რიდი,
ჰოდა, მინდა ავაშენო ჩვენ ორ შორის
დიდი ხიდი,
მეშინია არ ჩავვარდეთ, ამისი მაქვს
შიში დიდი.

***

ფიქრითაც შენზე მე ხშირად ვფიქრობ,
რადგან მე და შენ ძმობამ შეგვყარა,
ვერ გნახულობ და ალბათ
შენც ფიქრობ
სულ დამივიწყა, სულ შეიშალა...

მე მომენატრე, ჩემო ძამია,
ამას რომ ვამბობ, ესეც კაია,
რატომ? იმიტომ, რომ ღირსი
არ ხარ
მაგრამ რა ვუყო, მაინც მიყვარხარ...

რა კარგია სიყვარული

არ მეგონა თუ ოდესმე მე ამ
სიტყვებს ვიტყოდი,
აქამდე სულ სხვანაირად, მგონი მცდარად
ვფიქრობდი,
რა კარგია სიყვარული, ის ხომ ტკბილი ხილია,
გრძნობაც უფრო სხვანაირი, გამჭოლი და
თბილია.

შესაძლოა სიყვარულში არაფერი
არ იცი,
მაგრამ ამ დროს სულ ყველაფერს
სხვანაირად განიცდი,
რა კარგია სიყვარული, ეს გრძნობათა
პიკია,
სამწუხაროდ ამ გრძნობაში ეჭვი
რაღაც ჰიტია.

სიყვარულზე ოცნებობდა ლეონარდო
დავინჩი,
მის ნახატში ჩაფლულია გრძნობა
ფერად ამინდში,
რა კარგია სიყვარული ალბათ,
დამეთანხმებით,
ახლა დაგემშვიდობებით ამ
გრძნობების თანხლებით.

ქვეყნის ჭირ-ვარამს მიყურადებული შემოქმედი

ეთერ ზარიძე

თანამედროვე ქართული მწერლობის კლასიკოსი, საქართველოს სახალხო მწერალი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, რევაზ მიშველაძე, უდავოდ გამორჩეულია თავისი პატრიოტული სულისკვეთებით და შემართებით, იგი ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბული სიტყვის გარეშე, შეუდრეკელ მებრძოლად გვევლინება ყოველივე იმ უზნეობის და უსამართლობის წინააღმდეგ, რომელიც ქვეყანაშია გამეფებული.

ამ მხრივ ძალზე საინტერესო გახლავთ მისი ახალი რომანი „ციყვი ბორბალში“.

ამ ნაწარმოებში ვხედავთ ქვეყანას, რომელიც წყვდიადშია მოქცეული და საშველი კი არსაიდან ჩანს. რომანის სახელწოდებაც ამაზე მიგვანიშნებს. ციყვი ამ შემთხვევაში ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ქართველი ერია, რომელიც ბორბალშია მოქცეული და იქედან თავის დაღწევას ცდილობს, მაგრამ ამაოდ. საითაც არ უნდა წავიდეს, მაინც სულ ერთსა და იმავე მოჯადოებულ წრეზე ტრიალებს.

რომანში მინიშნებულია დაუსჯელობის სინდრომზე, რომელიც ქვეყანაშია გამეფებული და დამნაშავეები თავისუფლად დაპარპაშებენ. ისინი კვლავ ახალ-ახალ საფრთხეს უქმნიან უდანაშაულო საზოგადოებას. ამის თვალსაჩინო მაგალითია რომანის მთავარი გმირის ლავრენტი მიქავას დრამატული ცხოვრება.

ლავრენტი ერთგულად ემსახურება თავის ქვეყანას და ვერ ხედავს, რომ მის თავზე შავი ღრუბლები გროვდება. ასევე პირნათლად ასრულებს თავისზე დაკისრებულ მოვალეობას.

ლავრენტი მიქავა პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი გახლავთ, იგი პრეზიდენტს ფეხდაფეხ დაჰყვება და მის ისტორიულ საქმეებს იღებს. პრეზიდენტსა და ფოტოგრაფს შორის მეგობრული ურთიერთობა მყარდება. პრეზიდენტი კმაყოფილია თავისი ფოტოგრაფით და ფოტოგრაფი კი თავისი სამსახურით.

ერთ დღეს მოულოდნელად მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა პრეზიდენტის რისხვა, რომელიც ლავრენტი მიქავას დაატყდა თავს.

პრეზიდენტმა ნიკარაგუას ცენტრალური გაზეთის „ვატატატუ ვაკახარას“ ახალი ნომერი წინ დაუდო ფოტოგრაფს და ის უცხოური გაზეთისთვის ფოტოების გადაცემაში დაადანაშაულა. ლავრენტი მიქავა ამ ამბავმა ძალიან შეაწუხა, რადგან ის უდანაშაულო იყო, მაგრამ პრეზიდენტის დარწმუნებას ვერ ახერხებდა.

ამ ამბიდან ერთი თვის თავზე ახლა ნაურუს რესპუბლიკის გაზეთმა „ბანანუტამ“ გამოაქვეყნა პრეზიდენტის ორი არასასურველი ფოტო, რამაც პრეზიდენტის რისხვა გამოიწვია და მან გადაწყვიტა უდანაშაულო ფოტოგრაფის დაპატიმრება.

– „მე რა შუაში ვარ“ - ეკითხება ფოტოგრაფი, რაზეც პრეზიდენტი პასუხობს: „შუაში ხარ, თუ არა, ამას გამოძიება დაადგენს. მე ძალიან მინდა მართალი იყო, მაგრამ მეეჭვება. რაც მთავარია, სხვებს შეეშინდებათ. სხვებისთვის გაკვეთილი იქნება, პრეზიდენტმა თავისი პირადი ფოტოგრაფი არ დაინდო და ჩვენ რას გვიზამსო, იტყვიან“.

პრეზიდენტი ფიქრობს, რომ ეს ხერხი გაჭრის, რადგან „ხალხი ისედაც შეშინებულია“, დიახ, ამ ფოტოგრაფების გარდა სხვა ყველა მოჭკვიანდა.

მწერლისთვის დამახასიათებელი თხრობის დახვეწილი მანერა და სხვადასხვა სიუჟეტების მხატვრულად გაზავებული შუქ-ჩრდილები ნაწარმოებს საინტერესოს ხდის.

რომანში აღწერილია ციხის ბინადართა მონათხრობი ისტორიები. თხრობა იმდენად მიმზიდველი და საინტერესოა, რომ მკითხველი თავისდაუნებურად ეჯაჭვება მონათხრობ ეპიზოდებს და გულისყურით ადევნებს თვალს სიტუაციების შემდგომ განვითარებას. პატიმრები ჰყვებიან საინტერესო ამბებს, რომლებიც მათ, ან მათ ახლობლებს გადახდათ.

ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი, მარტოხელა კაცი – ვალიკო პოლიტიკურზე დაიჭირეს და სულ ციხეშიაო, ეუბნება ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოს პატრონი სოკრატი ლავრენტი მიქავას, ალბათ მალე გამოუშვებენ, მაგრამ გზაზევე იწყებს კომუნისტების ლანძღვას და ისევ ციხეში აბრუნებენო.

მწერალი მოგვითხრობს ლავრენტი მიქავას მოსწავლეობის წლებზე, მის ონავარ ხასიათზე და მის კეთილ ბუნებაზე.

მწერლის საფიქრალს წარმოადგენს ახალგაზრდების სწავლა-განათლების საქმე და მათი სწორი აღზრდა, რომელიც კიბის საფეხურებთან არის შედარებული, რომ „ყველაზე მაღალი კიბეც კი პირველი საფეხურიდან იწყება“.

არა მარტო ეს ფრაზა, არამედ სხვა უამრავი დიდაქტიკური შეგონება და აფორიზმია რომანში. საინტერესო გამოთქმებია, მაგალითად, „მოვისისხლფასეთ, რაზეც ხელი მიგვიწვდა, ცოტას ახლობლები შეგვეწივნენ, ცოტა ვიურიისვალეთ“.

„თარჯიმანი უკანსვლით, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული, მაგრამ ყურებამდე ღიმილაფარებული წავიდა კარებისკენ“. „ქარხნის პატრონს სახე მოემაჩვა“. „ადამიანები ანგარიშს არ უწევენ, თორემ ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც ადამიანს გააჩნია, ფიქრის თავისუფლებაა“. „ჭკუას ვერანაირი ჩაგონებებით და სწავლა-დიდაქტიკით ვერ სწავლობს ადამიანი“.

მწერალს აწუხებს არსებული პრობლემა, რაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უკავშირდება. „არც გაერომ, არც ევროპარლამენტმა თითიც არ გაანძრიეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად“.

მწერალი ხედავს, რომ საქართველოში სამსახურის შოვნა შეუძლებელია და მას ნაწარმოებში შემოჰყავს ლავრენტი მიქავას შორეული ნათესავი ნაზიკო ზვიადაძე, რომელიც სთხოვს ლავრენტის, საზღვარგარეთ სამსახურის შოვნაში დაეხმაროს. აქ ნაჩვენებია ჩვენი მოსახლეობის დუხჭირი ცხოვრება, რომ ქართველი იძულებულია გადაიხვეწოს საზღვარგარეთ, რომ იქ მოახლედ ან ავადმყოფის მომვლელად იმუშაოს და ამით შეეწიოს საქართველოში დარჩენილ ოჯახს. ამით დახატულია ის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, რაც საქართველოშია და მის გამოსწორებას საშველი არ დაადგა. ხელისუფალნი ფიქრობენ, რომ „ერთი კაცის მოტყუებაზე უფრო ადვილი ხალხის, მასის მოტყუებაა“.

მწერალს არც ქართული სუფრის ადათ-წესები დავიწყებია. ის თავის რომანში პარალელს ავლებს უცხოურსა და ქართული სუფრის წესებს შორის და ამბობს: „რისი თამადა, რა წესრიგი, სვამენ და ჭამენ უპრაგონოდ“. „არ უსმენენ ერთმანეთს, იცინიან წამდაუწუმ“.

მწერალი ისევ და ისევ უბრუნდება იმ უსამართლობის აღწერას, რაც ჩვენს ქვეყანაშია. აქ გამოყენებულია ისევ პატიმრების დიალოგი. შოთა ნამჩევაძე ეუბნება ლავრენტი მიქავას: „ვინც დაგიჭირა, ის რას ამბობს, ქართულ მიწას რომ გაყიდი, ბიჭებს რომ ქუჩაში დახოცავ, უნივერსიტეტიდან რომ პროფესორებს პოლიციის ძალით გამოაძევებ და მწერლებს რომ სარაჯიშვილის ნაჩუქარ შენობას წაართმევ, ეს არ არისო სამშობლოს გაყიდვა?“ ამ სიტყვებით გადმოცემულია არსებული რეჟიმის სისასტიკე და უსამართლო ქმედებები ერისა და ქვეყნის წინაშე. აღწერილია, თუ როგორ მიდის მიზანმიმართული ბრძოლა ქართული ენის და ქართული წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ. „სამი წლის ბავშვს რომ ქართულს დაავიწყებ და ინგლისურ ჭიკჭიკს დააწყებინებ, მისგან ქართველი გაიზრდება?“ „ეროვნული ფენომენის გაჩანაგება არ არის ხალხურ ხელოვნებას, ქართულ ადათ-წესებს, ქართულ კლასიკას პატივს რომ არ სცემ?“ „ვერ ხედავ, ყველა პატრიოტული ნაწარმოები, რომ ამოიღეს სასკოლო სახელმძღვანელოებიდან?“

რომანში აღწერილია მშვიდობიან მომიტინგეთა სასტიკი დარბევა-დაწიოკება. რა უმოწყალოდ სცემენ უიარაღო, მშვიდობიან მოქალაქეებს, რომ ერთ წაქცეულ ადამიანს სამი-ოთხი პოლიციელი სასიკვდილოდ სცემს.

აი, ასე დაგვიხატა ერის ჭეშმარიტმა გულშემატკივარმა რევაზ მიშველაძემ ქვეყანაში არსებული ვითარება და მოსახლეობის პროტესტი უსამართლობის წინააღმდეგ.

მადლობა მას ამ შესანიშნავი რომანისთვის, ღმერთმა დალოცოს მისი არსებობა, კიდევ მრავალი ნაწარმოებით გაეხარებინოს ქართველი მკითხველი!

აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის საკითხები ესპანურ ენაზე და ესპანელი პოეტის ემოციური ლექსი საქართველოზე

2014 – 2015 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პროექტის ფარგლებში ევროპის რამდენიმე (ჩეხურ, გერმანულ და ესპანურ) ენაზე ითარგმნა ქართველი მეცნიერების ჯემალ გამახარიასა და ლია ახალაძის მიერ მომზადებული ნაშრომები აფხაზეთის შესახებ.

ესპანეთში წიგნი 2015 წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით „აფხაზეთის ისტორიის, პოლიტიკისა და კულტურის საკითხები“. იგი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილის -„აფხაზეთის/საქართველო პოლიტიკური ისტორია (მოკლე ისტორიული ცნობა)“ - ავტორია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პროფესორი ჯემალ გამახარია, მეორე ნაწილი - „საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლები. აფხაზეთი“ ეკუთვნის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ლია ახალაძეს.

შესავალში განმარტებულია აფხაზეთის შესახებ ცალკეულ ევროპულ ენებზე წიგნების გამოცემის მიზნები და ამოცანები. მასში ნათქვამია, რომ ასეთი წიგნების გამოცემა განაპირობა მსოფლიო საზოგადოებისათვის საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში - აფხაზეთში 1992-1993 წლებში დატრიალებული ტრაგედიის, ჰუმანიტარული კატასტროფის შესახებ მოკლე, მაგრამ სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდების სურვილმა და აუცილებლობამ. აღნიშნულია, რომ თავისი მასშტაბებით, არაადამიანური სისასტიკითა და დანაშაულებრივი შედეგებით ამ ტრაგედიას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში ანალოგი არ მოეძებნება. 20 წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის მიერ ინსპირირებული და მისი რეგულარული სამხედრო ნაწილების გადამწყვეტი მონაწილეობით საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებული ომის შედეგად აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოეწყო ქართველთა ნამდვილი სასაკლაო, ადამიანთა გაუგონარი ხოცვა-ჟლეტა და მოსახლეობის თითქმის სამი მეოთხედის იძულებითი დეპორტაცია.

შესავალში ხაზგასმულია, რომ ტრაგედია კვლავაც გრძელდება, მაგრამ ამისთვის პასუხი რატომღაც ჯერ არავის უგია. უფრო მეტიც, 2008 წლის აგვისტოში რუსეთი მოგონილი საბაბით და კოსოვოს სცენარის გათამაშება - განმეორების მიზნით, თავს დაესხა საქართველოს. ხუთდღიანი ომის შედეგად აგრესორმა აფხაზეთისა და ქვეყნის დედაქალაქ თბილისთან ახლოს მდებარე ცხინვალის პატარა რეგიონის - თვითგამოცხადებული ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია მოახდინა. იმავე წლის 26 აგვისტოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისაგან დაცლილი ორივე რეგიონი კრემლმა ვითომ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, რითაც ფეხქვეშ გათელა საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმები. მოსკოვში კარგად ესმოდათ, რომ ჩადენილი უკანონობის ლეგიტიმაციისთვის საჭირო იყო ოკუპირებული რეგიონების საერთაშორისო აღიარების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთი იყენებდა და იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას დეზინფორმაციების გავრცელების, ისტორიის გაყალბების, ჩატარებული ეთნიკური წმენდის დაკანონების, ორივე რეგიონში არსებული რეალური ვითარების მიჩქმალვის მცდელობებით დაწყებული და ცალკეული ქვეყნების ლიდერების მოსყიდვით, სხვა უღირსი ხერხების გამოყენებით დამთავრებული. ცივილიზებული სამყაროს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ კუთხით რუსეთის მიერ მიღწეული შედეგები საკმაოზე მეტად მოკრძალებულია. დემოკრატიული ქვეყნების ძალისხმევით, მან ვერ მიაღწია და იმედი უნდა ვიქონიოთ, ვერც ვერასოდეს მიაღწევს საკუთარი დანაშაულის ლეგიტიმაციას.

ავტორებს მიანიათ, რომ მთელმა მსოფლიომ უნდა გაიცნობიეროს და გაითავისოს საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხარის აფხაზეთის რეგიონში რუსეთის მიერ უშუალოდ მართულ და მხარდაჭერილ სეპარატისტთა მცირე ჯგუფის მიერ ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი გაუგონარი დანაშაული. ცივილიზებული სამყაროს ვალია, ხმა აღიმაღლოს არნახული უსამართლობის, ათასობით სრულიად უდანაშაულო მშვიდობიან მოქალაქეთა ეთნიკური ნიშნით წამებისა და დახოცვის, შუასაუკუნეობრივი მეთოდებით ადამიანის უფლებების ტოტალური დარღვევის წინააღმდეგ XXI საუკუნეში.

აფხაზეთში-საქართველოს ამ ძირძველ მხარეში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების არსში გარკვევის მიზანს ემსახურება ჯემალ გამახარიასა და ლია ახალაძის ავტორობით გამოცემული წიგნი. მკითხველს საშუალება ეძლევა მოკლედ გაეცნოს აფხაზეთის ისტორიის საკვანძო საკითხებს, რომელსაც რუსი ოკუპანტები და მათი დახმარებით ადგილობრივი სეპარატისტები ყოველნაირად ამახინჯებენ; გაეცნოს მის უძველეს და უნიკალურ ქრისტიანულ კულტურას, რომელსაც იგივე ძალები რეგიონში ქართული კვალის წაშლის მიზნით, ანადგურებენ, ან რუსულ ყაიდაზე იერსახეს უცვლიან. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა აფხაზეთში გაჩაღებული ომისა და მისი შემაძრწუნებელი შედეგების გაშუქებას.

ავტორები ყურადღებას ამახვილებენ 2014 წლის 24 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის/საქართველო დე-ფაქტო მარიონეტულ ხელისუფლებასთან გაფორმებულ ე. წ. ხელშეკრულებაზე „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ”. საყოველთაო შეფასებით, იგი ოკუპირებული აფხაზეთის/საქართველო ანექსიას ისახავს მიზნად. ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს შავიზღვისპირეთის 200 კილომეტრიანი აფხაზეთის მონაკვეთი, რუსეთის მიერ ახლახან ანექსირებულ უკრაინულ რეგიონთან - ყირიმთან ერთად, უნდა იქცეს მთელი ევროატლანტიკური სივრცის წინააღმდეგ მიმართულ მძლავრ სამხედრო პლაცდარმად, რის შესახებაც ღიად და ხმამაღლა აცხადებენ კრემლის მესვეურები, აგრეთვე მათი მარიონეტი სეპარატისტები.

ავტორების აზრით, ევროპელების მხრიდან სათანადო ყურადღება არ ექცევა სეპარატისტული აფხაზეთისგან მომდინარე კიდევ ერთ სერიოზულ საფრთხეს. ეს არის ევროპის ცალკეულ ქვეყნებში სეპარატიზმის გარედან სტიმულირებისა და გააქტიურების საფრთხე. ამაში სისხლხორცეულად არის დაინტერესებული როგორც კრემლი, ისე აფხაზეთის დე - ფაქტო ხელისუფლება, რომლის წარმომადგენლები აღნიშნული მიმართულებით მიზანმიმართულად მუშაობენ.

ამრიგად, ვკითხულობთ წიგნში, აფხაზეთის/საქართველო პრობლემა სცილდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, რეგიონიდან იძულებით განდევნილი მოსახლეობის სამი მეოთხედის საკუთარ სახლებში დაბრუნების თავისთავად მნიშვნელოვან საკითხს და დიდი ხანია უკვე გლობალურ საფრთხედ გვევლინება. დღეს იგი არა მხოლოდ პატარა საქართველოს, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროს პრობლემაა, რომელიც საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპების სრული დაცვით უნდა გადაწყდეს, თანაც რაც შეიძლება სწრაფად.

ესპანურ ენაზე ქართველი მეცნიერების ნაშრომების თარგმნისა და გამოცემის საქმე ითავეს ქალაქ ალბასეტეში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა - პროფესიით ისტორიკოსმა და იურისტმა რეზო უბირია - ახალაიამ და მისმა მეუღლემ, ისტორიკოსმა ირინა ჯოლოხავამ. სხვა ენებზე პუბლიკაციებთან შედარებით, ესპანურენოვანი წიგნის დიდი ფორმატით გამოქვეყნება გახდა შესაძლებელი, რადგან გამოცემის ტექსტის სრული თარგმანი უსასყიდლოდ შეასრულეს ირინა ჯოლოხავამ და მისმა ვაჟმა კასტილია ლა მანჩას უნივერსიტეტის (ალბასეტეს კამპუსი) სტუდენტმა გიორგი უბირიამ. ნაშრომების ესპანურენოვანი თარგმანის კორექტურა და ტექსტის ენობრივი თვალსაზრისით სრულყოფა ასევე უსასყიდლოდ თავის თავზე აიღო ახალგაზრდა ესპანელმა პოეტმა ხუან ფრანნ ნუნიეს პარრენიომ. იგი ამის შემდეგ დაინტერესდა კავკასიის პატარა ქვეყნის - საქართველოს ისტორიითა და კულტურით. ქართველი მეცნიერების ნაშრომების გაცნობის შემდეგ ხუან ფრანმა დაწერა ემოციებით სავსე ლექსი საქართველოზე - „აფხაზეთი საქართველოა“, რომელიც ესპანურიდან თარგმნა ზუგდიდის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნონა ფიფიამ. ლექსის თარგმანი მცირე რედაქტირებით მოიწონა ცნობილმა პოეტმა გენო კალანდიამ (ლექსს აქვე გთავაზობთ).

წიგნის ესპანურ ენაზე გამოცემის ორგანიზების მთელი სიმძიმე რეზო უბირია - ახალაიას დააწვა: მან შეარჩია გამომცემლობა, მოიძია ავტორიტეტული კორექტორი, შექმნა, ან საქართველოდან გამოითხოვა ყველა იურიდიული საბუთი, რომელიც ესპანეთის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან წიგნის ბეჭდვასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად სჭირდებოდა. რეზო უბირია-ახალაიას ინიციატივით მატერიალური კულტურის ძეგლებს დაემატა ინფორმაცია ძეგლთა დაზიანების და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. წიგნის საერთო სახელწოდება „აფხაზეთის/საქართველო ისტორიის, პოლიტიკისა და კულტურის საკითხები“ და დიზაინი ავტორებთან შეთანხმებით შეარჩიეს რეზო უბირია - ახალაიამ და ირინა ჯოლოხავამ. გარდა უსასყიდლო თარგმანისა, ყველა დამატებითი ხარჯი, რომელიც აუცილებელი აღმოჩნდა წიგნის ოფიციალური გამოცემის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით, გაიღო რეზო უბირია-ახალაიას ოჯახმა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა წიგნის გამოქვეყნების შემდეგაც არ დააკლეს ყურადღება აფხაზეთის პრობლემის პოპულარიზაციის საქმეს: ირინა ჯოლოხავა - უბირიამ უზრუნველყო წიგნის ესპანეთის რამდენიმე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ესპანეთის მთავარ საბიბლიოთეკო ქსელში წარდგენა, ხოლო რეზო უბირია - ახალაიასა და ხუან ფრანნ ნუნიეს პარრენიოს ინიციატივით წიგნის ელექტრონული ვერსია განთავსდა ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ესპანურენოვანი ქვეყნების სხვადასხვა საიტებზე. ესპანეთის დედაქალაქში წიგნის საბიბლიოთეკო ქსელში განთავსება უზრუნველყო მადრიდში მცხოვრებმა ქართველმა მომღერალმა - სოხუმელმა ლალი ჭილაიამ.

ხუან ფრანნ ნუნიეს პარრენიომ კიდევ ერთი სიურპრიზი შემოგვთავაზა - 2016 წლის დასაწყისში წიგნის შესახებ ერთ-ერთ პოპულარულ ესპანურენოვან ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია „საქართველოში ვილამალეაზე საუბრობენ“, რომელსაც დართული აქვს წიგნისა და აფხაზეთის ერთ-ერთი ძველი ქართული წარწერის სურათი.

2016 წლის თებერვალში ჯემალ გამახარიას და ლია ახალაძის ესპანურენოვანი გამოცემა „აფხაზეთის ისტორიის, პოლიტიკისა და კულტურის საკითხები“ პროფესორმა თამარ შინჯიაშვილმა წარადგინა ესპანეთის ქალაქ მურსიის უნივერსიტეტში, სადაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა წიგნის რამდენიმე ეგზემპლიარი. უახლოეს ხანებში, წიგნის პრეზენტაცია მადრიდში საქართველოს საელჩოსა და ქართველთა სათვისტომოს მიერ იგეგმება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო პროექტის ფარგლებში აგრძელებს „აფხაზეთის ისტორიის, პოლიტიკისა და კულტურის საკითხების“ პუბლიკაციას, როგორც ევროპის სხვა, ასევე მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ენებზეც.

მანანა გორგიშვილი

აქვე გთავაზობთ ახალგაზრდა ესპანელი პოეტის ლექსს საქართველოზე

ხუან ფრანნ ნუნიეს პარრენიო

აფხაზეთი საქართველოა

საქართველოა აფხაზეთი მზიურ მიწა-წყლით,
აღნაგ სოფლებით, ქალაქებით, ციხით და ტაძრით,
გულკეთილი და წრფელი ხალხით, ყველა თაობის,
აფხაზეთია საგანძური ძვირფასი ტაძრის.

ომის, ტკივილის, სისასტიკის,დანაშაულის
მიუხედავად გაიმარჯვებს ერთ დროს, სიმართლე,
კვლავ გაიხარებს აფხაზეთში ჯიში ქართული,
და დაამარცხებს, განანათლებს წყვდიადს სინათლე.

ვერ გააყალბებს ისტორიას ქვეყნად ვერავინ,
ის არ შექმნილა უცაბედად არც დღეს, არც გუშინ,_
საუკუნეთა წიაღიდან იღებს სათავეს,
ხალხის ხსოვნაში ჩამარხულა და ხალხის გულში.

ილორი, მსიგხვა, ლიხნი, მოქვი, დრანდა, ბედია,
სოხუმი, ბზიფი, წყელიკარი, გაგრა, წებელდა...
ყველა მათგანი ფასეული, თვითმყოფადია
და ქართულია-უარყოფას ვერვინ შეჰბედავს.

თვალი-ათონი, ღუმურიში, ანაკოფია,
აქეთ ბესლეთი, იქ ბიჭვინთა, იქით გუდავა...
ეს სახელები თვით ძეგლებზე უფრო მეტია
რაც მთავარია , ქართულია ყველა, უკვდავი.

აფხაზეთია ღვიძლი შვილი ქართული მიწის,
გაედინება მის ძარღვებშიც, სისხლი კი არა,
თვით საქართველოს ის აერთებს ყველა კუთხესთან,
და ყოველ მათგანს ერთნაირად სტკივა იარა.

მოვა დრო, ყველა ბოროტება, ყველა სიცრუე,
თავისუფლებად და სიმართლედ გარდაიქმნება,
საქართველოა აფხაზეთი - ეს იყო გუშინ,
ასეა დღეს და სამუდამოდ ასე იქნება.

თარგმნა
ნონა ფიფიამ

საქართველოს მწერალთა კავშირში

სომეხი სტუმრები

6 აპრილს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტთან დაკავშირებით მწერალთა კავშირს ესტუმრა სომეხ მწერალთა დელეგაცია გაგიკ დავთიანის ხელმძღვანელობით. შეხვედრა გახსნა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ რევაზ მიშველაძემ. მან აღნიშნა, რომ ქართველი მწერლები, ისე, როგორც მთელი ქართველი ხალხი შეშფოთებას გამოთქვამენ სომეხ-აზერბაიჯანული კონფლიქტის განახლების გამო ყარაბახთან დაკავშირებით. ისე, როგორც ეს მსგავსი კონფლიქტების შემთხვევაში არაერთგზის გაგვიკეთებია, ჩვენ მზად ვართ შუამავლის როლი ვიკისროთ ორ კავკასიელ ხალხს შორის, რათა ცეცხლი შეწყდეს და კონფლიქტი მშვიდობიანად გადაიჭრას. გაგიკ დავთიანმა აღნიშნა, რომ მადლობელია ქართველ მწერალთა სწორი ეროვნული პოზიციის გამო და თავის მხრივ სომეხი მწერლები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ შეწყდეს სისხლისღვრა და მხარეები მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას. სიტყვები წარმოსთქვეს: სოსო სიგუამ, ბაღათერ არაბულმა, ვლადიმერ სარიშვილმა, ზაალ ბოტკოველმა, ანაიდა ბოსტანჯიანმა და სხვებმა.

სიმონ არველაძე - 95

31 მარტს ქალაქ ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ცნობილი მწერლის და საზოგადო მოღვაწის სიმონ არველაძის დაბადების 95 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ ქალაქ ქუთაისის მერი შოთა მურღულია, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე ბაღათერ არაბული, მწერალთა კავშირის იმერეთისა და ქუთაისის გაერთიანების თავმჯდომარე თეიმურაზ ლანჩავა, ვიცე-გუბერნატორი პაატა ნადირაძე, პარლამენტის წევრი, პროფესორი ომარ ნიშნიანიძე, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე შალვა კირთაძე, პროფესორი რობერტ გოლეთიანი და პროფესორი ოთარ ჭუმბურიძე.

ბაღათერ არაბულმა მწერლობაში შეტანილი წვლილისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით სიმონ არველაძეს გადასცა „ქართული კულტურის ამაგდარის“ წოდების დიპლომი.

ნაჩვენები იქნა სიმონ არველაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი.

ჯანსუღ ღვინჯილიას გახსენება

4 აპრილს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა ჯანსუღ ღვინჯილიას დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. პროექტის ავტორია მაყვალა გონაშვილი. საღამოს უძღვებოდა ლევან ღვინჯილია. სიტყვით გამოვიდნენ რევაზ მიშველაძე, დოდო ჭუმბურიძე, ბაღათერ არაბული, ზაალ ბოტკოველი, ანზორ ერქომაიშვილი. აფხაზეთის ანსამბლმა (ხელმძღვანელი ლევან ღვინჯილია), საბავშვო ანსამბლმა (ხელმძღვანელი მაია მიქაბერიძე) და რამინ მიქაბერიძემ საღამო გაალამაზეს ხალხური სიმღერებით. მსახიობებმა ელდინო საღარაძემ, ზურა ცინცქილაძემ და ბექნუ ქაფიანიძემ წაიკითხეს ნაწყვეტები ჯანსუღ ღვინჯილიას ნაწარმოებებიდან. ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი ჯანსუღ ღვინჯილიას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

დასასრულ ჯანსუღ ღვინჯილიას მეუღლემ ნანა ახობაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

„ცისფერყანწელების“ პრეზენტაცია



„დარჩება ხსენება იმ ორდენისა, რომელსაც ჰქვია ცისფერყანწელების ძმობა, მეგობრობა, რომელსაც შეადგეს 13 კაცი და ისტორიული ანალოგიით, როგორც ცამეტმა ასურელმა მამებმა საქართველოში დასთესეს ორთოდოქსი ქრისტიანობა, ისე ცისფერყანწელებმა - ნამდვილი პოეზია“ - ტიციან ტაბიძე.

17 აპრილს მწერლის სახლში გაიმართა წიგნის „ცისფერყანწელები - 100“ პრეზენტაცია. საიუბილეო გამოცემის პროექტის ატორია მაყვალა გონაშვილი. მხატვარი - ქეთი მატაბელი, სარედაქციო კოლეგია - თეიმურაზ ლანჩავა, თემურ ჩალაბაშვილი, ზაალ ბოტკოველი, მანანა გორგიშვილი. წიგნი გამოიცა თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თანადგომით. სიტყვით გამოვიდნენ რევაზ მიშველაძე, მაყვალა გონაშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, ბაღათერ არაბული, ზაალ ბოტკოველი. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ტიციან ტაბიძის და პაოლო იაშვილის შთამომავლები. მსახიობებმა წაიკითხეს „ცისფერყანწელთა“ ლექსები.

დემიკო ლოლაძე ბათუმში

22 მარტს ბათუმის საკონცერტო დარბაზში ბათუმელები შეხვდნენ ცნობილ ქართველ პუბლიცისტს, მხატვარსა და ფოტოხელოვანს დემიკო ლოლაძეს.

მსგავსი შეხვედრები ამ დარბაზში ტრადიციულად იმართება და მათი სულისჩამდგმელია თვალსაჩინო ქართველი პოეტი ვახტანგ ღლონტი.

შეხვედრაც სწორედ ბატონმა ვახტანგმა გახსნა და ისაუბრა დემიკო ლოლაძის მრავალმხრივ, უაღრესად მნიშვნელოვან მოღვაწეობაზე, რომელიც აი, უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც გრძელდება.

დემიკო ლოლაძე დამსწრეთ ესაუბრა გარდასულ დღეთა პერიპეტიებზე და იმ კვალზე, რაც მის სულს ცხოვლად დააჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი მართლაც მრავალწახნაგოვანი შემოქმედია, უპირველეს ყოვლისა, მაინც ქართული ფეხბურთის თავგადაკლულ მემატიანედ რჩება და იმ საღამოსაც დამსწრე საზოგადოებამ სლაიდებზე იხილა ბატონ დემიკოს მიერ გადაღებული და აწ უკვე ისტორიის ფურცლებად ქცეული ქართული ფეხბურთის ლეგენდების სახეები. დემიკო ლოლაძემ მოწვეულ სტუმრებს მის მიერ შექმნილი არაერთი წიგნი გადასცა.

დემიკო ლოლაძეზე ისაუბრეს დავით თედორაძემ, რამაზ სურმანიძემ, შოთა ზოიძემ, ალეკო ჩხარტიშვილმა, გოჩა შამილიშვილმა.

საღამოს ორგანიზატორებმა დიდი სიურპრიზი მოუმზადეს სტუმარს, რომელსაც თვალები ცრემლით დაენამა, როდესაც აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ დავით თედორაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო მწერალთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც დემიკო ლოლაძეს მისი მრავალწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის მიენიჭა აბუსერისძე ტბელის სახელობის პრემია.

რომანი სააკაშვილის შავბნელ ათწლეულზე

მკითხველმა უკვე მიიღო რევაზ მიშველაძის ახალი რომანი „ციყვი ბორბალში“ (გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, რედაქტორი სოსო სიგუა – 340 გვ.). ამ რომანში რევაზ მიშველაძე მისთვის ჩვეული მხატვრული ოსტატობით გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ კამათლებივით აბურთავებდა თავგასული პრეზიდენტი მოქალაქეთა ბედს.

ნაწარმოები საინტერესო პრობლემატიკით, მძაფრი სიუჟეტით და მტკიცე კომპოზიციით გამოირჩევა. რომანის ტირაჟის დიდი ნაწილი სწრაფად გაიყიდა. მსურველებს წიგნის შეძენა შეგიძლიათ გამომცემლობის ოფისში. ედიშერ მაღალაშვილის ქ. N6. ტელ: 568 105 467

ომარ შამათავა

ქართველ მწერალთა რიგებს კიდევ ერთი გულანთებული მამულიშვილი გამოაკლდა.

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი ომარ კაპიტონის ძე შამათავა.

ომარ შამათავა დაიბადა 1930 წლის 25 აგვისტოს ქალაქ სენაკში.

სენაკის პირველი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, 1948 წელს, სწავლა განაგრძო სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1952 წელს დაამთავრა. წლების შემდეგ სწავლობდა თბილისის სოციალურ-ეკონომიკური მართვის უნივერსიტეტში და მიიღო იურისტ-ეკონომისტის წოდება.

ომარ შამათავა სხვადასხვა დროს მუშაობდა აფხაზეთის რადიოკომიტეტის ქართული რედაქციის გამგედ. აფხაზეთის ოლქლიტის თანამშრომლად, საქართველოს მთავლიტის რედაქტორად, უფროს რედაქტორად, განყოფილების უფროსად, მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ლექციებს კითხულობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და კონსერვატორიაში, იყო ეროვნული სამხედრო აკადემიის ჰუმანიტარული კათედრის პროფესორი. ომარ შამათავა ყველგან გამოირჩეოდა დიდბუნევნობით, კაცთმოყვარეობით, სიკეთითა და პატიოსნებით.

ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას ომარ შამათავა 1951 წლიდან ეწეოდა, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „აფხაზეთის სოფლებში“. მას შემდეგ მისი ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ სალიტერატურო და სამეცნიერო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ომარ შამათავას პოეტური კრებულები „სულის სიმები“, „ოცნების ფრთები“, „გვიხმობს დიოსკურია“, „გულო გაუძელ“ და სხვები ქართველი მკითხველის მოწონებით სარგებლობს. ეს კი იმ გარემოების დამსახურებაა, რომ მათი ავტორი ერთი გულმართალი პატრიოტი იყო სამშობლო ქვეყნისა და მისი ცხოვრებით ცხოვრობდა, მისი სიხარული უხაროდა და მისი ტკივილები ტკიოდა. ომარ შამათავას ლექსებში საქართველოს სისხლიანი და ცრემლიანი ისტორიაა დაგუბებული, ისტორია, რომელსაც მოფრთხილება და სულის ბერვა სჭირდება.

ამავე დროს ომარ შამათავა, ეწეოდა ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას. მინიჭებული ჰქონდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის წოდება. იყო ორი მონოგრაფიისა და 24 სამეცნიერო სტატიის ავტორი.

ომარ შამათავას მრავალწლიანი შემოქმედებითი და საზოგადებრივი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. მინიჭებული ჰქონდა გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია. იყო საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოს მთავლიტში გაატარა, იგი ქართველი მწერლების სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, რაც იმის დასტურია, რომ ავადსახსენებელ ორგანოშიც ღირსეულად, ვაჟკაცურად, პატიოსნად მსახურობდა და იქაც სამშობლო ქვეყნის ნანინატრ თავისუფლებაზე ოცნებობდა.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ ომარ შამათავა _ შემოქმედი, მოღვაწე, ერთგული, გამორჩეული შვილი საქართველოსი.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ერეკლის ფეხები
№5
ფასი 1 ლარი
1-31 მაისი
2016
მისამართი: ვაჩაბლის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.:293-55-75
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან

მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე
პასუხისმგებელი მდივანი მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail.ru; luizagogelia@mail.ru
9 771987 698009